

ბურჩი REGION

ჟურნალიზური გამოცემა

ფასი 1.50 ლარი

№2, 2014, 15 მარტი-15 აპრილი

ინგა
ღუბაძე:
თუხარე -
განცლა,
როგორც
სიცოცხლის
ბოლომდე
არ გაგორდება

არჩილ
სომასურიძე:
გურული
ღიალაქის
ცოდნები
ბაღალი
არ მყავს

კაათა ბურჭუღაძის საქვედროქვედრო
ფონდი „იკვანა“ 10 წლისაა

ბიჭიანო ასტურაშვილი:
საქართველო მომავლის იმედით...
„შავინარჩუნეთ ჩოხატაურის
და ლანჩხუთის საავადმყოფოები“



9 772346 760009

მშვილდოვანა მუნღია, მუცხე გუგუია

არჩილ ხომასურაძის რევროლუტოლოგიის ცენტრი



მისამართი: თბილისი, თუველარე მღვდლის №13

ბიჭიკო ასკურავას მეთოდით შეხვევა



მისამართი: ქალაქი თბილისი ივერიის ქ-5
ტელ: 298 86 84, 99 96 94, 577 41 19 11
ელ.ფოსტა: Daskurava@hotmail.com; Maskurava@yahoo.com



ბურულაების საღამო რესტორან „ბერმუსაში“ 2

ლაზარე – განსდა, რომელის სისოცხლის ბოლომდე არ გამშორდება 4

ქართული მეცნიერის კვლევამ შესაძლოა ქასობრიობის ისტორია თავდაყირა დააყენოს 6

„აღიღის“ მიერ დატოვებული „მემკვიდრეობა“ 9

დავით სერგაენკო: ბუნებრივია, კენსიები საზოგადოების ტოვ თემაა 12

საქველმოქმედო ფონდი „იანანა“ 10 წლისაა 16

მამუკა კაციტაძე: თბილისის მილიონიანი ამომრჩეველი სერიოზულ კოლიტიკურ კლიმატს ქმნის 18

„ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირსო“ 21

ჩვენ ვიქნებით ყველას მებობარი და მრჩეველი, ასევე სამართლიანი ქრიტიკოსები 22

ბიორბი ჩხაიძე: ჩვენი კრიორიტატი ბურიის რეგიონის ეკონომიკური სტრატეგიაა 25

არჩილ ხომასურიძე: ბურული დიალექტის ცოდნაში ბადალი არ მყავს 29

ბიჭიკო ასკურავა: საქართველო უკეთეს მოლოდინში... 30

ლანჩხუთის კულტურის სენტრში მომხდარი ინსინდენტის შემდეგ 32

ოზურბათის ისტორიული მუზეუმი 33

თბილისის ვაკის პარკის ბანაშენიანების ავტორი 36

ტრისტან სინარულიძე: ქართული სიმღერის მოაგაბა 37



დამფუძნებელი — ანა თოხაძე
მთავარი რედაქტორი — ლელა სურმავა
მისამართი: თბილისი, ვ. ვაბაშვილის 5
ტელ: 558 256 550
ელფოსტა: Lelasurmava@mail.ru
პირიზასო მკითხველზეო!
მოგვანოდეთ თქვენი ლექსები, მოთხრობები, მანა-
ხატები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი
პრობლემები და მოგვიყვით სანტერესო ამნები.
გავთვალისწინეთ, თქვენს მიერ მონოდებული
მასალის ურუნალში განთავსება ფაიანი.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგაბს ავტორი,
სოლო სარეკლამო ტექსტზე პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.



გურჯაანის საღამო ჩასტორიან „ბარიაუსაუი“



რესტორან „ბერმუხაში“ 8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გურულების საღამო გაიმართა მონვეულმა სტუმრებმა თავის საყვარელ კუთხეზე სიამაყით ისაუბრეს, ხელისუფლებას მოუწოდეს მეტი ყურადღება დაუთმონ გურიას. სურვილი გამოთქვეს მსგავსი შეხვედრები ტრადიციად დამკვიდრდეს.

რამინ მიქაბერიძე: მთელი სიცოცხლე საქართველოს, მათ შორის ჩემს მშობლიურ კუთხეს გურიას ვემსახურები, იქი სამი რაიონია, თუმცა ჩოხატაური ყველას მირჩევნია. როცა მეოცე საუკუნის მწერლებმა მთელი გურია მოიარეს, ბოლოს ჩოხატაურში ჩავიდნენ, ყველა სოფელი დაათვალიერეს, და ჩემს სოფელში სიდიდისავე მივიდნენ. პოეტმა ირაკლი აბაშიძემ ასეთი ლექსი მიუძღვნა:

„გამოემურე, ნახე, გახედე, მთლად საოცრება არის გურია,
მაგრამ სიდიდისათვის თუ არ ჩახვედი, ეშხი მთავარი დაკარგულია.“

სიდიდისათვის გაიზარდნენ — ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდიაძე, ჭოლა ლომთათიძე, შორის ფოცხიშვილი, იოსებ მეგრელი და აკადემიკოსი ვანო კიდურაძე.

დიდი მადლობა ორგანიზატორებს მარინამ კოტრიკაძესა და ანა თოხაძეს, ასეთი ღამეები საღამოს მონყოლისათვის.

თემურ ჭკუასელი: ძველი გურულებისგან მომისმენია, როცა სუფრასთან შეიკრიბებოდნენ, თავდაპირველად საერო საგალობელს გალობდნენ. დღეს საღვთო მადლმა შეგვკრიბნა გურულები. ერთმანეთს მოვეფეროთ, ყველანი საქართველოს შეილება ვართ. მაშინაც უნდა ვიდიმებოდეთ, როცა სეკუდინები ვართ, არავინ იცის ჩვენი დიმილი ვის მოენონება. დამეთანხმებით, ყველაზე კარგად სეკუდინ დიმილს გურულები ასერხებენ. მას შეუძლია საკუთარი სეკუდის ირონიზირება მოახდინოს, გაიდიმოს, ასე შეხედოს დანარჩენ ადამიანებს და მთელ მსოფლიოსაც. ამას ჩემი საყვარელი გურულები ასრულებენ, ამიტომ არიან გამორჩეულები. უზომოდ შეყვარებული ვარ ამ კუთხეზე და თითოეულ გურულზე.

გონა ინგოროყვა: საინტერესო ამბავს მოგიხსნობთ, ჩემს კლინიკაში საღამოს ორგანიზატორები ანა თოხაძე და მარინამ კოტრიკაძე მოვიდნენ, მოსაწვევები გადმომცეს. კლინიკაში 400 თანამშრომელი მყავს, 10 გურულის შეკრება გამიძნელდა.

გურულებო, მოგიწოდებთ, ვისაც ექიმობა ესურთ, მობრძანდით ჩემს კლინიკაში. ლანჩხუთის რაიონი პავლე ინგოროყვას და ეგნატე ინგოროყვას სამშობლოა, ჩემი ლანჩხუთი ყველას მირჩევნია.

მანანა დუმბაძე: ძალიან ბედნიერი ვარ, ახლა ვხვდები მთელ საქართველოს რაგომ უყვარს მამა. ყველა გურულის მსგავსად, ისიც თავისუფალი, გულდია ადამიანი იყო. გურიან საქართველოს ყველაზე დარიბი რეგიონია, რამდენი ხელისუფლება გამოვიტყველეთ და გურიისთვის ვერცერთმა მოიცალა. ახალ ხელისუფლებას ვთხოვ, იზრუნოს ყველაზე ერთგულ ხალხზე — გურულებზე.

ერკლე საღლიანი: იცით რა არის გურულისთვის იუმორი?! ამაღლდეს წუთისოფელზე, ყოველდღიურობაზე, მწუხარებაზე და დარდი დასძლიოს. ამ კუთხეში მცხოვრები კაცი წუხილს და ტკივილს არ არის მოკლებული, მისი იუმორი მხიარულიც არის და ტკივილიანიც. გალაკტიონ ტაბიძემ გურია ასე დახატა:

„ჩუმად ვიდაც მდერის მთაზე, რა ძალაა ამ დიდ ხმაში.

არსად ისე, არ მდერისან, როგორც აქი ამ ქვეყანაში.“

გუნაზ სანიკიძე: გურულები ორჯერ ქართველები არიან. ტრაპიზონის იმპერატორს ბურგუნდიელი მოქირავნები პროტესტისათვის მკობრები ჰყავდა დაქირავებული. ტრაპიზონის იმპერატორს ასეთი პირობა ჰქონდა, ომის დროს ისინი ტრაპიზონის იმპერიის მხარეს იბრძოდნენ, ამისთვის გასამრჯელოდ იღებდნენ, თუმცა მშვიდობიანობის დროს იმპერატორი მათ ფულს არ უხდიდა, თუმცა უფლებს ჰქონდათ შავიზღვისპირეთის ქვეყნები ემარცვათ, შემდეგ ამ ნაძარცვით ტრაპიზონის პორტებისთვის თავი შეეთქვათ. ბურგუნდიელებმა ბევრი მხარე და სანაპირო დაარბიეს, იფიქრეს შავ ზღვაზე მათთვის სამოთხე იყო, გურიასაც მიადგნენ. ნაცნებთან დიდი ბრძოლა მოხდა, გურულებმა ბურგუნდიელები დაამარცხეს, 300 მეომარი ტყვედ ჩავარდა. ტრაპიზონის იმპერატორს გურიელთან თხოვნა დასჭირდა, რომ ტყვეები გაეთავისუფლებინა, არსებობს ბურგუნდიელი მოქირავნის მოგონებები, სადაც გურიანში ტყვეობას აღწერს, გურულები ისე კარგად გაუმსახინდლდნენ, რომ შემდეგ აზარი არ მოერგო. გურულებო, სადაც ფრანგებს შეხვდებით, ამ ამბავზე სიამაყით უნდა ისაუბროთ.

გია ბაღაშვილი: მსოფლიო მასშტაბის თეგურათა სამუსიკო ხელოვნებაში გურულების ღვაწლი განსაკუთრებულია. იგორ სტრავინსკის ამბობს: — „ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რაც ბოლო დროს მივიღე ეს იყო შოუნბერგის იაკობის კიბე და გურული პოლიფონიური სიმღერა.“ ხალხური მუზიკირების ეს ცოცხალი ტრადიცია ყველაზე შთაბეჭდავი და გაცილებით მეტის მომცემია, ვიდრე თანამედროვე ევროპული მუსიკის ყველა მიდევნა. გურული სიმღერა ადამიანის სულის ამოქანთი და მისი ბუნების ანარეკლია.

ფუნდის ანა თომასი დასაწყისად, ხომღო ხედაქმონი ედა სუხიდა. პიხვილი გვიხილი გვანყნებ, ხომ ხედაქნა თბილისში. ედა ეს ფაქტი მისალები და ნოხიდაქნი, ხადგან ახლებობს უმუნკიციის ისეთი გენიდაქნი საშუალება, ხოგოხიცი ინკუინეტი, ე.ი. მასალები მინოლებში და ინფოხიდაქნი მონოვებში პიხილები ახ იქნება.

ფუნდილის პიხვილი ნომიხი თებეხვილი გამოვიდა. მიუხედავად საყმაოღ მციხე ფასისა (2 ეახი) გაყიღვის შუნადლებობაზე ვეხაფეხს გეყვიოთ, ხადგან ეანჩუთში მებახე საქპიხისს ჟუნეში მის გამოჩენამდე ახავიოთახი ნინასნახი ინფოხიდაქნი ახ ყოფიდა.

გუიხას ახად-ახადი გამოყებებით ვეი გააკვიხებ, თემცა ყოველთვიხი ფეხადყიდან ფუნდილი სიახლებე შეიღება ჩიოთვალის. სახედაქნიო ნეიღში ვეიოხელობო:

"ხედაქნიამ შეიყენებით-საგანმანათლებლო მიმახიოლება ავიჩიოთ, თემცა თოთოყელი გუი-ლის სოყიდაქნი ყოფას უყეხადლებოღ ახ ეავტოვებო. გვსუხს, საზოგადოებას ბევი ნიჭიხი და ნახიდაქებელი ადამიანი გავაცნოთ. ჟანსალი გახემო მოქალაქეების სხედაქნიოვიანი ცხოვიებით იქმნება. ვეიოთახეთის თანადგომით ყვიდა ეახელებას გაედავასავო. გვსუხს, იუმოხის ნიჭით გამოჩენე გუილებს ხადასი ვეიოვიოთებეი ეავებეხნოთ. ეს ჩვენი ჟანსალი ამბიციას. იმედა, გუილის მებნასაშუალებებში ეამევიღებას ახა უმუნევიენციოთ, ახამეღ უოღეგიადლობით შევიღებოთ. თოთოყელმა მოვიენამ ყვიდა ფუნდილისეი ენდა გაგვავეიოთიანის!

ჩვენი მიზანი, 2014 ნეიდან ისეთი ფუნდილი მოგანოღოთ, ხომეიცი ხესპეკაბეღეი იქნება და გემოვიებინან მეიოხვეღს მოენონება."

ედა ნებისმიეი ბეჭეღი მებნას სამი ეიღი ეახელება აქს ეადასადასავი: მოსახლებობის ებადი მსყიღვეღენახიანობა, ეღეკეხონეღი მებნა და ინკუინეტი, ხომეღმაც ელიან ბევი მოჯახი ჩამოაციღა ეანახიენ საინფოხიდაქნიო სივიყეს. ისე, ხომ ახად ფუნდილს და მის ახადგახეღეი ხედაქნიას ნინ ეიღი გამოყდა ეღის.

ხაც შეეხება სახედაქნიო ნეიღის, ვუნევიოთ ახადგახედა ფუნდილისებებს შუნეღონ ყვიდა ეავიხე-ბის შუნეღება, ახ ვეიჩევი უმუნევიენციის იგნოხიღებას, თემცა უოღეგიადობა ელიან აყიღებელი ხამეა.

სახევიღეი გუილის სამივი ხიონი თანახად იყოს ფუნდილი ნახიმოღენიღი. მეიოხვეღისთვის ემნიშვეღეღეღენახი, ხომ მთავახი ევიზი იყოს: ვნეხოთ გუილებზე, გუილებისთვის! ახ ეივი-წყოთ გასახიოთბი მასალები და მოსახლებობისათვის საჭიხი ინფოხიდაქნი.

მეიე ხა ხომ თვეში ვეიოხეღ გამოღისახიო?

ჩვენი მხიღან უოღეგიადეიღი ეამოვიღებებების ეადასევიებად მიოღეთ ის ფაქტი, ხომ ეესო მახახაქე თქვენთანაც იოთანამშიომებებს.

გისევიებოთ ნახიდაქებებს პიოფესიული და ყომევიციული მიმახიოლებით.

„ეანჩუთი plus“
ეეეეეეეე ნანაშიეე

ქანბეკონო ქეეეეეეეე მადეობას გიხეიოთ გენეფეღეი სევიღებისთვის. ახადგახეღებების მიმახიო თქვენი თანადგომა ეფეო მეტი სეიმიღია. ეღეკეხონეღმა მებნამ და ინკუინეტი საზოგადოება ვეიოთახეთს ეაშიოხა, ფუნდილისეიეი სენსაციებზე მიიენევიებებს, ადამიანებს ეადებოთი იმევიღე-ბი და მომავლის ხნმენა თანდათან ეეახეება. გუილის მებნასაშუალებებს აქვო ეფეღება „მოღახ-ჟე ელიღის" ფენეყიდა შუნახეღონ, ხშიხად გვამონემონ. ჩვენ მიუევიღებობას მეიოხვეღეი შუნ-ფასებებს, საზოგადოებამი ეივიღენებების მონოვებას ახ ვყიღებოთ, გვიყვახის ჩვენი პიოფესიას. ხოგოხეი ამბობენ ფუნდილისეიეი სიმახიოღის თქმას, ახ იევი, ნყადში ეადეგიეიხი ხეღობა. თან-სამშიომებობის ნახიეი თქვენ პიხვიღმა ეადეღოთ, ხისთვილაც ეიღევი ვეიოხეღი მადეობას.

„გუიხი REGION“
ეეეე სეეეეეე



ინგა დუმბაძე

ლაზარე – განსდა, როგორც სისოსხლის ბოლომდე არ გამშორდება

ბავშვობა ჩემი ქვეყნის ნალკოტში, აფხაზეთში გავატარე, სამშობლოზე და ამ კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული მამაჩემი საოცარი რუდუნებით ცდილობდა ჩემში იგივე ალტაცება და აღფრთოვანება გამოენვია, რასაც თვითონ განიცდიდა. ამიტომ, ძალიან ხშირად ხან რინის ულამაზეს სანახებს მომატარებდა, ხან ეშერას, ხან გაგრას, ხან ბიჭვინთას.

აფხაზეთში ჩამოსულ სტუმრებთან საოცარი რიდი და კრძალვა, სიყვარული და მეგობრობა აკავშირებდა. მეც მინერგავდა იმ ადამიანებისადმი პატივისცემას, რომლებიც ხელოვნების, ლიტერატურის უმშვენიერეს მარგალიტებს ქმნიდნენ.

ახლა, წლების შემდეგ, როცა უამრავი ტკივილით დაღლილი ჩემს გულს საშველი სჭირდება, წარსულს ვიხიბ, წამით, ერთი წამით მაინც ვბრუნდები იქ, ჩემს ბავშვობაში, ჩემი სახლის ფანჯრის კუთხესთან, სადაც ასე ახლოს მოსჩანდა ზღვა და სადაც საოცარი სიმძაფრით ვგრძნობდი მის განუშეორებელ სურნელს.

მაშინ არ ვიცოდი, თუ რამდენად დიდი იყო იმ მინის მადლი, სადაც დაუბანიჯებდი, არ ვიცოდი, თუ რამდენ სინამდვილეს იტევდა განუშეორებელი სილამაზის ეს მთა-ბარი, არ ვიცოდი, რომ მინა, რომელზეც სიარულის ბედნიერება ღმერთმა მომანიჭა სინამდვილეთა სავანე იყო. არ ვიცოდი, სხვა რომ არა, მარტო სვიმონ კანანელის განსასვენებელი საკმარისი იყო ჩემი სულის სიმშვიდისთვის.

სამწუხაროდ, არც კი მომისმენია, რომ იქვე, ძალიან ახლოს აფხაზეთის მთებში მოსანგრეობდნენ დიდი მამე-ბი- მამა ვიტალი და მეუფე იობი. არ ვიცოდი, თუ თვალწინდელი მთების კალთებზე, გამოქვაბულებში და მღვიმეებში ასობით ბერი ლოცულობდა, უკრაინისა და რუსეთის სხვადასხვა ლავრებიდან კომუნისტების დევნიდან

გადმოხვენილები.

საერო ცხოვრების ორომტრიალში მყოფი ჩემი მშობლები ეკლესიურები არ იყვნენ. ამიტომ, ვერ ვიღებდით იმ დიდ მადლს, რაც უნდა მიგველო, იქ ხომ ასე ახლოს იყო ილორი, ასე ახლოს იყო ჩვენი სარწმუნოების საჭეთმპყრობელი ილია მეორე.

სოხუმის დაკარგვით გამოწვეულ, ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობას ჩემი პირადი ტრაგედიაც დაერთო – ორი პატარა გოგონათი მარტო დარჩენილი საკუთარ სხეულშიც ველარ ვეტეოდი. სანუგეგო, სასონარკვეთილი ლირსი გავხდი და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წლების წინ შვილთან ერთად, იერუსალიმში დავესწარი.

უკუნი სიბნელიდან სინათლეში გადასვლას შემძლია შევადარო, ყოველივე – რასაც ვგრძნობდი, რასაც ვხედავდი, რასაც განვიცდიდი.

დღეს, წლების შემდეგ, ხშირად მეუფლება ის განსაკუთრებული განცდა, რასაც ფასდაუდებელ სინამდვილეთა მომლოცველი, რატომღაც ენით აღუწერელ სითბოსა და სიხილოვს განსაკუთრებულად ლაზარეს საფლავთან განვიცდიდი. იქნებ, ეს ჩემი გენეტიკური მესხიერების ბრალი იყო, იქნებ გული გრძნობდა მახლობელს, ლაზარეს – გაიგივებულს ქართულ ენასთან, ჩემს სამშობლოსთან.

ბიბლიიდან ცნობილია, იერუსალიმში შესულ მაცხოვარს მთელი ერი დიდებით ეგებებოდა. მას, ნაცვლად იმისა, რომ სიხარული დაუფლებოდა, ტიროდა. ტიროდა იმიტომ, რომ იცოდა ადამიანის ბუნება, იცოდა, რომ იგივე ხალხი, რომელიც მას ზეიმით ხვდებოდა, რამდენიმე დღეში მაცხოვრის ჯვარზე გაკვრას მოითხოვდა. იცოდა, რომ ადამიანებს სულ სხვა მინიერი მოტივაცია ჰქონდათ. როგორც ღმერთს, მას არ ეშინოდა, მაგრამ როგორც ადამიანს მას სტიკოდა, უფალს უნდოდა განეცადა თავისივე ნებით, თანხმობით ღვთისაგან მიტოვებულობა, თორემ ის არ მოკვდებოდა. რადგან ის უცოდველია, სიკვდილი კი ცოდვის შედეგია. რას ნიშნავს, ეს ტკივილი მას უნდა განეცადა? ვის სტიკოვა? ძე ღმერთს სტიკოვა და ეს არის ქრისტიანობის უდიდესი სიდიადე და საიდუმლო – დეკანოზი თეოდორე გიგნაძე.

დამეთანხმებით, არაადამიანური განაჩენი მაშინაც და დღესაც, სამწუხაროდ,

როდ, იმ რეალობის ბრალია, რომელშიც იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება კაცობრიობა. როგორი სიყვარულით ქმნიდა უფალი პირველ ადამიანს და ასეთივე სიყვარულის იმედით მიენდო ის სამყაროს, რომ მიიღებდნენ და არ უარყოფდნენ. მერწმუნეთ, ჩვენ ნამდვილი სიყვარულის განცდა არ გვაქვს, რადგან ის არასდროს გვექონია, არც იმის რომ გვეყვარებოდა სხვა და ჩვენ ვყვარებოდით სხვას. ერთ-ერთი მიზეზი რატომაც არ ვართ ბედნიერი, არის ის, რომ ჩვენ არ გვაქვს სიყვარულის გამოცდილება, რომლის უკან დგას საშინელი რალაც თავისუფლება, ადამიანური თავისუფლება, რომელიც შეიძლება იყოს შემოქმედებითი, მხსნელი, ან დამლუპველი. ის შეიძლება იყოს თვითნებობა, ან განთავისუფლება (დაუსრულებელი სიხარული).

ჩაგულრმავედეთ, როგორი საოცარი სიყვარულის გამოხატულება აქვს უფალს მისი შექმნილი ადამიანის მიმართ: – „შენ ისეთი უძვირფასესი, ისეთი მნიშვნელოვანი ხარ ჩემთვის, რომ შენი შეზღუდვის, დაქუცმაცებისა და დამახინჯების უფლება არ მაქვს. ჩემი არსებით ვემსახურები იმას, რომ მთელი შენი შესაძლებლობებით განვითარდე, მე არ ვიქნები წინალობა შენს გზაზე, მხოლოდ თვალს მივადევნებ იმას, რომ საკუთარი თავისთვის შეუფერებელი არ აღმოჩნდე, რომ შენ შესძლო იმ ზომის და ნორმის მშვენიერებად, ისეთი სასწაულად იქცე, როგორც შეიძლება, სინამდვილეში იყო.“ – ეს არის ის თავისუფლება, რომელზეც ზემოთ გესაუბრებოდით. – მღვდელმთვარი ანატოლი სუროჟელი.

უფალს თორმეტი გამორჩეული მონაწილე ჰყავდა, მათთან ერთად სასწაულებს აღასრულებდა, მაგრამ ადამიანური ნუგეშის მისაღებად ლაზარესთან მიდის. მაცხოვარს, რომელსაც ერთი სიტყვით შეეძლო ადამიანური განაჩენის შეცვლა, მაგრამ დაუკვირდით? – ადამიანური ნუგეშის მისაღებად მიდის ბუნებით მის მახლობელ ლაზარესთან, ადამიანთან, რომელსაც ღმერთი თავის გულის ნაჟურს – ცრემლს უჩვენებდა, ადამიანთან, რომელიც ხილულად გავაცოცხლა, რათა სხვებსაც დაენახათ, ეგრძნოთ მისი განსაკუთრებულობა. რატომ მიდიოდა ლაზარესთან?

დამერწმუნეთ, ვერც ერთი პიროვნული განცდა ვერ მიედრება უფლის გუ-

ლისტიკვილს. გაუსაძლისი, ძვლებამდე დასული ტკივილის საიდუმლო მხოლოდ უახლოესს ეხსნება. შეგახსენებთ ეს ის მომენტი, როცა უფალი ადამიანური განაჩენის აღსასრულებლად ემზადება და სანუგეშებლად მიდის ლაზარესთან. ჩემი სუბიექტური აზრიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ლაზარე არის სიმბოლო მშობლისა, ის, ვინც პირმშობა უბოძა მაცხოვარს. აქ ცოტა ღრმად ნავედი და ვფიქრობ, დროულად ჩამივარდა ხელში ისტორიკოს ცირა ინკირველის, ჩემთვის ფასდაუდებელი ნაშრომი. შეიძლება ეს ქალბატონის თამამი განცხადებაც იყოს, მაგრამ გასაზიარებელი: ქართველებს შეგვიძლია, მთელი ცივილიზებული კაცობრიობის გასაგონად ვთქვათ, რომ საქართველო ინყება მოსე წინასწარმეტყველის მიერ აღწერილი კანონიკური ედემიდან. კანონიკურ ფაქტებზე დაყრდნობით ქალბატონი ცირა ამბობს, რომ ბიბლიის შემქმნელმა წინასწარმეტყველებმა მიმართეს სიმბოლიზმს, ალეგორიას, რათა პროფანებისაგან დაეცვათ მათ მიერ შექმნილი, ვარსკვალავებით დაუსაბამო ქრისტიანობის მეცნიერება, მათთვის ღვთისაგან მოცემული სასიცოცხლო სივრცე – თავდაპირველი სამშობლო, წარმომავლობა, ღვთის ანგელოზთა, მღვდელმთავართა, ღვთის მეგობართა ენა, რომელშიც დამარხულია ღვთის ყველა საიდუმლო.

სმირად ვისმენ უწმინდესის ინტერვიუს საქართველოზე, რომელიც ერთ-ერთმა რუსულმა ტელეარხმა ჩანერა: „Я не могу понять грузия во мне, или я в грузии. Грузия прежде всего родина конечно. Это связь спрეტками. Ми чувствуем себя единым народом вместе с ними. კარგად გავიზაროთ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, რომელ წინაპარზეა აქ საუბარი? ჩემი აზრით ეს ის წინაპარი და ის ერია, რომელიც უფალმა აირჩია არა რჯულის, არამედ აღქმით.

უწმინდესი თავის ხილვას ქართულ ენასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ეპისტოლეში ასე აღწერს: „ღრმა, უნაპირო, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე უცნობია, როგორც მელქისედექ მამამთავრისა. მასშია საქართველო, გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია ის და ახლადამოსული მზის ცხოველი სხივივით საამო. ცისფერია მისი სამოსი. ზეცაა მისი სანყისი. უფალია მისი მშობელი და მფარველი.

ვისმენ და ვგრძნობ, როგორ დადის ჩემი აფხაზეთი ჩემს სისხლთან ერთად ჩემს სხეულში, ვგრძნობ, როგორ ვუერთდები ბავშვობას, ვგრძნობ, როგორ ვატარებ ამ მიწას სხეულით, სულით... რომ ის ჩემშია, ის რაღაც უცნაური,

ტკივილამდე მონატრებული და დაუვინყარი...

ამ საკითხებზე მსჯელობის დროს უმწეო და ღარიბია ჩემი გონება, უძლეურია ჩემი გული, მაგრამ სულს უხარია და ეს მაიძულებს, არ დავფარო ჩემი განცდები.

არ დაგიმალავთ და არაერთხელ მიმანიშნეს, შენი ქვეყნის წილხვედრობის რწმენა ამპარტავნების ცოდვააო. ჯერ მოძებნე სასუფეველი ღვთისა, სიმართლე მისი და მერე გაარკვიე „დიდების“ ამბავიო. რა იცვლება შენთვისო? რატომ იტვირთავ გონებას ისტორიული ფაქტების ცოდნით?

ქალბატონ ნინო ბარამიძეს დავესესხები და გიპასუხებთ, რომ უფალმა ქართველ ერთ საზეპუროდ, ესე იგი თავისად გამოარჩია ჯვარისმტვირთველობის და არა რჩეულობის ნიშნით. წმინდა მამები გვასწავლიდნენ, რომ ყველა ერს, თუ ცალკეულ ადამიანს უფალი თავის საზიდარ ჯვარს აძლევს და ჯვარი ესე არასოდეს აღემატება ამ ადამიანის, თუ ერის შესაძლებლობებს. ხედავდა გულთმხილველი და სულთა მცნობი



ღმერთი, ქალწულ სიდონიას გული რომ ძგერდა და ამიტომაც მხოლოდ ის ჯვარი მისცა ამ გულს. საოცარია არა? სიდონია, სხვათათვის უბრალო მცხეთელი ქალი, რომელსაც უფალმა მიაბარა საკუთარი შესამოსელი, იმ დედაკაცს, რომლის გულიც მისით იყო სავსე, იმდენად სავსე, რომ იქ არაფრისთვის იყო ადგილი დარჩენილი, აკი განისვენა ამ გულმა კვართჩახუტებულმა. აქ მწერალ რევაზ ინანიშვილის საოცარ სიტყვებს გავიხსენებ და გეტყვით, რომ „ქრისტემ უბრალო ადამიანური გული დაუდო საფუძვლად თავის მოძღვრებას და საოცარია, ეს მოძღვრება აღმოჩნდა ყველაზე მყარი აზრი დედამიწაზე“.

ამ შემთხვევაში ჩემს ძიებას ნამდვილად არ მიეყვარა ალოგიკურ შედეგამდე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის წარმოდგენა, თუ სად არის მისი სათავე, განსაზღვრავს მის მეობასა და ვინაობას. კაცს, მით უფრო ერს, რომელიც კარგავს მეხსიერებას, ვერავინ გაუგებს. ვერავინ ეტყვის, ვინ არის ის. წარმომავლობას ფასდაუდებელი ღირებულება აქვს. იმ წარმომავლო-

ბას, რომლის სათავე არის ღვთისა და ადამიანების სიყვარული. ძალიან კარგად ვიცი ჩემი გენოფონდის კარგი და ცუდიც, ყველამ ერთად უნდა ვივარჯიშოთ ამ ცუდის გამოსწორებისთვის. ჩემი მოძღვარი მასწავლის, როგორც სპორტსმენს სჭირდება ვარჯიში კუნთების გასაკაშებლად, ასევე, ჩვენც გვჭირდება ვარჯიში ადამიანების და ღვთის სიყვარულში (მეც ვვარჯიშობ).

შეგახსენებთ, ნელთბილ გულში ვერ დაისადგურებს ვერც სიყვარული, ვერც ცოცხალი შეგრძნება წარსულის ძირთა, ვერც მათი მნიშვნელობის შეფასების უნარი. კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ – „წინასწარმეტყველების მაღლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არ მაქვს, არარა ვარო“

ახლა, წლების შემდეგ, რომ შემეძლოს ჩემს კუთხეში დაბრუნება, სიყვარულით დავკოცნიდი მის მაღლიან მიწას, ღრმად შევისუნთქავდი იმ ჰაერს, რომელიც გაჟღერებულია იმ წმინდა მამების ლოცვა-კურთხევით, საკმეველის სურნელით, რომელიც იმ შორეულ წლებში ჩემამდე ვერ აღწევდა. იმ ადგილებს მოვილოცავდი, სადაც ღვთისათვის შეწირული მამები და დედები მოსანგრებოდნენ. რომ შემეძლოს...

მე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა აალებული და მოგიზგიზე სული ვარ. ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა სულით გაზრდილი. უკვე რამდენი ხანია დედამიწაზე სიძულვილით უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით. დედამიწაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვალებისა. გაცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ და აღვსდგები მკვდრეთით... მე, გვედრებით თქვენ ადამიანებს, მე... მზე, დამბრუნეთ სიცოცხლე ჩემი, დედამიწაზე სიყვარულად აღმოცენებული, დამბრუნეთ სიყვარული და მე კვლავ დაგბრუნდებით თქვენ... – ნოდარ დუმბაძე. ღვთივ-განბრძნობილ კაცთა გულისხედევა აღემატება ხოლმე ჩვეულებრივი მოკვდავისას, მზის სიმბოლიკას, რომელიც ასე უხვად არის გამოყენებული დუმბაძის ნაწარმოებში, ვერ ვწვდებოდი, მეგონა ეს იმ მზის საფერებელი სიტყვები იყო, რომელიც გასაოცარი სიყვარულით ათბობდა ნოდარი ბიძიას გულრიფშს, მის გულს, ჩემი სოხუმის მთასა და ზღვას. თურმე მზის სიმბოლოს თქვენს ნაწარმოებში გაცილებთ დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ისევე როგორც ლაზარეს სიმბოლოს სახარებაში.

ინგა დუმბაძე
ჟურნალი „კარიბჭე“ 2011 წ.

ქართული მაცნიერის კვლევა მასაქლოა ქაშობრიობის ისტორია თაჰაყირა ღაყაანოს


ქართული ანბანი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლით ადრე არსებობდა. მე-10 საუკუნის ქართველი მწერლისა და ჰიმნოგრაფის იოანე ზოსიმეს საგალობელი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ რამდენიმე ათწლეულია ქართული ენათმეცნიერების კვლევის საგანია. ამ ტექსზე არაერთ გამოჩენილ ქართველ მკვლევარს უმუშავია, როგორც იტყვიან, თავიც უმტვრევია, რომ მასში დაშიფრული საიდუმლო ამოეხსნა. როგორც ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექო ცინცაძე აცხადებს, მან იოანე ზოსიმეს ტექსტის გასაშიფრად სპეციალური მათემატიკური მეთოდი – ჰემატრია გამოიყენა და საუკუნოვან თავსატეხს ახადა ფარადა. „ქება და დიდება“ რომ დაშიფრული ტექსტია, ეს თავიდანვე იყო ცხადი, ერთი შეხედვით, ტექსტში უამრავი უზუსტობაა, ზოგჯერ ავტორი სიტყვას ასოებს უმატებს, მაგალითად, „დღემდე“-ს სამი „მ“-თი წერს და ტექსტში ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ თ „დღემდე“... თუ „დამარხულს“ ერთგან სწორად წერს, მეორეგან „ლ“-ს აკლებს და ასე შემდეგ. თვლიდნენ, რომ იოანე ზოსიმე ან ცუდად ხედავდა, ან ბუნდოვანება

მისი წერის სტილი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. იოანე ზოსიმე ტექსტში ახსენებს სიტყვას – „მარაგი“ – ესე არს სიტყვა, რომელსაც ღრუბელი რამე ემოსოს და ორ-სამ რიგად უნდა გაისინჯოს“.

ბატონმა თამაზ ჩხენკელმა დაასკვნა, რომ „ქება და დიდება“-ს ტექსტი გაშიფრულია, ალექსანდრე ცაგარელმა, კორნელი კეკელიძემ და პავლე ინგოროყვამ კი ამ ტექსტის შინაარსი ასე განმარტეს – „ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი. მეორედ მოსვლის შემდეგ უფალი ქარულად განიკითხავს.“ ამდენად, იოანე ზოსიმეს ტექსტს დიდი სარწმუნოებრივი მნიშვნელობა მიეცა. 130 წელია, რაც ეს ტექსტი იქნა ნაპოვნი. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში იგი ჯერ იპოვა კონსტანტინე ფონტიშენდორფმა. ტექსტის ფრაგმენტები გამო-

აქვეყნა მარი ბროსემ, მაგრამ ტექსტი ისევ დაიკარგა და მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ის იპოვა ალექსანდრე ცაგარელმა. 130 წლის განმავლობაში ქართული ენათმეცნიერება ამ ტექსტს უტრიალებდა. მის გამოფერასთან ყველაზე ახლოს იყო თამაზ ჩხენკელი. საერთოდ „ქება და დიდებას“ შესახებ ასამდე სამეცნიერო ნაშრომია დაწერილი. აღმოჩნდა, რომ ასეთი ტექსტების დაშიფვრის მეთოდი მსოფლიო ენათმეცნიერებისათვის ცნობილია. სამწუხაროდ, მხოლოდ ქართული ენათმეცნიერებისათვის იყო უცნობი. როცა ასეთი დაშიფრული ტექსტი ინერება, მაშინ შიფრის გასაღები თვითონ ტექსტშივეა და არა სადმე სხვაგან. ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ იოანე ზოსიმეს ხელნაწერს, აღმოვაჩინოთ, რომ ის ერთსა და იმავე ინფორმაციას ორ წინადადებაში იძლევა. ერთგან წერს, რომ ქართული, როგორც ლაზარე, ოთხი დღის მკედარია და თითო დღე უნდა ვიანგარიშოთ, როგორც 1000 წელი, რაც ჯამში ოთხიათასს იძლევა. ესე იგი სახარებაში ასოწილის და გვაძლევს 4 ათასს, წერს იოანე ზოსიმე. მოგეხსენებათ, ქართულ ანბანში 4 ათასს აღნიშნავს ასო

„წ“ (წილი). დიახ, როცა ციფრები შემოღებული არ იყო, რიცხვების ჩასაწერად ასოები გამოიყენებოდა და ანბანის ყველა ასოს თავისი რიცხვითი მნიშვნელობა და რიგითი სათვალავი აქვს. ქართულ ანბანში „წ“-ს (წილის) რიცხვითი მნიშვნელობა არის 4 000. იოანე ზოსიმე ორ სხვადასხვა წინადადებაში ერთსა და იმავე ინფორმაციას იძლევა. მივხედით, რომ აქ საქმე გვექონდა რალაც დაშიფრულ ინფორმაციასთან. კიდევ ერთხელ დააკვირდით იოანე ზოსიმე წერს – „წილის, რომელ ასოი არს და იტყვის ოთხათასსა“... ესე იგი მას ასო გადაჰყავს რიცხვით მნიშვნელობაში, რაც პირდაპირ იძლევა ბიბლიის დაშიფვრის ერთ-ერთი მეთოდის მექანიზმს. ბიბლიის დაშიფვრის სამი მეთოდი არსებობს – ნოტარიკონი, თემურა და ჰემატრია. პირველი ორი ლექსიკური ფორმაა,





როგორც გაირკვა, სტატისტიკურად და ალბათურად სრულიად არასანდოა. ამას ებრაელი მეცნიერები აღიარებდნენ, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და ნოტარიკონსა და თემურას აღარ იყენებდნენ. რაც შეეხება ჰემატრიას, ეს არის დაშიფრული ტექსტის გახსნის რიცხვული მეთოდი, რომლის საიმელოზაც მალალია და ენათმეცნიერები, ძირითადად ამ მეთოდს იყენებდნენ. მეც, „ქება და დიდებას“ ტექსტის გაშიფრვას სწორედ ჰემატრიული მეთოდით მივუდექი, რომლის საფუძვლებიც არის მათემატიკური ლოგიკა, მათემატიკური სტატისტიკა, ალბათობის თეორიისა და რიცხვითი სიმბოლიზმის ელემენტები. აქამდეც ცნობილი იყო, რომ ჰემატრია მხოლოდ ბიბლიის შემქმნელ ხალხს ჰქონდათ. ებრაელი მეცნიერები წერდნენ, რომ ჰემატრია მხოლოდ ძველი ივრითის გაშიფვრის მეთოდი და ის ქალდეაში შეიქმნა. სწორედ, ამიტომ „ქება და დიდებას“ ტექსტის გასაშიფრად ჯერ ქართული ჰემატრიის წესები უნდა აღდგენილიყო, რაზეც ბატონმა ალიკო ცინცაძემ დაიწყო მუშაობა. ებრაელ მეცნიერებს ძველი ივრითის გასაშიფრად ჰემატრიის 70 წესი აქვთ აღდგენილი, ხოლო ბატონმა ალიკო ცინცაძემ 20 წესი აღადგინა. როგორც გაირკვა, ქართული ჰემატრია გაცილებით მარტივია, რიცხვით მნიშვნელობებს არ იყენებს და ასოების რიგით სათვალავს ეყრდნობა. უკვე ის ფაქტი, რომ ქართული ჰემატრიის არსებობა დადასტურდა სრულიად ცალსახად, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ებრაელი მეცნიერები წერენ, რომ თუ სადმე გამოყენებული იყო ჰემატრია, ეს უნდა ყოფილიყო ღმერთების პანთეონთან მიმართებაში, რადგან ღმერთების სახელებს ინახავდნენ შიფრული მეთოდით. აი, ასე, იოანე ზოსიმეს ტექსტის გაშიფვრიდან, რომელიც მე-10 საუკუნის ხელნაწერია, ჰემატრიის კვლევისას თავი ამოვყავი წინარე ქრისტიანული პერიოდის ძველი ქართული სიტყვების კვლევაში – ამბობს ალეკო ცინცაძე. რაც ებრაული ჰემატრიისათვის გამოიყენება, იგივე წესი გამოიყენება ქართული ჰემატრიისათვის, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ებრაელებისათვის მზე რვათვალაა, ჩვენთვის – ცხრათვალა. ამიტომ, ებრაელებისათვის ღმერთის რიცხვი არის 88 ან 888, ხოლო ჩვენთვის უნდა ყოფილიყო 99 ან 999. „აღმოვაჩინე წინარე ქართველური სიტყვა, რომელიც თან ღმერთს აღნიშნავს, თან 99-საც იძლევა და 999-საც, ეს სიტყვაა ლორონთი, რაც მეგრულად ღმერთს ნიშნავს – დასძენს ალეკო ცინცაძე. აღმოჩნდა, რომ ჰემატრიით 99-ს იძლევა არა მარტო სიტყვა „ლორონთ“, არამედ სიტყვა „მამა ღმერთი“ – „ქრისტე“ და ასე შემდეგ. ქართულ ჰემატრიაში ორი რიცხვი აღნიშნავს ღმერთს–99 და 51. ერთი ღმერთის ღვთაებრივი ბუნებაა, მეორე ადამიანური. 99-აღნიშნავს მამა ღმერთს, ქრისტეს, ხოლო 51 – ღმერთს,

რაც სვანურად ნიშნავს ღმერთს, ასევე უძველესი სვანური და ფშავ-ხევსურული ღვთაებრივი კვირია და მორიგე, რომლებიც ქრისტეს წინარე სახეებია. ჰემიტრიით იძლევა 51-ს.

ჩვენი ნიშარები – ქარდველები ინფორმაციას იღებდნენ ცაზე, კერძოდ ზომავდნენ მზის გადახრის კუთხეს. მზე დედამიწაზე ერთსა და იმავე ადგილზე არ ამოდის, იგი გადაიხრება ორ ბუდობას შორის 47 გრადუსზე და ნახევარ წელში უკან ბრუნდება, ესე იგი 47 გრადუსით იქით გადაადგილდა, 47 გრადუსით აქეთ, ჯამში კი 94 გრადუსი მოგვცა. ეს სწორედ, ის 94 გრადუსია, რომელზეც იოანე ზოსიმე წერს – „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი“... ის საუბრობს ყოველ წელიწადში მზის 94-გრადუსიან გადახრაზე.

იოანე ზოსიმე ბერი იყო, სინას მთაზე ცხოვრობდა, კარგად იცნობდა ბერძნულ ჰემატრიას, რომელიც ქართულ ენაზე გამოსცადა და აღმოჩინა, რომ ქართულ სიტყვებში სასწაული ინფორმაციაა დაშიფრული. იოანე ზოსიმემ პრიზი დაანესა – ვინც მის ხელნაწერს გაშიფრავდა, ხელში ის გასაღები აღმოაჩნდებოდა, რომლითაც ძველ ქართულში დაშიფრულ სასწაულზე შესაძლებელი იყო მუშაობა. ასე აღმოვჩნდით წინარე ქრისტიანულ პერიოდში და ქურუმთა ფარული ენის კვალს მივაკვლიეთ. ყველა ქართული სიტყვა, რომელიც იმ დროის ერთეულს აღნიშნავს, ჰემატრიით არის შედგენილი. სიტყვებია წელი, წელიწადი, ნანა (მეგრულად წელს ნიშნავს) – მოქცევა (წელიწადსაც ნიშნავს და ქრისტიანობასაც). მზის ამოსვლის წერტილი წლის განმავლობაში კუთხურად გადაიხრება 94 გრადუსით, 47 გრადუსი იქით, 47-აქეთ. სიტყვა ნანა მეგრულად წელი ჰემატრიულად 47-ს იძლევა, ხოლო სიტყვები მოქცევა და წელიწადი-94-ს. ალეკო ცინცაძე დასძენს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლით ადრე მზის ნახევარწლიური გადახრა იყო 48 გრადუსი. სიტყვა-წელი ჰემატრიულად 48-ს იძლევა. რადგან დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვები ჰემატრიის პრინციპით არის შედგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლით ადრე ქართული ანბანი არსებობდა, ის ცოდნა, რომელიც ქალდეურ ენად ითვლებოდა და ძველ ქალდეურს უკავშირდებოდა. ცხადად გამოჩნდა, რომ ძველ ქართულშია ჩადებული, ქურუმთა ფარული ენა ორგანულად იყო დაკავშირებული ძველ ქართულთან. სიტყვები „ქალდეა“ და „იბერია“ ჰემატრიულად იძლევა 47-ს, ესე იგი მზის გადახრის ნახევარ წლიურ კუთხეს, ქალდეა და იბერია ერთი და იგივეა. შემდეგ, როცა ქრისტიანობა მივიღეთ, იბერია გახდა ივერია. ჰემატრიულად ივერიას იძლევა 51-ს, იმავე რიცხვს, რასაც იძლევა სიტყვა იესო.



როსტოვის სავადმყოფოს მედიცინური სპეციალური საბავშვო განყოფილების გახსნის შესახებ

იპოთეკით დატვირთული კლინიკის მოწესრიგება, გაურკვეველი ვადით არის გადადებული



რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ჩოხატაურის სავადმყოფოს შენობა

„ადითი“ „აიპოპის“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც საქართველოში 2008 წელს შემოვიდა. ქვეყნის მასშტაბით მან რამდენიმე სავადმყოფო შეიძინა, მათ შორის ორი გურიის რაიონში – ჩოხატაურსა და ლანჩხუთში.

უცნობია ის ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა აღებული, თუმცა, ფაქტია, იმ წლების განმავლობაში, რაც „ადითის“ მფლობელობაში იყო აღნიშნული სავადმყოფოები, არც გარემონტებულა, არც აპარატურით აღიჭურვა და მედპერსონალიც სახელფასო დავალიანების გამო ხშირად აწყობდა გაფიცვას.

რაც შეეხება პირობებს – ჩოხატაურის სავადმყოფოში, რომელიც ამჟამად რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის საკუთრებაშია, ძალიან მძიმე პირობებია. გაურემონტებელი და მოუნერსიგებელია პალატები, მოძველებულია აპარატურა.

შპს ჯანდაცვის რეგიონალური ცენტრის ჩოხატაურის სავადმყოფო სექტემბრიდან გადაეცა. იანვრამდე მედპერსონალი მოჭრით ხელფასს იღებდა, თუმცა, იანვრიდან ისინი გამომუშავებაზე გადავიდნენ.

– ყველაფრის მიუხედავად, პაციენტები გვყავს და ვემსახურებით. თუმცა, მარტი დაიწყო და იანვრის ხელფასიც არ მიგვიღია ჯერ, – აღნიშნეს ჩვენთან საუბარში ექიმებმა.

– პირობები როგორია თქვენც ხედავთ. ორი დღეა წყალი არ გვქონია, ამიტომ რა იატაკიცაა, ისიც არ მორეცხილა. ძალიან მძიმე მგდომარეობაა, როდის წავალთ სახლში, ერთი სული გვაქვს, – გვითხრეს მნოლიარე ავადმყოფებმა.

– ექიმებს არ ვემდურით, ყველანი კარგად გვემსახურებიან, მაგრამ ამათაც ხომ უნდათ პირობები?! „ადითმა“ დააქცია სავადმყოფო და ახალი მფლობელი რას იზამს, არ ვიცით. მშობიარე მანდ არ მიიყვანება და ბავშვი, – ამბობენ ადგილობრივები.

ჩვენი ინფორმაციით, სავადმყოფოს რემონტი და ახალი აპარატურით აღჭურვა უახლოეს ხანებში იგეგმება. თუმცა „ადითის“ მიერ იპოთეკით დატვირთული კლინიკის მონესრიგება, გაურკვეველი ვადითაა გადადებული.

ჩოხატაურის სავადმყოფოს მედპერსონალს „ადითის“ წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში აქვთ შეტანილი, ისინი სახელფასო დავალიანების დაფარვას ითხოვენ. ამ ფაქტზე კომენტარი ექიმ – ლევან მეგრელიძეს ვთხოვეთ.

– „ადითის“ მფლობელობაში მყოფმა სამმა – ქარელის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის სავადმყოფოებმა სარჩელი სასამართლოში შევიტანეთ. ქარელში „ადითს“ ქონება

დაუყვადღეს და სასაცილო ის იყო, რომ ამ კომპანიას ანგარიშზე მხოლოდ 15 000 ლარი ჰქონდა. შემდეგ ექიმები მოლაპარაკებაზე წავიდნენ, „ადითი“ მათ ყადაღის მოხსნის სანაცვლოდ, სახელფასო დავალიანების გრაფიკით გადახდას დაჰპირდა, რასაც ქარელი დათანხმდა. ლანჩხუთის შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და „ადითს“ დავალიანების გადახდა დაეკისრა. ჩოხატაურს რაც შეეხება, 17 მარტს უნდა გამოცხადებულიყო ვერდიქტი. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, იმის გამო, რომ ბევრი პროცესი იყო, გადაიდო. 17 თებერვლიდან ორი კვირის თავზეც არ არის ცნობილი, თუ როდის გაიმართება სასამართლო პროცესი, რომ გადაწყვეტილება გამოაცხადონ. ცოტა ხანს კიდევ დავიცდით, ამ კვირაშიც თუ არ გამოცხადდება განაჩენი, ამას ექიმების დიდი პროტესტი მოჰყვება. სულ 80 ადამიანს გვაქვს სარჩელი შეტანილი, აქედან ათმა, დანარჩენი 70-დან, უფრო ადრე შეიტანა სარჩელი, თუმცა, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. „ადითი“ ყველაფერს კადრულობს, რომ გააჭიანუროს პროცესი. ისინი ამბობენ, რომ სადაზღვევო კომპანია „ალფას“ ჩასარიცხი აქვს თანხა და მანამდე, დავალიანებას ვერ დაგვიფარავენ.

– რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი?

– საკმაოდ დიდი თანხაა. მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი და ივლისი – ეს თვეები ვიმუშავეთ და მთლიანად დასაფარი აქვთ. გასარკვევია აგრეთვე, აგვისტო და სექტემბერი. „ადითი“ ამბობს, 20 აგვისტომდე ვიყავით ჩვენ ჩოხატაურის სავადმყოფოში. შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი 15-დან 20 სექტემბრამდე ჩამოყალიბდა. ვინ უნდა გადაგვიხადოს აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში ნამუშევარი თანხა? „ადითმა“, თუ ჯანდაცვის ცენტრმა? ამის შესახებ ახალ სარჩელს ვამზადებთ. ამასთან, „ადითმა“ მოგვწერა წერილი, ოქტომბერში, რომელშიც წერია, რომ 20 აგვისტოდან ლიცენზიები გადააბარეს სახელმწიფოს და აღარ ფუნქციონირებენ. თუკი, 20 აგვისტოდან აღარ ფუნქციონირებდნენ, ეს ოქტომბერში უნდა გაგვეგო? მითუმეტეს, რომ ჩვენ, ექიმები სექტემბერშიც კი ავადმყოფების ისტორიებს შპს „ადითს“ ვანერდით.

– როგორც გავიგეთ, „ადითმა“ იპოთეკით დატვირთა ჩოხატაურის სავადმყოფო.

– ჩვენთვის ეს ცნობილია, თუმცა, როგორც აგვისტოს, ეს ხელს არ შეუშლის დავალიანების დაფარვას. ბანკს ჯერ არაფერი ჩამოუერთმევია მათთვის. ისე, პირადად მაქვს მინისტრ დავით სერგეენკოსგან მოსმენილი განცხადება, რომ „ადითს“ დაქვემდებარებული სავადმყოფოები, ქონებასთან ერთად სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა. ისიც საკითხავია, იპოთეკით დატვირთული ქონება, როგორ გადაიფორმა სახელმწიფომ?

– გავრცელდა ინფორმაცია, სავადმყოფო შესაძლოა, ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში გადავიდეს...

– ამ თემაზე დიდი ხანია მიდის საუბარი. ზაფხულის შემდეგ გვპირდებიან ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ახალი აპარატურას შეიძენენ, თუმცა, გადაჭრით ვერაფერს გვეუბნებიან. რალაც მონახაზი ხომ უნდა არსებობდეს, თუკი ვინმე რამეს სერიოზულად ფიქრობს?! მედპერსონალს ეშინია უმუშევარი არ დარჩეს. ყოველდღე კითხულობენ: „ხომ არ დავიხურებით?“ ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაცენ. იმედია, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, თუ არა, შემდეგ სხვანაირად ვიმოქმედებთ.

ია ტაკიძე

„აღიიი“ შიარ ღაზოწეგული შეკვიღჩეოგა“ ლანჩხუიიი სავადმყოფოში

საქართველოს რვა რეგიონში სამედიცინო დაწესებულებებში შპს „აღიიი“ შესვლას და წასვლას ხმაურისა და დაპირისპირების გარეშე არ ჩაუვლია. ამის შესახებ აქტიურად წერდენ ადგილობრივი და რეგიონული მედიასაშუალებები, სადაო საკითხების მოგვარებაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად ჩაერთო ცენტრის დირექტორი, ქალბატონი თინათინ გოგუაძე. შემდეგ კი საქართველოს მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი თემურ ჩხაიძე, მედიაციის სამსახური და შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტრო. „აღიიი“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულყოფილად და კეთილსინდისიერად არცერთ შემთხვევაში არ შეუსრულებია, რასაც ლანჩხუთელ მედიკოსთა არნახული საპროტესტო მუხტი მოჰყვა, რომელსაც შეუერთდა ლანჩხუთის მოქალაქეთა ერთი ჯგუფი.

მოკლედ მოგიხრობთ იმ ფაქტების შესახებ, რომელსაც „აღიიი“ შემოსვლის შემდეგ ლანჩხუთის ყოფილ რაიონულ სავადმყოფოში ჰქონდა ადგილი. სანდო წყარომ მოგვანოდა ოფიციალური მასალები, მასზე დაყრდნობით შემოგთავაზებთ რეალურ სურათს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 2010 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ტერიტორიული ორგანოს), სახელმწიფო ორგანოსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო აუქციონის მომწყობი კომისიის მიერ გაიცა სახელმწიფო ქონების პროვატიზებისას პირობებით გამოცხადებულ საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა №16ა.

ოქმიდან ცალსახად ჩანს, რომ „პრივატიზების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააუქციონო კომისიის მიერ 2010 წლის 29 სექტემბერს მოწყობილ საჯარო აუქციონის მიერ შემოთავაზებული საფასურის 550 000 (ხუთასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში გადახდის საფუძველზე „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო სანარმო“-ზე (ნარმომადგენელი გიორგი მთვარაძე. უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შპს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო სანარმო“ 2010 წლის 28 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმით) გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში მყიდველი) და მას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით საკუთრებაში გადაეცა შპს „ჯანმრთელობა 2000“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი (საიდენტიფიკაციო კოდი 404381165).“

საგულისხმოა, რომ შპს „ჯანმრთელობა 2000“-ის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ, არაოფიციალური ვერსიით გახლავთ ორგანიზაცია, რომელმაც „აღიიისათვის“ ერთი ქოლგის ქვეშ მოაქცია საქართველოს რვა რეგიონის – ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ვანის, ხარაგაულის, ასპინძის, ლენტეხის, ქარელისა და დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებები. აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სავარაუდოდ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიხდა ერთიანი თანხა 550 000 (ხუთასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი ლარებში. რა

თანხა გადაიხდა კონკრეტულად ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ან რომელიმე სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ეს ინფორმაცია ოფიციალურად ვერ მივიღეთ, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით „აღიითა“, რომლის უკანაც თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით კეზერაშვილი იდგა, ეს თითო ლარად „მოახერხა“.

აქვე დავაკონკრეტოთ, რომ შვილობილი კომპანია შპს „აღიიი“ შპს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო სანარმო“ იმ დღეებში დააფუძნა.

2011 წლის 1 მარტს ქ. თბილისში შპს „აღიითა“ და სს „მიხილ ჩაჩავას სახელობის სამედიცინო ცენტრს“ შორის გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება (№01101), რომლის მიხედვითაც 2011 წლის პირველი მარტიდან სამწლიანი ვადით ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრის მის დაქვემდებარებაში გადავიდა და საქმიანობას ოფიციალურად შეუდგა.

მედიკოსთა მხრიდან პირველი ხმამაღალი პროტესტი და უკმაყოფილება „აღიითს“ საკადრო პოლიტიკამ გამოიწვია. გაურკვეველ ფორმატში ჩატარებული ტესტებითა და გასაუბრებებით, ფაქტობრივად, განახევრდა თანამშრომელთა რიცხვი, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ საქმე კერძო მფლობელთან ჰქონდათ, სასამართლოში საჩივარი არავის შეუტანია. ერთი წლის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, როცა მედიკოსებს ანაზღაურება მიზერულ თანხებამდე დაუყვანეს და ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში არც იმ შემცირებულ ხელფასებს უხდიდნენ. საუბარი აღარ იყო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე – ახალი კლინიკის მშენებლობასა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვაზე.

გთავაზობთ ამონარიდს სტატიიდან „მედიკოსთა გამაფრთხილებელი აქცია“ (გაზეთი „ლანჩხუთი პლუს“, №28, 16 აპრილი, 2012 წელი):

„დოდო წერეთელი (მედლა): – დღეს უკვე ექთნების ხელფასი 25 ლარზე ჩამოიყვანეს. ადრე ვლებულობდი 200-400 ლარს, შემდეგ ჩემი ხელფასი „აღიითა“ 150 ლარი გახდა, ახლა 25-30 ლარია. ისიც ნოემბრის მერე არ მიგვიღია. ამიხსნას ვინმემ ამ ხელფასით ცხოვრება თუ შეიძლება. რა ვქნათ, ვის მივმართოთ?“



რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ლანჩხუთის სავადმყოფოს შენობა

ფლორიდა იმნაიშვილი (მედა): – „საოპერაციოს ექ-
თან ვარ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. ახლა, „ადი-
თის“ ხელში რომ ვართ, ასეთი მდგომარეობა არასდროს
არ ყოფილა საავადმყოფოში. მე კი ვლებულობ ხელფასს
25 ლარს, მაგრამ არიან ექთნები, რომლებსაც 8 ლარი, ან
14 ლარი აქვთ ხელფასი. თინიკო ჩხაიძეს ყველა იცნობს
ლანჩხუთში, რაბილოლოგიური განყოფილების ექთნად მუ-
შაობს, 21 ლარს უხდის. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ღირსება
გაგაჩნია, რომელ ქვეყანაშია ასეთი ამბავი, სად შეიძლება
ექთნებს და ექიმებს ასე დასცინონ და თანაც ხეირიანი პა-
სუხის ღირსადაც არავინ ჩაგვეთვალოს...“

ნანა ცინცაძე (ექიმი, ბავშვთა განყოფილება): – „თავ-
დაპირველად, როცა ჩვენთან „ადითი“ შემოვიდა, პაციენ-
ტის მიმართვიანობა უფრო მაღალი იყო. შესაბამისად,
ჩვენი ექიმების ფიქსირებული ხელფასიც 400 ლარი იყო.
მერე ეს თანხა 300 ლარამდე შეგვიმცირეს, სამაგიეროდ,
სამუშაო რეჟიმი გაამკაცრეს და 24 საათიან გრაფიკზე გა-
დაგვიყვანეს. მოგვიანებით ფიქსირებული ხელფასები ექი-
მებისთვის გახდა 200 ლარი, რომელსაც გამომუშავებული
თანხიდან (ანუ პაციენტებიდან შესული გარკვეული პრო-
ცენტი) ემატებოდა, დაახლოებით 100 ლარი და საშუალოდ
ექიმის ხელფასი 300 ლარი გახდა.

უკვე ერთი წელია მფლობელმა კომპანიამ მხოლოდ
გამომუშავებაზე გადაგვიყვანა. ამას აკლდება მედიკამენ-
ტების და გამოკვლევების ფული. თუ ადრე პაციენტის
სამედიცინო მომსახურებაში განუული ხარჯი შეადგენდა,
მაგალითად 100 ლარს, მასში ნაანგარიშევი იყო გამოკ-
ვლევების და საჭირო ნამლების ღირებულება. მაშინ ექიმს
ედლეოდა 18% ამ 100 ლარიდან. ახლა გამოთვლის წესი
შეცვალეს და ის 18% ექიმისთვის იანგარიშება არა პაციენ-
ტის მომსახურების საერთო ღირებულებიდან, არამედ მას
შემდეგ, რაც პაციენტის მომსახურების საერთო ღირებუ-
ლებას გამოაკლებენ გამოკვლევისა და მედიკამენტების
ფულს, დაახლოებით 50-60 ლარიდან.

გაითვალისწინეთ, რომ თანაგადახდის პირობებში პა-
ციენტი თავად იხდის სამედიცინო მომსახურებისთვის
თანხას, რომელიც „ადითს“ მიაქვს.

ჩვენ კი დეკემბერ-იანვრის ხელფასები არ გადაგვიხა-
დეს იმიტომ რომ „ავერსს“ არ გადაუხადა „ადითმა“ მე-
დიკამენტების ფული და სამაგიეროდ, ჩვენი ხელფასები
ჩაურიცხეს. ყოველი შემთხვევისთვის, როცა ხელფასები
მოვითხოვეთ, „ადითისგან“ ასეთი პასუხი მივიღეთ. ამას
ისინი ეგრეთ წოდებულ ჩათვლის მეთოდს ეძახიან.

ავადმყოფის სიცოცხლისათვის ბრძოლაში თავზე დაგ-
ვთენებია, გამოგვიძახებენ და ადგილზე ფეხით უნდა მი-
ვიდეთ. საუკეთესო ქირურგი ომარ ხაჩიძე დაგვიბრუნდა
უკან და არ შევინარჩუნეთ? ურთულეს ოპერაციებს აკე-
თებს და ხელფასი არ უნდა გადაუხადონ?“

ინო კვირკველია (ექიმი ინფექციონისტი): „ყველა ინს-
ტანციას მივმართეთ, ხელისუფლებამ არ უნდა მოუსმინოს
ხალხს, მაინდამინც გზები გადავკეტოთ?! თუ „ავერსის“
კლინიკა გაფართოვდება და აგვისტოში, ან სექტემბერში
გაიხსნება, ჩვენ რა ბედი გველის?! მანამდე ეტყობა გვამუ-
შავებენ უფასოდ და არ გადაგვიხდიან ხელფასს.

ამდენი წელია ვმუშაობთ და ფასიანი შევბუღებით ერ-
თხელაც არ გვისარგებლია. დარღვეულია მორიგეობის პი-
რობებიც, თუ არ მოგწონთ, მიბრძანდითო, – გვითხრეს...“

ომარ ხაჩიძე (ქირურგი): – „ადრე 13-15 ოპერაციის ხარჯ-
ზე ავდიოდი 1000 ლარამდე, გარდა ამისა ხომ არიან პაციენ-
ტები, რომლებიც სხვადასხვა ჩივილებით მოდიან. ასე რომ
დატვირთვა მიაქვს, მაგრამ... პრობლემები ნამდვილად არის.“

სათუნა ბარამიძე (ექიმი-ლაბორანტი): „ჩვენ ლაბორატო-
რიაში 24 საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. ვემსახურებით სა-
ხელმწიფო პროგრამებს, პოლისიანებს, ყველა კატეგორიის
პაციენტებს. განყოფილებებს ყველას სჭირდება ლაბორა-
ტორიული გამოკვლევები. ხელფასები გვაქვს 70-80 ლარი.
ისიც ნოემბრის შემდეგ არ მიგვიღია...“

მადონა ხუხუნიშვილი (ბებია-ექთანი): „43 ლარიან ხელ-
ფასის პირობებში ვმუშაობ შემდეგნაირი მოთხოვნებით,
თვეში მიაქვს 10 მორიგეობა. „ადითმა“ პალატის ექთნის
მორიგეობა შეამცირა, რაც მორიგე ექთნის, ანუ ჩემს პა-
სუხისმგებლობას ზრდის. გამოდის, რომ მე მევალება პა-
ლატაში ბავშვისა და მელოგინის მოვლა. ადრე 180 ლარი
მქონდა ხელფასი. „ადითი“ რომ შემოვიდა ჩვენთან, კო-
ლეგების შემცირება მოინდომა. გადავწყვიტეთ, ჩვენს ხარ-
ჯზე შეგვენარჩუნებინა ისინი და ხელფასები ერთმანეთს
გავუყავით. დაახლოებით 60 ლარი გამოგვიდოდა თითოს.
ამაზე „ადითი“ არ დაგვეთანხმდა, 60 ლარიანი ექთნები ჩვენ
არ გვირდა, ხელფასები უნდა მოვუმატოთ და ხალხი შეამ-
ცირეს, დარჩენილებს კი ხელფასები შეგვიმცირეს და რო-
გორც გითხარით 43 ლარი გავგისხადეს...“

ამ აქტიდან მოკლე დროში ადგილობრივ გაზეთებში
საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლა-
მენტის თავმჯდომარისა და საქართველოს ჯანმრთელობის
მინისტრის სახელზე ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობის
სახელით გამოქვეყნდა მიმართვა „შეგვიწარჩუნეთ საავად-
მყოფო“: – ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ „მედალფას კლინი-
კის“ არსებობის, მაგრამ იქ მკურნალობის ფასები იმდენად
მაღალია, რომ მოსახლეობის უმეტესობა ვერ ვახერხებთ
მისი მომსახურებით სარგებლობას, გარდა სადაზღვევო
პოლისში ჩამოთვლილი მომსახურებისა, ძალიან ბევრი
სხვა რამეც გვჭირდება. „ადითი ლანჩხუთის“ ფილიალი,
როგორც მოგეხსენებათ, რაიონის საავადმყოფოს სამარ-
თალმემკვიდრეა და რაიონის მოსახლეობას მასთან სხვა
ადამიანური ურთიერთობებიც გვაკავშირებს.

მოგეხსენებათ, ლანჩხუთზე საავტომობილო ტრასა გა-
დის და აქ საავადმყოფოს შენარჩუნება აუცილებელია, რა-
დგან არც თუ იშვიათია ავტოსაგზაო შემთხვევები. ჩვენს
ექიმებს კი არაერთი დამავებული ადამიანის სიცოცხლე
გადაურჩენიათ. იქნებ ვინმემ შეგვახსენოს, რომ ოზურგეთ-
ში არის „მედალფას კლინიკის“ მიერ გახსნილი საავადმყო-
ფო, მაგრამ ჩვენ რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას არ
გვაქვს ფინანსური შესაძლებლობა ვიაროთ ოზურგეთში,
ხოლო ვისაც აქვს, დაგვერწმუნეთ, ის თბილისში მკურნა-
ლობას ამჯობინებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გთხოვთ, გაითვა-
ლისწინოთ ჩვენი თხოვნა და დაგვეხმაროთ, რომ რაიონს
შეუნარჩუნდეს საავადმყოფო „ადითისაგან“ დამოუკიდე-
ბლად...“

„ლანჩხუთი-ადითის“ ფილიალში შექმნილი მძიმე მდ-
გომარეობის შესახებ დირექტორმა, ქალბატონმა თინათინ
გოგუაძემ მედიკოსების ჯგუფთან და ადგილობრივ ხელი-
სუფლებასთან ერთად საქმის კურსში ჩააყენეს რაიონის მა-
ჟორიტარი დეპუტატი, ბატონი თემურ ჩხაიძე, რომლის ძა-
ლისხმევეითაც აღნიშნული პრობლემა განიხილა ჯანდაცვის
კომიტეტმა და ბატონმა თემურ ხუნდაძემ, მაგრამ პრო-
ბლემა ადგილიდან არ დაძრულა. ლანჩხუთელი მედიკოსე-
ბი იძულებული გახდნენ გამაფრთხილებელი საპროტესტო
აქცია გაემართათ, რომელსაც ის შედეგი მოჰყვა, რომ 2013
წლის 5 მარტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ჯანდაც-
ვის კომიტეტის თავმჯდომარესთან დიმიტრი ხუნდაძესთან

ერთად გურიის რეგიონის მედპერსონალს შეხვდა. შეხვედრა გაიმართა ლანჩხუთში. შეხვედრის ერთ-ერთი მწვავე საკითხი „ადითის“ თემა გახლდათ. მინისტრის პოზიცია გამოიხატა შემდეგ სიტყვებში: „რაც შეეხება „ადითის“ საკითხს გურიის რეგიონში, დაახლოებით ათი დღის შემდეგ ჩამოვა ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს მონიტორინგს. ამის მიხედვით გადაწყდება ეს საკითხი. აგრეთვე რესპუბლიკის მასშტაბით შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის ნებისმიერი სამედიცინო ერთეულის პრევატიზაციის საკითხს და შესაბამის დასკვნას გააკეთებს...“

ლანჩხუთში მინისტრის ვიზიტიდან ერთი წლის თავზე შემდეგი სურათია:

ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ოფიციალურად „ადითის“ ვადა ამოწურა და ლანჩხუთის სამედიცინო დაწესებულება აღარ შედის მისი დაქვემდებარების ქვეშ. როგორც გვითხრეს, 2013 წლის 20 სექტემბერს დაფუძნდა სახელმწიფო შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი“, რომელმაც მოიცვა საქართველოს იმ რვა რეგიონის სამედიცინო დაწესებულებები, მანამდე „ადითის“ მფლობელობაში იყვნენ. მათ რიცხვში არის ლანჩხუთიც.

აუცილებელი საზგასმის ღირსია შემდეგი ფაქტი – „ადითი“ ისე წავიდა, რომ ლანჩხუთის სამედიცინო დაწესებულება იპოთეკით დატვირთული დატოვა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ, რატომ და რა ფასად დატვირთა იპოთეკით, ადგილზე არავის გააჩნია. მედპერსონალმა სასამართლოში „ადითის“ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ექვსი თვის მიუღებელი ხელფასების გამო, რომელიც ჯამში 120 ათას ლარს აჭარბებს. პროცესი დიდი ხანია ჭიანჭურდება.

მას შემდეგ, რაც დაწესებულება რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის დაქვემდებარებაში გადავიდა, პერსონალმა სახელმწიფოსგან მიიღო სამთვიანი კაპიტალური დაფინანსება, ხოლო მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დაფინ-

ანსება ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით. თუ რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ღვთისა და კაცისგან დავინწყებულ მდიდარი ისტორიისა და უნიკალური წარსულის მქონე ლანჩხუთის ყოფილ რაისაავადმყოფოს, ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ კლინიკის დირექტორს, ქალბატონ თინათინ გოგუაძეს:

– რადგან ამ რვა კლინიკაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ აიღო, ეს ნამდვილად გვაძლევს იმედის საფუძველს, მაგრამ სერიოზული ბარიერი გვექმნება არაჯანსაღი კონკურენციის გამო. მხედველობაში გვაქვს სადაზღვევო ბაზრის მონოპოლია, რომელიც გურიის რეგიონში, მათ შორის ჩვენთან ლანჩხუთშიც „მედალფას“ ხელშია. მის დაქვემდებარებაში რჩება 165-ე დადგენილება, ანუ ზღვეულთა დაფინანსება. მათი მომართვიანობა ჩვენთან არ ხდება, თუ ჩვენ გავუწევთ სამედიცინო მომსახურებას, სადაზღვევო კომპანია არ გვინაზღაურებს არც გადაუდებელს და არც გეგმიურს. სანამ ეს მონოპოლია არსებობს, მუშაობის პირობები „მედალფას“ გარდა არავის ექნება, რადგან ზღვეულებიც მას ჰყავს და სტრუქტურაც მოაწესრიგა...

აქამდე ამბობდნენ, რომ ამ დადგენილებას ვადა პირველი აპრილისთვის ამოწურებაო, ახლა არაოფიციალურად ეს ვადა ოქტომბრამდე გადასწივს (!).

მიზანშეწონილად მიმაჩნია იმ სამსახურების გაძლიერება, რომელიც „მედალფასში“ არ არის, – სამშობიარო, ბავშვთა განყოფილებები... მიუხედავად სირთულეებისა, მოვახერხებთ და სამედიცინო დაწესებულებაში ყველა პროფილის სპეციალისტის შენარჩუნება შევძელით. მუშაობას ვახერხებთ, თუმცა მომართვიანობამ შესამჩნევად იკლო. რადგან სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდით, ალბათ, სახელმწიფო გადანყვეტს ჩვენი საქმიანობის ფორმას, რეალურად ხომ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ, მხოლოდ იმედი დაგვრჩენია...“

კესო მახარაძე



ყველაზე მეტი რეფორმა, დღეს, ბურიას სჭირდება

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი პარტია „რეფორმატორები“ შეიქმნა. პარტიას „საზოგადოებრივი ინიციატივების გაერთიანების ცენტრის“ ხელმძღვანელი – ირაკლი ლლონტი უდგას სათავეში.

„გვაქვს ამბიცია საზოგადოებასთან ახალი ინიციატივებით მივიდეთ. დღეს, თითოეული მოქალაქე ხედავს ქვეყანა ორი ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალის – „ნაციონალური მოძრაობის“ და „კოალიცია ქართული ოცნების“ დაპირისპირების პოლიგონად იქცა. არავინ საუბრობს ეკონომიკის მდგრა-

ლობაზე, ინვესტირებთან ურთიერთობაზე, ტურიზმის განვითარებაზე, განათლებისა და კულტურის სფეროებზე. ამიტომ, გადავწყვიტეთ „რეფორმატორების“ სახელით ვიმოქმედოთ, უახლოეს მომავალში საზოგადოებისგან მაქსიმალურ ლეგიტიმაციას მოვიპოვებთ.

– **ახალ პარტიაში ცნობილი სახეები არ არიან, ისინი მობეზრდა ხალხს?**

– ვერ გეტყვით, მობეზრდა თუ არა, მათ თავიანთი ხედვა აქვთ. ჩვენს გუნდში გაერთიანებულმა ადამიანებმა დაგროვილი ინტელექტუალური კაპიტალი თავისი ქვეყნის განვითარებაში უნდა ჩადონ.

– **მოახლოებულ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას?**

– გვსურს არჩევნებში მონაწილეო-

ბის მიღება, კანდიდატები შერჩეული გვყავს, ისინი ასპარეზზე ჩვენი სახელით იბრძობენ და წარმატებას მივაღწევთ.

– **ირაკლი ოზურგეთში დაიბადე და გაიზარდე, შენს მშობლიურ მუნიციპალიტეტში ასეთივე აქტიური იქნები?**

– რა თქმა უნდა, ყველაზე მძლავრი ოფისი გაიხსნება. ოზურგეთი ჩემთვის ახლობელი და საყვარელი ადგილია, სამწუხაროდ, იქ ხშირად ყოფნას ვერ ვახერხებ. გურიის მიმართ მომეტებული ინტერესი მაქვს არა იმიტომ, რომ ოზურგეთელი ვარ, თვალნათლივ ჩანს, ყველაზე მეტი რეფორმა, დღეს, გურიას სჭირდება.

ვრცელ ინტერესებს ირაკლი ლლონტთან ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ლელა სურმავა



დავით სერგაძე: გუნდშია, პენსიები საზოგადოების ცოცხალი ძალაა

უახლოეს პერიოდში საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური სამინისტროს წარმომადგენლები რეგიონებში, მათ შორის გურიაში, აქტიურ ვიზიტებს დაიწყებენ. მათი განმარტებით არსებულ ვითარებას ადგილზე უფრო ადეკვატურად შეაფასებენ, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და საზოგადოებამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს წარმოებულ აქტივობას არ უნდა დაუკავშიროს. ჟურნალ „გურია REGION-ის“ სტუმარია საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგაძე.

– ბატონო დავით ჯანდაცვისა და სოციალური სფეროები საზოგადოებაში ყველაზე სენსიტიურია, ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

– ჯანდაცვა და სოციალური სფეროები არა მარტო საქართველოში, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში უმთავრესია. რა თქმა უნდა, არც საქართველოა გამონაკლისი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ჯერ მდიდარი და განვითარებული არ არის, ამიტომ, უფრო მეტ ინტერესს იწვევს. საქართველოს მთავრობის ზოგადი პლატფორმა ცნობილია, 2012 წელს პოლიტიკა სოციალურად და თითოეულ ადამიანზე ორიენტირებულად შეიცვალა, რაც კონკრეტულ ციფრებში გამოიხატა, არსებული ბიუჯეტის არაუცილებელი ხარჯების სოციალურ და ჯანდაცვის მიმართულებებზე გადამისამართებით. რის შედეგად სამინისტროს საშუალება მოგვეცა, გავატარეთ ის რეფორმები, როგორც არის – სოციალური ჯანდაცვა და სოციალური პაკეტების ზრდა.

– ნებისმიერ სიახლეს ხალხი მტკივნეულად აღიქვამს, ეს ინფორმაცია როგორ უნდა მივიტანოთ თითოეულ მოქალაქემდე?

– რეფორმა ყოველთვის მტკივნეულია, რადგან ქმედება უკუქმედებას უდრის. თითოეულ ადამიანამდე ეს ინფორმაცია ჯამურად უნდა მიიტანოს მთელმა საზოგადოებამ, ოჯახის ექიმმა, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, თქვენ ჟურნალისტებმა, რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სამინისტრომ. ჩვენ წელიწადზე მეტია სხვადასხვა არხებით, ბეჭდური და ელექტრონული მედიის საშუალებებით, კარგად ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიას ვანარმოებთ, თუმცა კომუნიკაცია ისეთი თემაა, მუდმივ გაუმჯობესებას საჭიროებს. ამიტომ, ჩვენ უახლოეს პერიოდში საქართველოს რეგიონებში, მათ შორის გურიაში, აქტიურ ვიზიტ-

ბს დავიწყებთ. ამ პერიოდში დაგროვილ საკითხებზე გავცემთ პასუხს, მივანოდებთ ინფორმაციას, ვეცდებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

– უფრო კონკრეტულად რა საკითხებზე გექნებათ საუბარი?

– შეხვედრის მიზანი შეიძლება სამეტაპად დაიყოს – არსებული მიმდინარე პროექტების შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულობა, საყოველთაო ჯანდაცვა, რეფორმის გარდამავალ პერიოდში პრობლემების აღმოფხვრა, ამ შემთხვევაში უფრო ტექნიკური ხარვეზებია და ინფორმაციის გაცვლა. ასეთი ფორმატის შეხვედრები გეგმება, კონკრეტულ კითხვებს მოვისმენთ და შესაბამის პასუხებს გავცემთ.

– უშუალოდ თქვენ მიიღებთ მონაწილეობას?

– რა თქმა უნდა, თუმცა საზოგადოებაში ხშირად მცდარი მოლოდინია, თითქოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსკლუზიურად მხოლოდ მინისტრი წარმოადგენს. ეს დიდი სისტემაა, სადაც რამდენიმე ათასი თანამშრომელია და დეპარტამენტების მიხედვით ფუნქციები მკაფიოდ დელეგირებულია. ჩვენს სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ რეგიონებში შეხვედრები უკვე მიმდინარეობს, აქტუალური კამპანიაა რეცეპტების დანერგვასთან დაკავშირებით, ასე რომ ახალი და განსაკუთრებული არაფერი ხდება.

– ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საავადმყოფოებში კომპანია „ადითმა“ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, მოუწესრგებელია ინფრასტრუქტურა, მედპერსონალს ორი თვეა ხელფასი არ მიუღია. ჩვენ წყაროზე დაყრდნობით, ჩოხატაურის საავადმყოფო იპოთეკით არის დატვირთული. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, როგორ რეაგირებს სამინისტრო?

– ზოგადად გურიის რეგიონის ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებში დეტალურად ვარ გარკ-

ვეული. მთელი სისტემა შესწავლილია, კომპანია „ადითი“ აღარ ფუნქციონირებს, მართვა სახელმწიფომ აიღო. ალბათ, ექიმები დაგიდასტურებენ თითქმის ნახევარწლიანი, უფრო მეტი სახელფასო დავალიანება გავისტუმრეთ, ახლა მიმდინარე დავალიანებებს გავცემთ. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, ეს ადგილობრივ მმართველობასთან ერთად უნდა მოგვარდეს. ჩვენ უკვე კომპანია „ადითის“ მართვის ქვეშ მყოფი დანესებულებების, მათ შორის გურიის, შეფასებითი ნაწილი დავასრულეთ, გვაქვს კონკრეტული რეკომენდაციები, თუ სად, რა უნდა გაკეთდეს. მოლოდინი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე რეალობა.

– საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვი შემცირდა, თუ გაიზარდა, თქვენ რა მონაცემებს ფლობთ, როგორია სტატისტიკა?

– სოციალურად დაუცველების პიკური რაოდენობა 560 ათასი იყო, ამ ეტაპზე 400-450 ათასის ფარგლებშია. ეს ციფრები ცვლილებას განიცდის, არის ახალი შედინებები, როცა ადამიანების სოციალური მდგომარეობა უარესდება, ისინი ექვემდებარებიან ამ სოციალურ დახმარებას. სამწუხაროდ, იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანი სიღარიბის მორევს დაძლევს და გამოდის სიიდან. ამ დინამიკას ჰქონდა ცალსახა პოლიტიკური მოვლენები-სადმი კოლერაცია, როცა გარკვეულ ინსტრუმენტად იყენებდნენ. ვცდილობთ, ეს მონაცემები ობიექტური იყოს, ნულოვანი პოლიტიზირებით და რეალურად ადამიანების საჭიროებაზე ორიენტირებული. წინასწარჩვენო აქტივობებთან ზუსტ თანხვედრაში იყო, ახლა უფრო გლუვი გახდა. საბოლოო ჯამში ბევრად სამართლიანი იქნება.

– მოქალაქეების ეკონომიკური

მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია საქსტატის მონაცემები. გაქვთ თუ არა ამ სამსახურთან სისტემატიური ურთიერთობა?

- აქტიურად ვთანამშრომლობთ, მის ხელმძღვანელთან მქონდა შეხვედრა, საყოველთაო ჯანდაცვასთან დაკავშირებით შევთავაზეთ ჩვენი ხედვა, თუ რა ინდიკატორები შეიძლება დაემატოს. მათ კონსტრუქციულად მიიღეს და გაითვალისწინეს. რაც შეეხება სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზის კონტროლს, ეს ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. სტატისტიკის სამსახური გარკვეული პერიოდულობით შინამეურნეობის შესწავლას ახდენს - სტატისტიკური კანონებით დადგენილ მინიმალურ ვალიდურ რაოდენობაზე დაყრდნობით, 3 ათასი ოჯახი გარკვეული კანონზომიერებით არის შერჩეული. მათი გამოკითხვა ჩვენთვის დამატებითი ინდიკატორია, პრაქტიკულად, სოციალურად დაუცველების ნახევარმილიონიანი ბაზის კონტროლი, მართვა და რეგისტრაცია სამინისტროს კომპეტენციაა.

- თუ გვგმავს სამინისტრო რეგიონებში ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებას?

- ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებაზე საუბრის დროს, მთავარია, განისაზღვროს ეს პრობლემა არის, კარგია, თუ ცუდი. ამიტომ, უნდა დაინერგოს და არსებობს ასეთი სისტემა - ხარისხის კონტროლის შეფასების თვალაღი ინდიკატორები. სუბიექტუ-

რობა გამორიცხულია, ამ სისტემის დანერგვას ვგეგმავთ, რომ ობიექტური ინფორმაცია მოგვცეს, გვიჩვენოს სუსტი წერტილები, გადამზადების განახლების მხრივ, სადა უნდა ვიმოქმედოთ. ახლა ჩვენ ობიექტური მონაცემები არ გვაქვს და დამოკიდებული ვართ სუბიექტურ შეფასებაზე. დაწინაურებული ვარ საქართველოში, მათ შორის გურიაში, ბევრი ღირსეული და კვალიფიციური ექიმი. ჩვენ დავნერგავთ შეფასების ობიექტურ სისტემას, სადაც ყველა შეკითხვას გაცემა პასუხი.

- 2014 წლიდან მოემატებათ თუ არა პენსიები, ასევე ერთ-ერთი აქტუალური თემა დაგროვებითი პენსია.

- ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროებში მოლოდინი ყოველთვის აღემატება იმ რეალობას, რაც გვაქვს. 2013 წელს პენსია 110 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა, რაც თავისთავად ცხადად ჩაითვალა, პოზიტიური უკუკავშირი არ ყოფილა. შედარებისთვის გეტყვით ჯანდაცვის ბიუჯეტი 2,7 მილიარდი ლარია, აქედან 1,7 მილიარდი ლარს, სწორედ, ასაკობრივი პენსიები წარმოადგენს. პენსიის მატება არ არის დამოკიდებული ვინმეს, მათ შორის ჩემს ნება-სურვილზე. ეს ქვეყნის ბიუჯეტის მთლიან მონაცემებზე დამოკიდებული. რაც შეეხება დაგროვებით პენსიას, საკმაოდ მოცულობითი, დიდი პროექტია, მიმდინარეობს შესწავლითი და ანალიტიკური მუშაობა, რისკების შეფასება. ერთ თვეში, ან ერთ წელიწადში ეს პრო-

ექტი ვერ ამოქმედდება. მიმდინარე წლის მანძილზე რაიმე სახის კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილება არი არის გათვალისწინებული.

- ბატონო დავით სამედიცინო ტურიზმის განვითარებას საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს. გურიის სამივე კურორტი უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, თუმცა მასშტაბური პროექტები ყოველთვის დროში იყო განვლილი და წინასწარჩვენო კამპანიების პოლიტიკური ფიარის შემადგენელ კომპონენტად მოიაზრებდნენ. რა შეიცვლება სამომავლოდ?

- სამედიცინო ტურიზმი საკმაოდ ფართო მცნებაა, არა მარტო კურორტოლოგიაში, არამედ ზოგადად სხვა დარგებში მოიხილონ პაციენტები, მომსახურების ეს სერვისები მანქონი და ქვეყანამ დამატებითი შემოსავლები მიიღოს. რამდენიმე კლინიკურ მიმართულებაში, საბედნიეროდ, ამის რესურსი არსებობს. რაც შეეხება კურორტოლოგიას, საქართველოს, მათ შორის გურიას უღვევი რესურსი აქვს. მათი სწორი რეალიზაციისთვის შესაბამისად ორგანიზებული ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას, ეს აუცილებელი წინაპირობაა, შემდეგ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდეს. ჩვენთვის სამედიცინო ტურიზმის განვითარება პრიორიტეტული მიმართულებაა, ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს მაქსიმალურად ავითვისებთ და რეგიონებს დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდებათ.

ლელა სურმავა

ჩემო ერთგვართო...

...ვერ გეტყვით ზუსტად, როდის მომენატრა აკეთი პირველად, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ამ სოფელს და აქაურებს უკავშირდება ჩემი პიროვნებად ფორმირება, დამკვიდრება, ღირებულებათა აღქმა, ადამიანური გრძნობები...

ალარაფერს ვიტყვი სოფლის მდიდარ ისტორიულ წარსულზე, არც ამ სოფელში ამაყად მდგარ მაცხოვრის ეკლესიის რელიგიურ, საგანმანათლებლო და კულტურული კერის მნიშვნელობაზე. შემოვიფარგლოთ უახლესი წარსულით და უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ აკეთი გახლავთ სოფელი, სადაც ჯერ კიდევ საუკუნის წინ, რაიონში ერთ-ერთი პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველო გაიხსნა. გეოგრაფიული განფენილობისა და იშვიათი სილამაზის გათვალისწინებით აკეთს მიმდებარე სოფლებთან მიმართებაში ლიდე-

რი პოზიცია ეკავა.

სულ რომ არაფერი, აკეთი გახლავთ სოფელი, სადაც (ჯერ კიდევ როდინიდან) საკრამიტე მინა მოპოვებოდა და შემდეგ (მგონი 1800-იან წლებში) კრამიტის ქარხანაც მუშაობდა (იქ, სადაც ახლა საბავშვო ბაღის დაუმთავრებელი შენობა დგას). მოგვიანებით კი, კომუნისტურ ეპოქაში გიგანტი საწარმო - აკეთის აგროსამრეწველო გაერთიანება გაუგუნებდა.

ვარაუდობენ, რომ ტოპონიმი „აკეთი“ კეთებისგან, რაიმეს შექმნისგან მომდინარეობს. ამ სახელწოდებას შემთხვევით არ შეარჩევდნენ წინაპრები. ალბათ იმიტომ, რომ აქაურები ისტორიულად კეთებასა და შექმნაზე იყვნენ ორიენტირებულები, ამიტომაც დაარქვეს სამყოფელ ადგილს აკეთი. ისე ერთი კია, უნიჭო კაცი ვერაფერს შექმნის და გააკეთებს, ნიჭს კიდევ გე-

ნეტიკა და გარემო განაპირობებს.

განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს ქვემო აკეთთან. სიტყვა „დედულეთი“ შემთხვევით არ მომიყვანია. დედულეთში ვიზრდებოდი მამის გარეშე. ბევრი ძალიან ახლობელი და ძვირფასი ადამიანი მყავს ამ სოფელში, რომლებსაც ჩემი ბავშვობა და დედაჩემი დღესაც ახსოვთ (მუხლს ვიდრეკ დედის ნათელი ხსოვნის წინაშე. იგი ნაადრევად და ტრაგიკულად ნავიდა ამქვეყნიდან...). გაზაფხული დადგა, ბუნების გამოღვიძება და სიცოცხლის მინიჭება მარტის დღესასწაულების გათვალისწინებით დედის ფენომენს გულისხმობს ჩვენში და თავს ნებას მივცემ სულის სიღრმეში ნასათუთევ სიმებს შევეხო:

მთელ სამყაროში ამაოდ დავიძებ...

სახლში ვართ მე და დედა. ვიქნები ასე 4-5 წლის. ტელევიზორში გადის

მატერული ფილმი „მაგდანას ლურჯა“.

დედა იატაკს წმენდს.

ფილმში იცით რა მომენტი? როცა ქვრივ მაგდანას სახედარს ართმევენ, მანვნის ქილებს უმტკრევენ, ბავშვები კი ხმამალა ტირიან. ამ დროს მაგდანას გული ნაუვა.

ამან ჩემზე სასტიკი ასახვა ჰპოვა, გულამოსკენილმა გავიქეცი და დედას ჩავეხუტე.

დედა რასაკვირველია, მიხვდა ყველაფერს და დამშვიდება დამიწყო, რომ ეს სინამდვილეში არ ხდება, რომ ეს კინოა...

მე არაფერი მესმოდა, იმ ბავშვების გამო ვტიროდი უდედოდ არ დარჩნენ, რა ეშველებათ, დედიკო გეხვენები არ მომიკვდე-მეთქი...

მახსოვს, დედა დიდხანს მანყნარებდა, ეს ფილმი ბავშვების ასატირებლად არ გადაულიათ, ნახე რა კარგი დასასრული აქვსო...

ემოცია, რაც მაშინ მივიღე, დღემდე მომყვება. ცრემლების გარეშე ამ ფილმის ნახვა ამდენი წლის შემდეგაც არ შემიძლია.

ეტყობა შემთხვევით არაფერი ხდება მართლაც. უსაფუძვლო არ ყოფილა-თურმე დედის დაკარგვის ქვეცნობიერი შიში.

ამდენი წელია მისი სულის ნამცეცებს მთელ სამყაროში ამაოდ დავეძებ...

აკეთში, მხოლოდ აკეთში ვპოულობ!...

შენ ხარ ჩემი ვარსკვლავი

ბიძაჩემის მიერ აშენებულ ახალ სახლში ვცხოვრობდით მე, დედა და ბებია. ეს სახლი ახლა გულსაკლავად დგას, შიგნით აღარავის ცხოვრობს...

ღია ფანჯარასთან სანოლზე ვწევართ მე და დედა. ზაფხულის ღამეა. ისეთი კაშკაში გაუდით ვარსკვლავებს, ცაში გაფრენა მოგინდება. რა დამაძინებს!

ვარსკვლავების დათვლა მომინდა. ცას თვალდაუხამხამებლად ვუყურებ, რომ რომელიმე ვარსკვლავი „არ გამოჩნეს“.

უცებ ისეთი შეგრძნება დამეფულა, თითქოს ცა მიახლოვდება და სადაცაა თავზე უნდა დამემხოს. შევკრთი და დედას ჩავეხვიე.

– შენ ხარ ჩემი ვარსკვლავი, – ჩამჩურჩულა დედამ და თბილი ხელები მომხვია.

ბევრი წლის შემდეგ, როცა თავად გავხდი დედა, ამ მოგონებამ თავი ისევ შემახსენა:



სულიკო ლლონი

ზაფხულის ღამეა და სასიეროდ გავიყვანე უმცროსი გოგონა. ყოველთვის ცელქი და მოუსვენარი იყო (ასეა ახლაც), ვიფიქრე ხელში ავიყვან-მეთქი. ის-ის იყო უნდა ამეყვანა კიდეც, ცისკენ მზერამიპყრობილმა ბავშვური გულუბრყვილობით მთხოვა, – დე, მომიწყვიტე რა ერთი ვარსკვლავი!

მაშინვე დედის სახემ გამიელვა. შენ ხარ ჩემი ვარსკვლავი-მეთქი ვუპასუხე და ხელები მოვხვიე, მაგრამ ყელში მობჯენილ ცრემლს ვერაფერი მოვუხერხე...

სამჭედლო

არა, სხვა რამე უნდა მოგიყვებო, რკინა აქ არაფერ შუაშია. ქვემოაკეთის სკოლა სულის სამჭედლო იყო. სინდისი არ მომასვენებს, მცირე ფრაგმენტი მაინც რომ არ მოგიყვებო ამ სკოლასთან დაკავშირებით, რადგანაც ყოველთვის მშობლიურ სიტბოს ვგრძნობდი. თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე სკოლას უცვლელად ხელმძღვანელობდა ქალბატონი ეთერ ბაზიარი. მის ხელში გამოვიარეთ საკუთარმა სამმა და მთელი სოფლის ასობით „ბალანამ“.

ო, რას სჭექავდა სკოლის აივნიდან!

ვერაფერს გამოაპარებდი ვერც მასწავლებელი და ვერც მოსწავლე. ასე მიგნებულად გვარიშვილი იშვიათი ხვედრია ცხოვრებაში.

ამ ქალბატონის ხელმძღვანელობის პერიოდში გაფართოვდა ქვემოაკეთის რვანლიანი სკოლა (მაშინ ასე ერქვა), დაემატა ერთი კორპუსი, აშენდა სტადიონი, გაიხსნა სახელოსნოები (სადაც

ხეზე კვეთას, ჩარხვას და თიხაზე მუშაობას გვასწავლიდა ან გარდაცვლილი ალექსი სამსონია).

და თქვენ წარმოიდგინეთ, მეფუტკრეობისა და კურდღლების სანამენე მეურნეობაც გავხსენით. აღარაფერს ვამბობ საერთო ტენდენციებსა და მოძრაობებში სკოლის ჩართულობაზე, მაგალითად როგორც იყო ჩაის თესლის, ტრიფილიატის (დიახ, დიახ ტრიფილიატის თესლებსაც გვაგროვებინებდენ სახელმწიფოსთვის), ეკალას და ა.შ. შეგროვება ან პიონერულ-კომკავშირული მუშაობა (ახლა რომ აქტივობას ეძახიან).

ქვემოაკეთის რვანლიანი სკოლის შემდეგ სწავლას ვაგრძელებდით აკეთის საშუალო სკოლაში, რომელიც დღესაც გააგრძელებდით (და რომელთანაც არანაკლებ საინტერესო მოგონებები მაკავშირებს)..

მოდით, მივყვით და ქვემოაკეთის სკოლის მასწავლებლები გავიხსენოთ:

სკოლის ბიბლიოთეკა ქალბატონ დოდო ჩხაიძეს ებარა (მგონი დღესაც ასეა და თანაც დაწყებით კლასებში ასწავლის).

განსაკუთრებული მოკრძალებით მინდა გავიხსენო ანბანის მასწავლებელი ან გარდაცვლილი მატრონე სალუქვაძე. როცა ანბანის წერას გვასწავლიდა, დაფაზე გამოყვანილი მრგვალი ასოები მზეს მაგონებდა... მზეს და მთვარეს („მზე დედაა ჩემი...“). შემდეგ იყვნენ ცირა ლლონი (რომელიც ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან), ნატო სამსონია (რომელიც დღესაც ნაყოფიერად აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას...).

ფიზკულტურის მასწავლებლებს ხშირ-ხშირად ვიცვლიდით, რადგან ადგილობრივი კადრი არ გვყავდა და ლანჩხუთიდან სიარულს ნაკლებად ახერხებდნენ.

ქიმია-ბიოლოგიას ცხოვრებული თამარ ფირცხალაიშვილი გვასწავლიდა, რომელიც მეზობელი სოფლიდან დაჰყავდა მეუღლეს მოტოციკლეტით.

რაც შეეხება ძირითად საგნებს (არსებობდა ასეთი ტერმინიც), ქართულს თავად დირექტორი, ხოლო მოგვიანებით ჯერ ლიანა ნაკაიძე, შემდეგ ეთერ ლლონი გვასწავლიდა (სხვათაშორის, ეთერი მასწავლებლის „დაძალებით“ გავბედე უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე საბუთების შეტანა).

ფიზიკას გვასწავლიდა ქალბატონი ლილი იმნაძე (მის მიერ ახსნილი კანონები ახლაც კარგად მახსოვს).

მათემატიკაში და ალგებრა-გეომე-

ტრიაში ყოველთვის ვცოდვილობდი. ამიტომ, ამ საგნების მასწავლებლები სედიფო ხუხუნაიშვილი და ნათელა ლლონტი დიდსულოვნად ხუჭავდნენ თვალებს ამაზე და თანაც ბოლომდე (მეტი რა გზა იყო, ნიშნებს არ მიფუჭებდნენ).

გერმანული ენა ჩემს გონებას ქალბატონ პატკუ დარჩიასეული ინტონაციით შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით უნივერსიტეტში ამ საგანს პროფესორი დალი ფანჯიკიძე მიკითხავდა (მწერალ გურამ ფანჯიკიძის მეუღლე და დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მათა ფანჯიკიძის დედა გახლავთ), ლექციებზე მაინც პატკუ მასწავლებლის ხმა მახსენდებოდა.

აი, გეოგრაფიისა და ისტორიის გაკვეთილები დაახლოებით ერთმანეთს ჰგავდა, - გივი გოგელია და მამია მორჩილაძე - ორთავენი ზედმეტად ლმობიერები (და თანაც მოხუცები!) იყვნენ, ჩვენ კი ამით ვსარგებლობდით.

ბოლოსთვის მოვიტოვე რუსულის გაკვეთილები.

ბატონი ვახტანგ თოხაძე ენციკლოპედიური განათლების მქონე პიროვნება გახლდათ. პირადად მე სულაც არ მხიბლავდა რუსული ენა, მაგრამ უსაზღვროდ მიყვარდა ამ მასწავლებლის მოსმენა. ჩვენ მის გაკვეთილებზე ყველაფერს ვსწავლობდით (როგორც ნლების შემდეგ მივხვდი), - თარგმნის ხელოვნებას, სიტყვებთან ურთიერთობას, კამათისა და აზრის გამოხატვის კულტურას, ზოგად ცოდნას, ინტელექტს... მაქსიმუმს იმისას, რასაც შეიძლება სკოლის კედლებში ეზიაროს მოსწავლე.

ერთხელ, როცა უნივერსიტეტში ძველი ქართული ენის კათედრის გამგემ აუდიტორიაში იკითხა „ვეფხისტყაოსნიდან“ რომელი ფორმა იყო მართებული - „რასაცა გასცემ შენია, რაც არა - დაკარგულია“ თუ „რაც არადაკარგულია“ და რატომო, მე ვუპასუხე ის, რაც ვახტანგ მასწავლებლისგან მახსოვდა, დავასაბუთე კიდეც. შემაქეს. პირველად მაშინ მივხვდი, რომ კიდეც უფრო მეტად უნდა მომესმინა ჩემი მასწავლებლებისთვის სკოლაში სწავლისას.

იციოთ, კიდეც რამდენი რამ მაქვს სათქმელი დედაზე, აკეთზე, ბავშობაზე, თანაკლასელებზე, ონავარა მოგონებებზე? შეიძლება კი ასეთი მოგონებების ამონურვა?

მოდით, ჩემეული მოგონებები ისევ ჩემთან დარჩეს...

...დაუსრულებელი სათქმელის ბოლოს მრავალწერტილად ფეისბუქის ფრაზას მოვიშველიებ (ცნობისათვის, აკეთსა და მიმდებარე სოფლებში ინტერნეტის ხაზი არ არის):

„იციოთ, ხანგრძლივი ურთიერთობები რატომ გახდა იშვიათი? იმიტომ რომ საუბრები შეცვალა გზავნილებმა, ქცევები გადაიქცა დარეკვებად, გრძნობები გადაიქცა სტატუსებად, სიტყვა „სიყვარული“ ბევრს აღარაფეს ნიშნავს, ეჭვიანობა ჩვევაა, ნდობა დაკარგულია, ტყუილი ნორმასავითაა უკვე და ხშირად მხოლოდ დამორება, გაქცევა და დავინყება ხდება ერთადერთი გამოსავალი. ტკივილი გაბევრდა!“

(სულიკო ლლონტის მოგონება)

კესო მახარაძე



მარტი

გოგა ბოჭორიშვილი 250 ლექსის, 3 პოემის, 7 მოთხრობის, 20 აფორიზმის, 12 სონეტის ავტორია, საში პოემიდან ერთ-ერთი არის სრული ალგორითმიული, არა შანი. კუნძობნიკად ერთადერთი. პოემის მთავარი პერსონაჟია ირემი.

მწერდით?
დათბა ნანატრი თბილი დღეები,
გადაიარა თეთრმა წამთარმა,
აუვავებული ატმის ხეები,
ჭალაში ვნახე, ღვინით დამთვრალმა,
რა ლამაზია ეს გასაფხული,
იების გვირგვინს ხელით ქარგავდა,
ზეცის შემეურე, სულგანახული,
მინდვრის ყვავილებს გულზე მართავდა,
აკაცებს ქარი გასხლავს,
პერანგს ახსნის ბროლიანებს,
მე კი ნახვამს გული თრთოლვით,
მედალება მელოვიარეს.
სარკემლს იქით მოჩანს ბაღი,
ლაღი, ზურმუხტოქარგული,
ნიავები თავს ევლებს, უჩინარით მთარული.
უჩინარით დიმილს მეტევის, გეტევი,
მაგრამ ვინ არ ცდება, ვეტევი გულით,
დამენანა აკაცის ფოთოლთ ცვენა,
თავი უღლებიც თითქოს დამორებულან
სიერემეს,
ამ მოგონებით იგი კვლავინდებურად
მიმდვრს,

და ოცნებები მიხმობს, იცნობს სიყვარულს
ჩემსას,
შემორჩენილი ნამით სადღევ რმელოებს
ესავს,
თვრება, ედება მოლებს, სწორებს უსწავარ
ფერთ,
ვფიქრობ, სიცოცხლის მომრევს არ
დანებდება ნებით,
ამ ყვავილებით კვლავაც შეუჩერებლად
თოვდა,
თოვდა ვარდისფერ ფერთ, თმენით უსწავარ
დროდან,
ბოდვამ ამიკლო წამით, ნუთუ არ გესმით
ჩემი
თავი უღლების პატრონს, იქნებ მომიხმობ
რჩევით.
კვლავაც კენესოდა იგი, რადგან ტრფიალი
ეყო,
შემოქმედებაც ასე ჩემი რითმებით ხელყო.
მარტი მოსული უცნაურ ვნებით,
მეტევის, ამ გრძნობით თქვენ მართლა
მწერდით?

მარტი მოსული უცნაურ ვნებით,
მას რომ ფიქრებში რატომღაც ვდევნით,
მზე მონატრების, ნეტარი სითბო,
კვლავაც მოსული შენ, ჩემო რითმო.
მარტი მოსული უცნაურ ვნებით,
მეტევის, ამ გრძნობით თქვენ მართლა
მწერდით?
ვეტევი, ვითხარი, არ გასწავს რატომ?
ვიგრძენი წყენა, დიმილით მარტომ.
და გასაფხულის მაცთური ვნება,
წაილო სევდამ, ჭალარა წლებმა.
მოსულ სიყვარულს სურნელი ნახი,
უსაბედ ვინვით ვიგრძენი ბრაზი.
მარტი მოსული უცნაურ ვნებით,
მეტევის, ამ გრძნობით თქვენ მართლა



იანვანა სიკაითი ბავარეთიანას

იანვანა 10

ყველანი ბავარი ბავშვის ნაცვრის ასრულებას შებძლებით

პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იანვანა“ 2014 წლის 3 მარტს ათი წელი შეუსრულდა. საიუბილეო მარათონს მსოფლიო ვარსკვლავების გარდა, ქართველი ემიგრანტები და საერთაშორისო ორგანიზაციებიც შეუერთდნენ. თბილისის საკონცერტო დარბაზში გალა-კონცერტი გრანდიზული აქციით დასრულდა. საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობდნენ – მარჩელო ჯორდანი, ქეთი მელუა, პაატა ბურჭულაძე, ნიკოლოზ რაჭველი,საქ. ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ნინო ქათამაძე, ნანი ბრეგვაძე, ვახტანგ კიკაბიძე, თეონა დვალი, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნია ზ დიასამიძე, გიორგი ცაგარელი, „მგზავრები“, შვიდკაცა, სოფო ნიჟარაძე, ცისფერი ტრიო, ია შულღიაშვილი, მარიკო ებრალიძე, მურმან ჯინორია, დავით ხრიკული, ლიზა რამიშვილი, ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და სხვა. საქველმოქმედო მარათონში 12 წლის ამერიკელი კომპოზიტორი და მომღერალი ჰილერ რასელი მონაწილეობდა. სოციალურად დაუცველ 15 მრავალშვილიან ოჯახს სახლის გასაღები გადაეცა. მაყურებელი მე-100 ოჯახს შეხვდა. ფონდი მხარდამჭერებთან ერთად წარჩინებულ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში დაეხმარა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში ძველი ტაძარი იყო აღმართული. ორი კომუნისტი მივიდა, ერთ-ერთი ჯვართან ავიდა, როგორც კი დაარტყა, ფეხი დაუცურდა, ჩამოვარდა და იქვე გარდაიცვალა, მეორემ ღმერთი ირწმუნა და წავიდა. ეს ამბავი მთელ საქართველოს მოედო, კომუნისტური იდეოლოგიის დამცველებს არ მოეწონათ. სამებაში მცხოვრებმა დოლიძემ მთელი ტაძარი დაანგრია. იმ დღიდან მისი გვარი განადგურდა. მხოლოდ ერთადერთი დასნეულებილი შთამომავალი დარჩა. სამებაში მცხოვრებმა ხალხმა ტაძრის აღდგენა მოისურვა. პაატა ბურჭულაძეს მიმართეს, თუმცა ადგილობრივები არ აქტიურობდნენ. ამ საქმეს პაატა ჩაუდგა სათავეში, სხვებს მოუწოდა, „ვისაც სურვილი აქვს, შემომიერთდესო“. დღეს, სამებაში ლამაზი ტაძარი დგას, წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად დასნეულებულმა შთამომავალმა მის მშენებლობაში მცირე წვლილი შეიტანა. სამების ტაძარის მშენებლობა მსოფლიო ბანის პაატა ბურჭულაძის სახელს უკავშირდება.

– ყველაზე საყვარელი, ბავშვობის თბილი მოგონებები არ მასვენებს. გურიასთან და სოფელ სამებასთან ბევრი რამ მაკავშირებს, იქ ცხოვრობდა ბაბუას ბიძაშვილი ჭოია (გრიგოლ) ბურჭულაძე, ბებია-ნინა დოლიძე.ყოველ ზაფხულს სამებაში ვისვენებდი. თბილისის წყალბურთელთა ნაკრებში ვთამაშობდი, მამამ მე-8 კლასის მოსწავლე სოფელში ჩამიყვანა, ჭოია ბაბუას უთხრა – „პაატას ყურადღება მიაქციე, ყოველდღე ორი კილომეტრი უნდა ირბინოსო.“ 70 წლის მოხუცმა უპასუხა – „მღუპავ, მეც ხომ უნდა ვირბინო, იქნებ სადმე მოუხვიოს და გაჩერდესო“. გურულები გულწრფელი, წესიერი და იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ხალხია, თუმცა კუთხური სიამაყე უარყოფით თვისებად მიმაჩნია.

– ეს თვისება ყველა კუთხის ხალხს ახასიათებს.

- რა თქმა უნდა, მაგრამ არ არის კარგი, კახელები, გურულები, ქართლები, იმერლები ერთმანეთზე ანეკდოტებს ვყვებით, იუმორში სხვისი ნაკლი სჩანს, რაც მთავარია, არ გვწყინს.
- სვანებს, ალბათ, წყინთ.
- არა, ბევრი სვანი მეგობარი მყავს და თავის თავზე ჰყვებიან ანეკდოტებს.





- მარტი ქალბატონების თვეა, არ გვსურს ფამილარულები ვიყოთ, მხოლოდ მილოცვაზე ვისაუბროთ, წლების მანძილზე ისინი ქვეყნის გარეთ მომვლელებად მუშაობენ, გურული ქალბატონების უმეტესობა თურქეთში ცხოვრობს.

- ეს უბედურება დაგვატყდა თავს, როცა მამაკაცი სახლში ზის, ქალი ოჯახს ტოვებს და სხვა ქვეყანაში მიდის სამუშაოდ. ვისურვებ, ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდეს და ისინი ოჯახებს დაუბრუნდნენ.

- როგორ გაჩნდა საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ შექმნის იდეა?

- 11 წლის წინ თბილისში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეგობრები მოვიწვიე, კონცერტის მსვლელობის დროს ჩემთან მსოფლიო კვების პროგრამის ორგანიზატორები მოვიდნენ, სურდათ, პირდაპირ ეთერში თავისი საქმიანობის შესახებ მოეთხროთ, კონცერტს მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საქართველოში ისინი 220 ათას ადამიანს საკვებით უზრუნველყოფდნენ. ასეთი ციფრი ჩემთვის მოულოდნელი იყო, დავრთე ნება და მათ პირდაპირ ეთერში ისაუბრეს. ჩემი ინიციატივით ავლაბრის ბავშვთა სახლში წამიყვანეს, სადაც პედაგოგებს ანაზღაურება 11 ლარი ჰქონდათ, ფონდის შექმნა იმ დღეს გადავწყვიტე, პედაგოგებს ხელფასი გავუზარდეთ. შემდეგ ქველმოქმედება ბავშვებზე ზრუნვაში გადაიზარდა. ფონდ „იავნანას“ 10 წელი შეუსრულდა.

- საქველმოქმედო ფონდმა ადამიანების კონსოლიდირება შეძლო, ვინ არიან ისინი?

- ეს ვარ მე, თქვენ, ვინც ერთხელ მაინც დარეკა ჩვენ ნომერზე 09 01 30 30, ან ყულაბაში ჩააგდო ფული. სახელმწიფოდან ერთი თეთრი არ მიგვიღია, არც გრანტებით ვფინანსდებით, აქ ხალხია შემომწირველი. თუ წინათ მივიდიოდით და ხელი გვქონდა განვდილი, ბავშვების დახმარებას ვთხოვდით, დღეს, ისინი იჩენენ ინიციატივას და ეხმარებიან.

როგორ იღებთ მათ მონაცემებს?

- მონაცემებს ჯანდაცვის სამინისტრო გადმოგვცემს, სოციალურ მუშაკებს დიდი სია აქვთ, ყველაზე მცირე 5 ბავშვიდან ვინყებთ, მშობლებს ისინი ბავშვთა სახლში ჰყავთ ჩაბარებული. ჩვენი მთავარი მიზანია, ბავშვები ოჯახს დაუბრუნდნენ. 2014 წელს მესამე სახლის გასაღები გადავეცი. ფონდი ათი წლის მანძილზე 1000-ზე მეტ ოჯახს დაეხმარა.

- რაც კიდევ უფრო მეტი სტიმულია, ქველმოქმედება გააგრძელოთ?

- მე არ ვეხმარები, სიკეთეს ხალხი აკეთებს, პაატა ბურჭულაძეს კი აბრალებენ.

- თუმცა თქვენმა ავტორიტეტმა ფონდის წარმატება განსაზღვრა, ქველმოქმედებაში უფრო მოტივირებულები არიან.

- საქართველოში ვიდრე ბოლო ბავშვი იქნება ქუჩაში, ჩვენ მივხედავთ, სხვა გზა არ გვაქვს. ხალხმა გააცნობიერა, ეს ბავშვები ჩვენი საპატრონოა, ჩვენი შვილებია, ასეთი სამინისტრო ჯერ არ არსებობს. გაეროს მონაცემებით ქვეყანაში 77 ათასი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვია, კატასტროფული ციფრია, მათ გადასარჩენად თითოეული მოქალაქის თანამონაწილეობაა საჭირო. მთელ საქართველოს, მათ შორის გურიას მშვიდობას ვუსურვებ. სუფრაზე პირველად მშვიდობის სადღეგრძელოს ესვამ. თბილისში მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს, ყველამ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, ქველმოქმედება და სიკეთის კეთება უკვალოდ არ ჩაივლის.

ლელა სურმავა

თბილისში, მახათას მთაზე, შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და საუნჯე. ეს არის ძეგლი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში; ყოველი ქართველი, რაცა შეეძლოს ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში...

ჩილი - II



მამუკა კასიბაძე: თბილისის მილიონი აშორჩვეული სერიოზულ პოლიტიკურ კლიმას ქმნის

2014 წლის 15 ივნისს ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. არასაპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების 29 პუნქტიანი წინადადების პაკეტი წარუდგინა. თვითმმართველობის საკითხები „ახალი მემარჯვენეების პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის მუდმივი ინტერესის სფეროა, ის დედაქალაქის საკრებულოში ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარეა. ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ გაცხადებულ, 2014 წლის 1 მარტით დათარიღებულ, ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულაციური რეფორმის კონცეფციას სკეპტიკურად აფასებს. მისი აზრით „ნაციონალური მოძრაობის“ და „კოალიცია ქართული ოცნების“ ორმა პოლუსმა დნობა დაიწყო, რაც მოახლოებულ არჩევნებზე არასაპარლამენტო ოპოზიციას გარკვეულ შანს მისცემს.



2012 წლის 9 ნოემბერს დედაქალაქის საკრებულოში „ახალი მემარჯვენეების“ კუთვნილ ადგილზე მოხვდები. ეს სფერო ჩემთვის ძალიან ახლობელია, საქართველოს პარლამენტში 2004-2008 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტში ვმუშაობდი. თბილისის საკრებულოში დავსვი საკითხი, შექმნილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისია, რომელიც მთავრობასთან და პარლამენტთან დედაქალაქის და ქვეყნის მასშტაბით თვითმმართველობის საკითხებზე იმუშავებდა. თავდაპირველად დროებითი კომისია შეიქმნა, როცა საკრებულოში ძალთა ბალანსის ცვლილებები განხორციელდა, 2013 წლის ივლისიდან მუდმივმოქმედ კომისიად გარდაიქმნა. ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმაზე, კოდექსზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აქტიუობა დაიწყო.

- დედაქალაქის საკრებულოში დაძაბული ვითარებაა, ბიუჯეტი არ დამტკიცდა.

- დედაქალაქის თვითმმართველობის შტოებს შორის კრიზისული ვითარებაა, აღმასრულებელი ორგანოს მიერ შემოტანილი ბიუჯეტს წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო კონკრეტული არგუმენტებით არ ამტკიცებს. განმუხტვის მექანიზმები იმ კომისიის გადასაწყვეტია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. აქტიურად ვმუშაობ და კონკრეტული წინადადებები მაქვს. ფიქრობ, 11 მარტამდე კრიზისი განიმუხტება.

- ეს კრიზისი ბოლო დროს შეიქმნა, თუ მიმდინარე პროცესების შედეგად დაგროვდა?

- აქ ორი ტიპის პრობლემაა – პოლიტიკური და წმინდა ფინანსურ-ორგანიზაციული. დედაქალაქის მერიას საკრებულოში არა თუ ბიუჯეტი, უბრალო ფარატინა ქალაქში რომ გამოეგზავნა, წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს მერი განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა, ქვეყნის პრეზიდენტს ჰქონდა და დღესაც აქვს თეორიული იმპიჩმენტის მექანიზმი. ასეთი სამართლებრივი მექანიზმი მერს არ აქვს.

- რატომ არ ჩაიდო კანონმდებლობაში ასეთი შეზღუდვა?

- ვერავინ მოიაზრებდა, თუ გიგი უგულავას გადადგომის საკითხი დადგებოდა. ვილაცამ არ მიუთითა, გამორჩა და ამ თვალსაზრისით კოჭლი კანონი მივიღეთ.

- რატომ არ ამტკიცებთ თბილისის ბიუჯეტს?

- მერიამ მორიგი კოდექსის პროექტი შექმნა და საკრე-

ბულოში უპასუხისმგებლოდ გამოაგზავნა, თავიდან 720 მილიონი იყო, ერთ კვირაში 730, შემდეგ 780, სხდომაზე მოულოდნელად 785 მილიონიანი ბიუჯეტი მოვიდა. ისე ემატებოდა მილიონები, თითქოს თბილისის თავზე ფინანსების წვიმა მოდიოდა. ეს ბიუჯეტი არ იმსახურებდა მიღებას და 29 დეკემბერს ჩავარდა. მეორე დღესვე ჩავატარე ბრიფინგი და მოუწოდე, დავსხედეთ და ერთმანეთთან სავალი გზები მოვძებნოთ. მერია შოკში აღმოჩნდა, შემდეგ გამოერკვა. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ ფრაქციებს, თუ სამი თვის განმავლობაში საკრებულო ვერ, ან არ ამტკიცებს ბიუჯეტს, თვითმმართველობაში პარლამენტის თანხმობით, ან მთავრობის გადაწყვეტილებით ცენტრალური სახელმწიფო მმართველობა შემოდის, რაც საკრებულოს სახლში გაშვებას და მერიის მოვალეობის შემსრულებლად კონკრეტული პიროვნების დანიშვნას ნიშნავს. ახალ არჩევნებამდე მერიის ბიუჯეტის მთავრობა ამტკიცებს, ფაქტობრივად, დედაქალაქში და ნებისმიერ მუნიციპალიტეტში ერთპიროვნული მმართველი ხდება, რაც საინტერესო და მიმზიდველია „ქართული ოცნებისთვის“ თავისი 785 მილიონის განკარგვის პერსპექტივით და არჩევნებამდე საკადრო ცვლილებებით.

- რატომ არის ასეთი ინტერესი?

- ხომ არ გვავიწყდება 15 ივნისს არჩევნები ტარდება, მათ კარგი ადმინისტრაციული რესურსი ექნებათ, მაგრამ ეს თუ ერთი პარტიისთვის კარგია, ცუდია ქართული სახელმწიფოსთვის, მსოფლიოს არჩევნების წინ უნდა აუხსნა, მილიონიან ქალაქში ხელისუფლების ერთპიროვნული მმართველობა რატომ შემოდის, რაც ევროინტეგრაციის გზაზე ცუდი ტონია.

- როგორ წინააღმდეგობას გაუწევს დედაქალაქის საკრებულო?

- თბილისის საკრებულოში საინტერესო კონფიგურაციაა – „ქართულ ოცნებას“ 23 წევრი ჰყავს, „ნაციონალურ მოძრაობას“ – 21. გადაწყვეტილებისთვის 24 ხმა არის აუცილებელი. მე და კახა კუკავა არც „ვოცნებობთ“ და არც „ვნაციონალობთ“, ვერ აგროვებენ საკმაო ხმებს. არ დაუჭერ მხარს, თუ ნაციონალები შემხვედრ ნაბიჯს არ გადმოვტყდამენ, ასევე დედაქალაქში ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის შემოღების წინააღმდეგი ვარ.

ნაციონალები ცდილობენ გავლენის სფეროები და ფი-

ნანსები არ დაკარგონ, ხოლო ოცნება ცდილობს მოიპოვოს. საერთაშორისო ორგანიზაციებს ობიექტურ სურათს ვაცნობ. ორივე პოლიტიკურ ძალას სურს ერთპიროვნულად და ერთპარტიულად მოიპოვოს დედაქალაქში თვითმმართველობის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი.

- რა პროცესებიც დედაქალაქში მიმდინარეობს, სარკისებური ანარეკლია ნებისმიერ თვითმმართველ ორგანოში?

- რა თქმა უნდა, არა, საპარლამენტო არჩევნების დროს, ადგილობრივ თვითმმართველობებში სამართლებრივად არაჯანსაღი პროცესები წარიმართა, ოცნების ნაქეზებით საკრებულოებში და გამგეობებში ხალხი შევარდა, ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩვენ გვეკუთვნისო, რაც პოლიტიკური უმნიშვნელობის დემონსტრირება იყო. ის, რაც მოხდა მთელ საქართველოში, საბედნიეროდ, არ მოხდა თბილისში, აქ ყოფილმა ნაციონალურმა ოცნებამი გადასვლა დაიწყო, ეს კანონის ფარგლებში განხორციელდა. საკრებულოში ამ ორ პარტიას ერთპარტიულად არ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება. ვისურვებდი, ყველა თვითმმართველობაში და პარლამენტში იყოს რამდენიმე პარტია და შეთანხმების გარეშე ვერ მიიღონ გადაწყვეტილება, ამას ჰქვია მრავალპარტიულობა, პლურალიზმი, დემოკრატია და ერთმანეთის კონტროლი.

- გიგი უგულავას სასამართლომ უფლებამოსილება შეუნყვიტა, თუმცა ისევ მართავს მერიას.

- გიგი უგულავა ნაციონალური მოძრაობის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეა, მერიას რეალურად ეს პარტია მართავს, ის არ ჩნდება, თუმცა ბოლოს ერთ-ერთ ტელეგადაცემაში გამოჩნდა. რა თქმა უნდა, სამართლებრივად კაზუსია უფლებამოსილება შეუნყვიტელმა მართოს მერია. კაცი სახლში გაგიშვებს და შენ მაინც კაბინეტში იჯდე, ამ ფაქტს არა აქვს ახსნა.

- ის ყოველთვის ყურადღებას ამახვილებს არჩევითობაზე.

- ისე არ გამოვიდეს, რომ არჩევითობა ცუდია, ჩრდილი მიადგეს. გ.უგულავა და ქალაქის მერია კანონით ერთადერთი ინსტიტუტია, რომლის გადაწყვეტის მექანიზმი არ არსებობს. „ქართული ოცნება“ მეორე უკიდურესობაში გადავარდა, ახალი თვითმმართველობის კოდექსი სამი მოსმენით მიიღეს, სადაც უკვე არა დედაქალაქში, არამედ ყველა რაიონსა და ქალაქში პირდაპირი წესით არჩეული მერი და გამგებელი იქნება. მათი გადაწყვეტის მექანიზმი იმდენად მარტივია, საკრებულომ შეიძლება 2/3-ით გადაირჩიოს. ეს ჩადეს კანონში. ასე რომ კონტრასტული ხელისუფლების პირობებში გვინევს ცხოვრება, თითქოს კონტრასტული, მაგრამ აბსოლუტურად იდენტურია.

- რაში გამოიხატება მათი მსგავსება?

- ერთ სიტყვაში-მინდა. ორივე მინდას პრინციპით მოქმედებს. ერთი ამბობს მე ვარ ხელისუფლებაში და არ თმობს გავლენას, მეორე - მე ვარ ცენტრალურ ხელისუფლებაში და ჯერ არ ვარ ადგილობრივში. მინდას პრინციპი საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობას. დღეს, თბილისს არა აქვს ბიუჯეტი, ამით ხალხი აგებს, ეს არ არის პათეტიკური გამონათქვამი.

- გიგი უგულავას ხალხის მიმართ აქვს დანაშაულის შეგრძნება?

- მეეჭვება, რომ ჰქონდეს. საუბრის დროს ზოგჯერ თვალებს მაინც დახრიდა. მათ პოლიტიკური სინანულის ნიშანწყალი არ ეტყობათ.

- შეხვედრები გქონდათ ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან, რაში გამოიხატება არასაპარლამენტო ოპოზიციის როლი?

- არა მარტო ვენეციის კომისიის წარმომადგენლებთან. 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე

ქვეყანას პოლიტიკური ცუნამი დაატყდა თავს. წინა ხელისუფლებამ ხალხი სიძულვილამდე მიიყვანა, ბუნებრივია, შეცვლას იმსახურებდა, მაგრამ ერთი წავიდეს და მინდას პრინციპით მეორე მოვიდეს, ეს არ უნდა მოხდეს.

- ახალი ხელისუფლების მიმართ გურიის სამივე მუნიციპალიტეტში ხალხი უკმაყოფილოა.

- იმიტომ რომ მენტალობა, საკითხების მიმართ მიდგომა არ შეიცვალა. გურიაში ასეთი ფაქტი მოხდა, კაცმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ერთი მასიური გაიხადა და მეორე ჩაიცვა. ის რომ გაიხადა, შენი უფლებაა, მაგრამ იქვე მეორეს ნუ ჩაიცვამ, ცოტა ხანი დაფიქრდი. ის გზავნილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გაახმოვანა, რასაც პოლიტიკაში შუის გაკრეფა ჰქვია, სამწუხაროდ, შესრულდა. წინა არჩევნების დროს ორი სერია ვნახეთ.

- ახლა მესამე იქნება?

- არა, მესამე სერია აღარ იქნება, რადგან ამ ორ პოლუსს შუა გაჩნდა პოლიტიკური სივრცე.

- ვინ არიან ისინი?

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს 2 მილიონ 248 ათასი ამომრჩეველი მოვიდა, ერთი წლის თავზე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 600 ათასით ნაკლები ამომრჩეველი მოვიდა. „ქართულმა ოცნებამ“ 250 ათასით ნაკლები ხმა მიიღო, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნახევარი მილიონით ნაკლები. შუაგაკრეფილებმა ისევ 5%-ი მიიღეს, თუმცა გაჩნდა მესამე 10%-იანი კანდიდატი. პოლუსებმა დნობა დაიწყო, შუაში გაჩნდა სივრცე, რომელიც, ალბათ, მზარდია. სწორი პოლიტიკური ნაბიჯების პირობებში შუა შეიძლება ისევ მსხმოიარე გახდეს. 27 ოქტომბერს კოალიციის ლიდერი ისევ ბიძინა ივანიშვილი იყო, ისე როგორც ნაციონალების ლიდერი მ. სააკაშვილი. მათ აქტიური პოლიტიკიდან დისტანცირება მოახდინეს, ერთი ამერიკაში კითხულობს ლექციებს, მეორეც ლექციებს კითხულობს, ტელევიზიიდან. ასეთი დისტანცირება დამატებითი სტიმულია, ეს უკვალოდ არ ჩაივლის.

- რა ნაბიჯებს გადადგამს არასაპარლამენტო ოპოზიციას?

- ჩვენ შევქმენით წინადადებათა პაკეტი და ხელისუფლებას მივანოდეთ. დავიწყეთ შეხვედრები საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუ მეჩვენება, გთხოვთ, თვალი ამიხილოთ, თუ ვინმე ფიქრობს, 50%-იანი ბარიერი პრემიერ-მინისტრის, ან ცენტრალური ხელისუფლების დიდსულოვნება იყო, ცდება. საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი პოზიციის შემდეგ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში არის რეგიონალური მეორე დონის თვითმმართველობა, რომლის ხელმძღვანელი გუბერნატორი უნდა ყოფილიყო, ესეც კოდექსიდან ამოიღეს და მთელი რიგი ცვლილებები განახორციელეს.

- რა მოთხოვნები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას?

- ჩვენ წარვადგინეთ საკმაოდ სქელტანიანი წინადადებების პაკეტი. იწყება საარჩევნო სისტემით, გრძელდება საარჩევნო ადმინისტრაციით, ამომრჩეველთა სიების ფორმირების წესით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მედიანგდომის თანაბრობა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მეტნაკლები თანაბრობა, სრულდება დავების საკითხის განხილვით. მანდატის წონის არათანაბრობაზე გურიის მაგალითით ვისაუბროთ. ნატანების თემში 4621 ამომრჩეველია, მთის ძირში 690 ამომრჩეველი ცხოვრობს, ორივე თემი თითო მაჟორიტარს ირჩევს, ამ ორ თემს შორის 700%-იანი განსხვავებაა. ჩოხატაურში 1830 ამომრჩეველია, დიდ ვანში 124 ამომრჩეველი, განსხვავება 1400%-ია. ლანჩხუთში 6655 ამომრჩეველია, სოფელ ნინოშვილში 505. 1300%-ია სხვაობა. თუ ვერ ათანაბრებ, მრავალმანდატიანი ოლქები

უნდა შექმნა. ნინოშვილს ერთი დეპუტატი ეყოლება, ხოლო ლანჩხუთს 5, რომელიც მანდატის წონას გაათანაბრებს.

ამ შენიშვნას გაითვალისწინებენ?

ეს საკითხი ღიაა, კონკრეტული საკრებულოები არ თანხმდებიან, რადგან ასეთი არათანაბარი ოლქები ყოველთვის ხმების მოპოვების ბელელის გარანტიაა. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს 13 კაციანი იყო, სადაც 7 ნაციონალების, ხოლო 6 სხვა პარტიის წევრი იყო, დღეს, 13 კაციან შემადგენლობაში 12 არის ოცნების, ხოლო 1 ნაციონალების. რომელ არჩევნების დემოკრატიაზეა საუბარი?! ჩვენი სურვილია ამომრჩეველთა სია ბიომეტრული პარამეტრებით შევქნათ,

ეს თემა ისევ გაურკვეველია. სურთ ძველი ფოტოსურათები აღადგინონ, გააციფრულონ და ამას დაარქვან ბიომეტრია. რაც შეეხება მედიანვდომას ეროვნულ მაუნყებლობებში მხოლოდ ნაციონალებს და ოცნებას აქვს უფასო საეთერო დრო. ჩვენ საეთერო დრო უნდა ვიყიდოთ. სახელმწიფომ არჩევნების დროს პოლიტიკურ სუბიექტებს შორის მეტნაკლები თანაბარი პირობები უნდა უზრუნველყოს, ეს არის დემოკრატია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სამი თვეა დარჩენილი. ვფიქრობთ, ამ მხრივ მაინც თანაბარ პირობებში ვიქნებით.

ლელა სურმავა

გაგზავნი-გახანძრავი ერთი თვეა მიმდინარეობს

თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში საბურთალოს ქუჩაზე სამაშველო სამსახურის წინ კარები იყო გაშლილი, სადაც მასშველი-მეხანძრეები შიმშილობდნენ. რატომ მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას და რა მოთხოვნები აქვთ მოშიშნულეებს. მათ ქალაქ თბილისის მერიის შენობის წინ გადაინაცვლეს. უფროსად „გურია REGION“-ის რედაქცია შეისწავლის რა ვითარებაა გურიის სამივე მუნიციპალიტეტის სამაშველო სამსახურში.

რატომ მიმართეთ პროტესტის უკიდურეს ფორმას?

ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ სამსახურიდან გამათავისუფლა. ყოფილი სმენის უფროსი, ოცმეთაური ვიყავი.

რა იყო გათავისუფლების მიზეზი?

ჩემი კუთვნილი პრემიები არ მიმეცნა მასთან, სახლში სამუშაოდ არ მივყვებოდი. მეხანძრეებს საგურამოში,სოფელ ახატაში თავის აგარაკზე ამუშავებდა. თემქის რაიონში დიდი კერძო სახლი აქვს, მეხანძრეები იქაც მიჰყავდა. შვიდი თანამშრომელი სამსახურიდან გაგვანთავისუფლა.

როგორ უბრუნებდნენ პრემიებს?

პრემიები ჩვენს ანგარიშზე ირიცხებოდა, შემდეგ კი სრული თანხა მისთვის უნდა მიგვეტანა. 3-4 წელი ასე გრძელდებოდა, ვინც არ დაემორჩილებოდა, სამსახურიდან უშვებდა.

რა პერიოდულობით იღებდით პრემიებს და რა თანხა იყო?

პრემიას კვარტალში ერთხელ გვინერდნენ, მე 520 ლარი მქონდა ხელფასი, ამ ოდენობის პრემიაც. თემურ გიორგაძეს კორუფციის ბუდე აქვს, ვაკე-საბურთალოს რაიონში თავისი დისშვილი – ლევან ჩხიკვაძეა უფროსი. გლდანში შვილის ნათლია – ლევან ედიშერაშვილი. ნაძალადევაში მისი სიძე – გია ჩხიკვაძე. ასე რომ ნათესავები ჰყავს დასაქმებული.

რამდენმა მეხანძრემ დაიწყო შიმშილობა?

ოთხმა მეხანძრემ, შემდეგ 20 კაცამდე ავედით. რამდენიმე ცუდად გახდა. ექიმების რჩევით შიმშილობა შეწყვიტეს, ახლა ცვალებად შიმშილობაზე გადავედით.

თუ გამოგენხართ სამსახურის უფროსი?

იციტ რა გვითხრა? თითქოს ჩვენ ვიყავით ქურდები, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები.

თავად არ არის ნაციონალი?

როგორ არა, ხალხს ავარჯიშებდნენ, მიტინგები რომ დაერბიათ.

დღეს, მე ვინ ვარო?

თვითონაც არ იცის, ვინ არის.

მერიიდან ვინ გამოგენხართ?

წარმომადგენელი მოვიდა. მერიის იურისტი, ასე გაგვეცნო. გვითხრა თემურ გიორგაძეს არ გადავაყენებთო, სხვა მოთხოვნებს დაგიკმაყოფილებთ. ჩვენი აზრით გასამხედროებული სამსახური მერიის დაქვემდებარებაში არ უნდა იყოს.

ვინ გუშვებთ გიორგაძეს არ გადავაყენებო?

ამას თვითონ ამბობს უპირობოდ. ვიდრე ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, არ დავიშლებით.

თუ გამოგენხართ მერის მოვალეობის შემსრულებელი



სევდია უგრეხელიძე?

არა, აქ კონკრეტული ფაქტებით არის საუბარი, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა ხდება. არ უნდა დაინტერესდნენ? სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან გასაუბრებაზე იყვნენ წასული აქციის მონაწილეები.

რა უპასუხეს?

გამოკითხვა ჩაატარეს, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა.

გასაუბრება არ ჩათვალეს საკმარისად?

მანქანა როცა გადის, ინერება საგზურები, სადაც დრო და რიცხვია ჩანიშნული. თ. გიორგაძის აგარაკზე დილით გადის მანქანა და საღამოს ბრუნდება. ეს ხომ უტყუარი ფაქტია.

რა დაპირება მოგვცათ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა?

ჩვენი ხელმოწერებით მიმართავს როგორც პროკურატურას, ასევე ქალაქის მერიას, რომ მოხდეს რეაგირება.

მეხანძრეების მცირე ნაწილმა განაცხადეს, რომ ალკოჰოლური სასმელის მიღებისთვის გაათავისუფლეს.

ნებისმიერი საქმე ხანძარი იყო, თუ სამაშველო, ჩვენ ვასრულებდით, ორი თვეა ისეთი ადამიანები დასაქმდა, რომლებსაც ხანძარი არც უნახავთ. დღეს სტაჟორები ქალაქში გასული და თავის მოვალეობას ასრულებენ. თუ ვინმე მას პატივს სცემს, ეს ჩვენი საქმიანობის დამსახურებაა. ხელმძღვანელობა სამართლიანობის აღდგენისთვის თავს არ ინუხებს, მაღალ ხელფასებს იღებენ და მშვიდად არიან.

თუ თქვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, რას აპირებთ?

მერიის წინ გავშალეთ კარები, გზის პიკეტირებას და ვინყებთ, სახელმწიფო კანცელარიის წინ გავშლით კარებს, თუ შედეგს ვერ მივაღწევთ, საქართველოს პარლამენტის წინ გავაპროტესტებთ. საგანგებო სიტუაციების სამსახური მერიის დაქვემდებარებაში არ უნდა იყოს.

ვინ უნდა კურატორობდეს?

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კიდევ ვინ დაინტერესდა თქვენი მდგომარეობით?

აქციის დაწყების დღიდან დამოუკიდებელი პროფკავშირების ორგანიზაცია გვიდგას გვერდით. სამწუხაროდ, მთავრობიდან არავინ მოსულა.

ლელა სურმავა



„ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირსო.“



„ლიბერთი ბანკი“ საბანკო სექტორში საკმაოდ მსხვილი მოთამაშეა. პენსიებს გასცემს, ამიტომ, ასე თუ ისე, სახელმწიფოსთან ასოცირდება. თუმცა, საინტერესოა, ბანკს, რომელსაც საპენსიო სესხებზე საკმაოდ მაღალი პროცენტები აქვს, რატომ იგებს ყოველწლიურად საპენსიო ტენდერს? ვისთვისაა ეს სარგებლობის მომტანი „ლიბერთის“ თუ მოხუცის, ინვალიდის და უდემდამო ბავშვებისთვის, რომლებიც პენსიას იღებენ? ამ კითხვებს პასუხი სახელმწიფომ უნდა გასცეს და ხალხისთვის სასარგებლო განწყვეტილება მიიღოს.

არაოფიციალური ინფორმაციით, მიზეზი ერთია – სხვა ბანკები, უბრალოდ, უარს ამბობენ ამ ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ეგრეთ წოდებულ „ელიტურ“ ბანკებად ითვლებიან და არ სურთ ზედმეტად „თავის დატვირთვა“.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ასე ვთქვათ, ორმაგად „დაისაჯა“ იმის გამო, რომ აქ მხოლოდ „ლიბერთი ბანკი“ ფუნქციონირებს. იგი ერთნაირად ითავსებს პენსიების დარიგებას (როგორც ტენდერში მუდმივად გამარჯვებული), ასევე, არიგებს ხელფასებს და კომუნალურ გადასახადებს მთელი მუნიციპალიტეტი ამ ბანკში იხდის.

ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად გამოთქვამს საყვედურს „ლიბერთი ბანკის“ მისამართით, ასევე ითხოვს სხვა ბანკის შემოსვლას რაიონში. თუმცა, დღემდე ვერ გაურკვევიათ, რატომ არ გამოთქვა არც ერთმა ბანკმა აქ შემოსვლის სურვილი. რამდენიმე წლის წინ, სხვა ბანკების შემოსვლის თაობაზე, ჩოხატაურში იყო საუბარი, თუმცა, ხმები იმის შესახებ, რომ ეს ბანკები აქ არ შემოუშვებს, სწრაფად გავრცელდა. არავინ იცის რამდენად სწორია ეს ინფორმაცია, ან ვინ არ შემოუშვა რაიონში სხვა ბანკი – „ლიბერთი“, თუ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა? ვინ დგას ამის უკან?

ჩვენმა ჟურნალმა გურიის სამივე მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, იღებენ თუ არა ისინი მომსახურების ან სესხებისგან (საპენსიო სესხებისგან) პროცენტს და რამდენს, „ლიბერთი ბანკის“ ან სხვა ბანკებისგან.

აღმოჩნდა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი არც ერთი ბანკიდან პროცენტს არ იღებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი „ვითიბი“ ბანკის მომსახურებით სარგებლობს და იღებს წლიურ 10 % (ათ პროცენტს) ანგარიშზე არსებული ნაშთის შესაბამისად. რაც შეეხება ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმებულია ბანკსა-სს „ლიბერთი ბანკის“ ჩოხატაურის ფილიალის მმართველ ლაშა ასათიანსა და კლიენტ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს (ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძე) შორის, ვკითხულობთ „მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა საშუალო დღიურ ნაშთზე წლიური 14,5% (თოთხმეტნახევარი პროცენტი).“

2. მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა		
- მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა საშუალო დღიურ ნაშთზე	GEL	წლიური 14.5%
3. ფულადი გადარიცხვები		

ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში შემავალი წლიური 14,5%-ის სანაცვლოდ, ადგილობრივ დაფინანსებაზე მყოფმა სამსახურებმა მხოლოდ „ლიბერთი ბანკის“ ექსკლუზიური მომსახურებით უნდა ისარგებლონ, რასაც ვკითხულობთ კიდევ ხელშეკრულებაში:

5. კლიენტის უფლება-მოვალეობები

5.1 კლიენტი ვალდებულია:

5.1.1. ექსკლუზიურად ისარგებლოს მხოლოდ სს ლიბერთი ბანკის მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკს არ შეუძლია ასეთი მომსახურების განწევა.“

ამ პუნქტის განმარტება ექსპერტებს ვთხოვეთ. მათი აზრით ეს თავისებური მონოპოლიაა და ექსკლუზიურ სარგებლობაში, სწორედ, ეს იგულისხმება.

აქვე, მე-7 მუხლის (ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და ვადამდე შეწყვეტა), 7.4 პუნქტში ვკითხულობთ: „ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით განაგრძოს შრომის ანაზღაურების ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე ჩარიცხვა იმ თანამშრომლ(ებ) ისთვის, ვისაც ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ბანკის წინაშე ერიცხება(თ) არაუზრუნველყოფილი საკრედიტო დავალიანება, აღნიშნული დავალიანების სრულად დაფარვამდე.“

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ, პიროვნებას, რომელსაც გამოტანილი აქვს სახელფასე სესხი და ამ დროს შეწყდა ბანკსა და კლიენტს (ამ შემთხვევაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს) შორის ხელშეკრულება, კლიენტი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ვალდებულია განაგრძოს ამ პიროვნების ან პიროვნებების ანგარიშზე სახელფასე თანხის ჩარიცხვა, კრედიტის სრულად დაფარვამდე.

ამასთან, ხელშეკრულების 9 მუხლში (პასუხისმგებლობა) ვკითხულობთ:

9.1 კლიენტის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კუთვნილი ხელფასის სხვა ბანკებში მთლიანად ან ნაწილობრივ ჩარიცხვის, ან წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1 და 7.4 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო ბანკის სასარგებლოდ ორმოცდაათი ათასი ლარის ოდენობით.

თუ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამსახურებს, ან ამ სამსახურების თანამშრომლების ნაწილს მაინც სხვა ბანკში ჩაერიცხებათ ხელფასები, კლიენტი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) არღვევს ბანკთან დადებული ხელშეკრულების სახელფასო პროგრამით მომსახურების შესახებ მეხუთე მუხლის 5.1.1 პუნქტს – ექსკლუზიური უფლება „ლიბერთიმ“ გასცეს ხელფასები და მეშვიდე მუხლის 7.4 პუნქტს – არაუზრუნველყოფილი საკრედიტო დავალიანების სრულად დაფარვამდე დარიცხოს თანხა ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე, რის გამოც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს დაეკისრება პირგასამტეხლო ბანკის სასარგებლოდ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

სწორედ, აქ არის ძალის თავი დამარხული. როგორც ექსპერტმა განგვიმარტა – სხვა ბანკი, უბრალოდ, იმიტომ ვერ შემოვა ჩოხატაურში, რომ მას კლიენტი არ ეყოლება, რადგან „ლიბერთის“ ეს ბაზარი, ფაქტობრივად, ათვისებული აქვს. მუნიციპალიტეტმა ექსკლუზიური უფლება მხოლოდ მას მიანიჭა, რის გამოც ადგილობრივ ბიუჯეტში 14,5% მიიღო.

საინტერესოა, ეს ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ორი მხარის – „ლიბერთი ბანკის“ და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინტერესებს ატარებს, რამდენად მისაღებია ჩოხატაურის მცხოვრებლებისთვის?

სესხებზე მაღალი პროცენტები მძიმე ტვირთია სხვადასხვა სამსახურში დასაქმებული ადამიანებისთვის, პენსიონრებისთვის, თუ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, ბანკი, რომელსაც საპენსიო სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვს. რატომ არის პრივილეგირებული და როგორ იგებს ყოველწლიურად საპენსიო ტენდერს? მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 125 ლარზე გაცემული 18 თვიანი საპენსიო სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 26.64 %-ს შეადგენს.

ია ტაკიძე
ლელა სურმაჯა

რატომ არ შედის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სხვა ბანკები?



როგან მოსთიქოს: ჩვენ შევხებით ყველან მხოლოდ და მხოლოდ, ხევე სამხრეთიანი კონომიკის



– რა დანიშნულება აქვს ახალ ორგანიზაციას?

– ჩვენი ორგანიზაცია ჯანსაღი ეკონომიკური პროცესების გენერირებას მოახდენს, მხარში ამოუდგება ყველა იმ იდეას, რომელიც ხელისუფლებას სწორი ეკონომიკური კურსის გატარების საშუალებას მისცემს. ახლა ახალი და ამავდროულად რთული ეკონომიკური ვითარებაა, იცვლება არა მარტო მიდგომები, არამედ თავად ეკონომიკა, განსაკუთრებით საფინანსო სექტორი.

ეკონომიკური პროფილის არასამთავრობო სექტორს კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია შეემატა. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრს“ საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოციროძე უხელმძღვანელებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, შეიმუშავოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და პროგრამები, როგორც მთელი ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგებისთვის.

ამ რთულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ახალი საექსპერტო, საკონსულტაციო ჯგუფის გამოჩენა, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება აქვთ. ქვეყანაში ეკონომიკური პროფილის ექსპერტების და ანალიტიკოსების დეფიციტი არ არის, თუმცა მთლიანობაში ეს სექტორი სუსტია.

– შეიძლება ითქვას საღად და დროულად არ შექდება ეკონომიკური საკითხები?

– ასე ვერ ვიტყვი, არსებობენ ცალკეული ექსპერტები, რომლებიც დროულად რეაგირებენ, თუმცა ეკონომიკური მოვლენების ობიექტურ შეფასებაში კომპლექსური აზრის დეფიციტია. თუნდაც საბიუჯეტო პროცესთან, ლარის ვარდნასთან, გამყარებასთან დაკავშირებით. ეკონომიკა მწვავედ

მაშინ ასხენდება, როცა ან ფასების მატება ხდება, ან ლარის კურსის რყევა. ხოლო ეკონომიკის სიღრმისეული კვლევები, რადგან საზოგადოებაზე პირდაპირ არ მოქმედებს, როგორც გამაღიზიანებელი ფაქტორები, თითქოს არავის აინტერესებს. ეკონომიკა, სწორედ, იმ დროს ავლენს მსგავს „კბენებს“, სავალუტო რყევებისა, თუ ფასების ზრდის სახით. როცა ურემი გადაბრუნდება, შემდეგ იწყებენ გზის ძებნას. ამიტომ, საქმე აქამდე არ უნდა მიიყვანოს. პრევენციული რჩევები გაცილებით ნონადია, ვიდრე მას შემდეგ რჩევა, როცა რაღაც გაფუჭდება, უკან მიდევნებული ლამპარით არ უნდა იყოს არც მთავრობის, არც ექსპერტების ქმედება.

– რას საქმიანობდით ახალი ორგანიზაციის შექმნამდე?
– ეკონომიკურ საკითხებში პრეზი-

დენტის მრჩეველად ვმუშაობდი. სტრატეგიის ფორმულირებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში მიზერული როლი მქონდა, დომინანტი მთავრობა იყო. როცა ხელისუფლებაში ხარ, შეფასებაშიც იზღუდები, არ მსურდა ნახევრად სიმართლე მეტყვა. დღეს, თავისუფალი ვარ, არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მივეკუთვნები. ეს იქნება ინტელექტუალური ცენტრი, აქ არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სტრუქტურებში მუშაობდნენ, ჩვენი წევრები კიდევ გაიზრდებიან.

- რა შეცდომები დაუშვა ქართულ ეკონომიკაში წინა ხელისუფლებამ?

- ედუარდ შევარდნაძის დროს საქართველოში ეკონომიკა არ გვექონდა, კორუფცია იყო. ერთ დღეს გიგანტური ოდენობის თანხები შემოვიდა, თუნდაც ქუთაისში პარლამენტის შენობა, რომელიც 400 მილიონი ლარი დაჯდა, იუსტიციის სახლი, კონტროლის პალატა, რეფორმების განხორციელების დროს უზარმაზარი ფული შემოვიდა, რამაც საქართველოს მთელ მსოფლიოში სახელი გაუთქვა, როგორც ინვესტიციებისთვის მიმზიდველ მხარეს. თუმცა პარლამენტის შენობის ქუთაისში გადატანა დიდი შეცდომა იყო. ასევე ეკონომიკაში პოლიტიკური ჩარევა, ბიზნესის შევიწროება, 2007 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეკონომიკას დიდი საფრთხე შეექმნა, იმ დროს მსოფლიოში ფინანსური კრიზისი იყო. მიუხედავად მძიმე დარტყმებისა, ეკონომიკაში ჩადებულმა მარცვალმა, ქვეყანას ეს რთული პერიოდი გადაატანინა. დღეს, ეკონომიკას თავისი პლიუსები აქვს, ბიზნესზე არ ხდება ადმინისტრაციული ზენოლა, ძალოვანი სამინისტროები არ ერევიან, თუ ერევა, ეს მინიმალურია. ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა ეკონომიკაში ახალი რეალობა დგება.

- რა არის ეს რეალობა?

- დღეს, ბიუჯეტს არ აქვს საშუალება, ყველაფერი თავის თავზე აილოს. მამობრივად მზრუნველი, პარტენალისტური მდგომარეობა, დიდი სუფსიდიების, პენსიების, საყოველთაო დაზღვევის საშემოსავლო ბაზა ქვეყნის ბიუჯეტს არ აქვს. ძველი დაგროვილი ნაშთი, რომელიც წინა ხელისუფლებამ დატოვა საგარეო ვალის პიკების მომსახურებისთვის, ერთი მილიარდი იყო, 600 მილიონზე მეტი ამოიწურა, დამატებითი საგარეო ვალი ჩნდება და ეს ხდება შიდა ვალის აღებით სახაზინო ვალდებულების სახით. ვალებით ისეთი პროექტების დაწყება, რომლებიც ჩაფიქრებულია, მაგალითად საყოველთაო დაზღვევა, პენსიების მატება, თუ სხვა პროექტები, გაურკვეველია მუდმივია, თუ შემოსავლის წყაროზეა დამოკიდებული. მთავრობა შეძლებს თუ არა მოსახლეობიდან ამოიღოს ფული, რომ

სესხი თავისთავად დაიფინანსოს. ნეგატიური ტენდენციები ჩანს. საუბრობენ რეგულაციების შემოღებაზე, თითქოს ნორმების უკან დაბრუნება, იმ პრობლემას მოაგვარებს. პირიქით, ჩვენი ხიბლი მათი არარსებობა იყო. ტექნიკური დათვალიერების, ლიცენზირების აღდგენა შეიძლება მომზადდეს, მაგრამ იმ მოვლენებზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს. წლებზე უნდა გაიწეროს, უცებ 25 პუნქტი არ უნდა გახსნა და მანქანებს ნორმები დაუწესო. ხანგრძლივი და ფრხილი მიდგომაა საჭირო, ასეთ შემთხვევაში უცხოური ფირმა არ დაინტერესდება. მისი სურვილია მინიმალური მოგება მაინც მიიღოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მძლოლებს მკაცრი მოთხოვნები დაუწესდებათ. რეგულაციების დაბრუნების სუნი დგას, აქ საუბარია საბაჟო ტარიფების დაწესებაზე, ლიცენზიების შემოღებაზე. ორგანიზაციის შექმნით, რაც საზოგადოებამ, ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა არ უნდა დაუშვან. გარედან ზენოლა უნდა იყოს. ჩვენ ზედმეტი ბარიერებისაგან თავისუფალი ეკონომიკა ჩამოვყალიბეთ. ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით, მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში 22-ე ადგილზე ვართ, ეს რეიტინგი ვინმეს მოსწონს, თუ არა, ინვესტორებისთვის ერთ-ერთი საიმჯო მარჩვენებელია. ეს მონაპოვარი არ უნდა დაიკარგოს. ამ მიმართულებით თუ ვივლით, პროგრესს მივალწვეთ.

- რა პროცესია ლარის გამყარება?

- ერთი თვის განმავლობაში შემოდინებულ ვალუტასა და მიწოდებულ ლარს შორის იყო წონასწორობა, დეკემბრის თვეში ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად დაახლოებით ერთი მილიარდი იქნა გაშვებული. რომლის საკმაო ნაწილი არაშემოსავლებიდან დაფინანსდა. რადგან დღეს გვემა ჩავარდა, ხარჯების დაფარვა ძველი ნაშთებიდან მოხდა. რამაც ლარის მასების ზრდა გამოიწვია, შემდეგ კი ვარდნა. ეროვნულმა ბანკმა დოლარები გამოიტანა გასაყიდად. რაც კი მიმოქცევაში ზედმეტი ლარი წავიდა, ამოიღო და მონესრიგდა. ასეთი ქმედება არასასურველია, როგორც ხალხისთვის, ასევე ბიზნესზეც არასტაბილურ გავლენას ახდენს.

- რომელი სფეროა თქვენი კვლევის პრიორიტეტი?

- უფრო მაკრო დონეზე, რაც შეეხება მიკრო დონეს, ამ მიმართულებით გარკვეული ძვრებია, განსაკუთრებით მერების არჩევითობისა და ადგილობრივი არჩევნების კონტექსტში. შეუძლებელია რეგიონალური პოლიტიკა განხორციელდეს, თუ მას არ აქვს დამოუკიდებელი და სტაბილური შემოსავლის წყარო. ჩვენთან მთელი ბიუჯეტი ცენტრალიზებული იყო, შემდეგ რეგიონებზე ანაწილებდნენ, როცა პირიქით

უნდა იყოს, თითოეულ რეგიონს ჰქონდეს მყარი განვითარების საშუალება, თვითმმართველობის კანონი ამის საშუალებას არ აძლევს, თუმცა აუმჯობესებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფრო მეტი საბიუჯეტო თავისუფლება ენიჭებათ. ფულის განაწილების გზა ქვემოდან ზემოთ მოკლდება.

- ეკონომიკის განვითარებაში სტატისტიკური მონაცემები განმსაზღვრელია.

- გეთანხმებით, საქსტატის სამსახური აქტიური უნდა იყოს, არ უნდა ელოდებოდეს კვარტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას. ყოველთვიურ ბიულეტენებს უშვებდეს და მედიასთან აქტიურად თანამშრომლობდეს. რა თქმა უნდა, სტატისტიკა აღწერს, ფასების მატება და კლება მათი ბრალი არ არის, საზოგადოებასთან ხშირი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ და სტატისტიკის მეთოდოლოგიაში განათლების ელემენტები შეიტანონ. საქართველოს პარლამენტში იყო სერიოზული ანალიტიკური დაწესებულება-საბიუჯეტო ოფისი, რომელმაც დეპუტატებს და ჟურნალისტებს ასწავლა, თუ რა არის ბიუჯეტი, 1998-2004 წლებში ამ სკოლის დახმარებით პარლამენტში სერიოზული დებატები იმართებოდა. ახლა მისი როლი დაკნინებულია, არსად ჩანს, არც მედიაში, არც ინტერნეტში.

- რატომ დაკნინდა საბიუჯეტო ოფისი?

- თქვენ შეგიძლიათ გაარკვიოთ.
- ამ კითხვით მივმართავთ პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს.

- ძალიან კარგი. ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო ოფისის აღდგენას.

- როგორ უნდა მიიღოს მოქალაქემ ელემენტარული ეკონომიკური განათლება?

- ის უნდა დაინტერესდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით, ფული ცოტა, მაგრამ რომელიც აქვს, იხარჯება თუ არა სწორად. მას საშუალება უნდა ჰქონდეს, თქვას გზის დაგება სურს, წყალგაყვანილობის მოწესრიგება, თუ განათლების გაუმჯობესება. ხარჯებზე კონტროლის თემა მოქალაქეებამდე უნდა იყოს დასული, ამ საკითხებში მნიშვნელოვანია ადგილობრივი მედიის როლი. ახალი ორგანიზაციის შექმნით დაინტერესებული ჟურნალისტებიდან მეორე თქვენ გამოიმხმარეთ, გურულები ძალიან ყოჩაღები ხართ. ვისაც ეკონომიკის საკითხები აინტერესებს, ვურჩევ, პირველად რაც მოუვა თავში, ჩათვალოს, რომ არასწორია, რადგან ეკონომიკაში რაც მარტივად გადასაწყვეტი ჩანს, ყველაზე რთულია. ამიტომ, უნდა დაუჯეროს ექსპერტებს, მაგრამ არა ყველას.

ლელა სურმავა

„რა მოხდება, ყოფილი ნისქვილკომბინატის ადგილზე სანარმო როგორ აუენდეს?“

ოზურგეთი – სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, მდინარე ნატანების მარჯვენა, ზღვის დონიდან 80 მ. ოზურგეთიდან 1 კმ. სოფელში არის საჯარო სკოლა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, გადის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზა. სოფლის ტერიტორიაზე არის 1918 წელს გურიაში შექრილი თურქების წინააღმდეგ დაღუპულ მებრძოლთა საძმო სასაფლაო.

2010 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა არის 1898 კაცი. მათი 99% ქართველია, ასევე ცხოვრობენ სომხები. მოსახლეობის 9.5% ლარიბია. დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის 14%-ია.

სოფლის ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. თუმცა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩვენთან სხვა საკითხებზეც ისაუბრა.

– სოფელი საკმაოდ დიდია და ბუნებრივია, ყველა სახელმწიფო სამსახურში ვერ დასაქმდება, ვერც ბაზარში დადგება სავაჭროდ. გეჭირდება სანარმო, რომელიც ადგილზე აშენდება და რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, – გვითხრეს სოფელ ოზურგეთის მცხოვრებლებმა.

– ნისქვილკომბინატში ვმუშაობდით თითქმის მთელი სოფელი, ფერმაც იყო. ხალხი დასაქმებული ვიყავით და ოჯახებს ვარჩენდით. ახლა თითქმის ყველა უმუშევარი ვართ და ახალგაზრდობა თურქეთშია გადახვეწილი. რა მოხდება, ყოფილი ნისქვილკომბინატის ადგილზე რამე რომ გააკეთონ? – გვეუბნება სოფლის მცხოვრები ირაკლი.

დავითი: ხმები გავრცელდა, ნისქვილკომბინატის ყიდვას უცხოელები აპირებენო, მაგრამ ჩვენ არავინ გვინახავს აქ მოსული. ამხელა მინა ცდება ტყუილა. აქ ქარხნის, სანარმოს გაკეთება შეიძლება და ადგილობრივებიც დასაქმდებიან.



ყოფილი ნისქვილკომბინატი

ნინო: სოფლის ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. კარგი იქნება ახალი მთავრობა სამუშაო ადგილებს თუ შექმნის და დაგვასაქმებს.

დარეჯანი: წყალმა ჩვენი საყანე ფართობი წაიღო. ადგილობრივ ხელისუფლებას მივმართეთ დასახმარებლად და საკვები პროდუქტები სახლში მოგვიტანეს. მადლობელი ვართ მათი, – გვეუბნება ქალბატონი დარეჯანი.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სოფელს ახალი გამგებელი – ვალერიან ჯინჭარაძე, 2013 წლის აპრილში დაინიშნა. ახალგაზრდა, ენერგიულმა რწმუნებულმა, სოფლის ახალგაზრდობის დახმარებით, მოსახლეობის პრობლემების მოგვარება დაიწყო.

– რა თქმა უნდა, მარტო მე ვერაფერს გავაკეთებ. ვეცნობი ჩემი სოფლის მოსახლეობის პრობლემებს, მიმაქვს ქალაქის გამგებობამდე

და ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად მოვაგვაროთ ყველაფერი, – გვითხრა ბატონმა ვალერიანმა, – რომ არა გამგებლის, კონსტანტინე შარაშენიძის გვერდში დგომა, მე ვერაფერს გავაკეთებდი სოფლისთვის.

როგორც გამგებელმა გვითხრა, ამჟამად, მიმდინარეობს სოფლის სახალაგვრე არხების მოწესრიგება.

– იმ ტერიტორიის მოსახლეობა, სადაც ამჟამად სახალაგვრე არხის გაჭრა მიმდინარეობს, ძლიერი წვიმების დროს მუდმივად იტბორებოდა. ხალხს წყალი სახლებში შედიოდა. ამ არხის გაჭრის შემდეგ, წყალი მოსახლეობის ეზოებს აღარ დატბორავს, – გვეუბნება გამგებელი.

– ცოტა ხნის წინ სოფლის მოსახლეობამ ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტა ბუნებრივი აირის მიწოდების მოთხოვნით. რა ეტაპზეა სოფლის გაზიფიცირება?

– შევხვდით მაშინ სოფლის მოსახლეობას და რაც დავეპირდით, ვასრულეთ. სოფლის უბნებში ეტაპობრივად შედის ბუნებრივი აირი.

– სოფელი მთავარ პრობლემად უმუშევრობას ასახელებს. ხომ არ იგეგმება რამე სანარმოს აშენება სოფელში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება?

– ამ ეტაპზე არაფერია დაგეგმილი. თუმცა, ვცდილობთ სოფლის მოსახლეობის ყველა პრობლემა შეძლებისდაგვარად გადავჭრათ. გავარემონტეთ საბავშვო ბაღის ოთახი. შევიძინეთ ეზოს სათამაშოები, გავარემონტეთ მოსაცდელეები, 15 ოჯახს გადაუფხურეთ სახლები. კიდევ გვაქვს გეგმები და ვნახოთ.

– სოფელში, ყოფილი ნისქვილკომბინატის ტერიტორიის შესახებ, რას გვეტყვი? როგორც ვიცით, უცხოელი ბიზნესმენები გამოხატავენ ინტერესს მის მიმართ?

– კი, იყვნენ. უნდოდათ შესყიდვა და რალაცის გაკეთება, მაგრამ ძვირი დაგვიჯდება მისი დაშლა და უარი თქვას. თუკი ვინმე დაინტერესდება სოფელი მიესალმება. აქ კარგი იქნება სამაცივრე მეურნეობის გაკეთება, თუმცა, ეს ჩემი პირადი აზრია. იქნებ ვინმე დაინტერესდეს ამ ტერიტორიით. ქალაქთან ახლოსაა, სოფლის



სოფლის ადმინისტრაციული შენობა



სოფლის მოსაცდელი



საბავშვო ბაღის ეზო



გადახურული სახლი

ცენტრია, რკინიგზის გვერდზე... ყველანაირად ხელსაყრელი ადგილია.

- ზაფხულობით სოფლის მოსახლეობა უწყლობას უჩივის...

- ამ ეტაპზე წყალი ადგილობრივი მოსახლეობისთვის არ არის პრიორიტეტული. ყველას ეზოში ჭა აქვს. წყალი რომ შემოიყვანო, მრიცხველები უნდა დადგა და მერე დანახარჯი იხადო, სოფლის მოსახლეობას ამის

შესაძლებლობა არ აქვს.

- როგორც ვიცი, სოფლის ცენტრში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში სარაიონო კულტურის ცენტრი კეთდება...

- ასეა ჩაფიქრებული. პირველ ეტაპზე რამდენიმე ოთახის გარემონტება იგეგმება. ძალიან ძვირი ჯდება მთლიანი შენობის რემონტი, თუმცა, სრულად გარემონტდება. ამ ცენ-

ტრის გაკეთებით, მოსახლეობაც დასაქმდება და სოფელში მეტი ადამიანი დაინყებს მოძრაობას.

- სოფლის განვითარების პროგრამით რისი გაკეთება იგეგმება სოფელში?

- ჯერ არ ვიცი. მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გადაწყდება, რა არის მათთვის პრიორიტეტული და რა გაკეთდება სოფელში.

ია ტაკიძე

ფიორაზი ჩხაიძე: ჩვენი ჰრიორიტეტი გურიის ჩვენი მკონსოლიდაცია სტრატეგია



„პოლიტიკურ განცხადებებს და შეფასებებს არ ვაკეთებ, ჩემი ორიენტირი ეკონომიკაა, ამ მიმართულებით გარკვეული შედეგი უნდა დავდოთ“ - დაახლოებით ერთი თვის წინ გაზეთ „ლანჩხუთი plus-თან ინტერვიუში გურიის ახალმა გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ განაცხადა. მან ფართომასშტაბიან პროექტზე ისაუბრა, რომელიც მთელ რეგიონს მოიცავს და გლეხს საშუალებას მისცემს ხილს ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად გაუწიოს რეალიზაცია და პროდუქტი ოპტიმალურ ფასად გაყიდოს.

- რა სიახლეები შეიძლება მივანოლოთ ჟურნალ „გურია REGION“-ის მკითხველს.

- გურიაში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ახალი პროექტები იგეგმება. საუბარია, სამაცივრე სისტემაზე, მოცულობიდან გამომდინარე ის სამივე მუნიციპალიტეტს მოემსახურება, ასევე ხილის გადამამუშავებელ საწარმოებზე მიბმული იქნება სპირიტის წარმოებაც, თუ ხილი, როგორც გაყიდვადი პროდუქტი უვარგისია, ის სხვადასხვა სახით გადამამუშავდება, ერთ-ერთია სპირიტის მიღება, საბოლოოდ არყის დამზადება. გვექნება კონცენტრატის ქარხანა, მიმდინარეობს მოლაპარაკება, ყველაზე საინტერესო და გრანდიოზული პროექტი - 10 ათას ტონიანი სამაცივრე სისტემის შექმნაა, რომელიც რეგიონში 100%-ით ხილის შენახვას მოაწესრიგებს.

- ადგილობრივების პროდუქცია სავარაუდოდ ხილის და ციტრუსის რამდენიმე სახეობაა, უფრო კონკრეტულად რო-

მელი ხილის რეალიზება იგეგმება?

- საუბარია საინტერესო და კონკურენტუნარიან პროდუქტზე - კივზე. საქართველოში მოყვანილ კივში იოდის შემცველობა მაღალია. მსოფლიოში მოთხოვნადი პროდუქტია ფეიჰოა. ციტრუსი-ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი. გურიაში მსხლის ბევრი ჯიშია, ტყემალი, ხურმა. ვაშლი, როგორც კონცენტრატი ბაზარზე ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტია. გურიას სეროიზული რესურსი აქვს, ამიტომ სოფლის მეურნეობა ფეხზე უნდა დადგეს.

- ჩვენი მკითხველი ყველაფერს იმასხორეებს. როდის იწყება მასშტაბური პროექტების განხორციელება?

- (იციინის) კარგი შეკითხვაა, საუბარია 6-7 სხვადასხვა კომპონენტისგან შემდგარ სასოფლო-სამეურნეო პროფილის პროექტზე, რაც გურიისთვის საკმაოდ ამბიციური განაცხადია. ორ პროექტზე კერძო სექტორიდან უკვე გადამწყვეტილება მიღებულია. ინტენსიურად ვმუშაობთ სხვა ბიზნესმენებთან, გვსურს, ისინი დავანტერესოთ. ერთი საწარმოს მშენებლობა მალე დაიწყება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში პროექტი დასამტკიცებლად შეიტანეს.

- რომელი საწარმოები აშენდება ლანჩხუთსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში?

- ყველა პროექტი რეგიონალურ დონეზე მზადდება, ბიზნესისთვის მხოლოდ ლანჩხუთზე და ჩოხატაურზე ორიენტირი მომგებიანი არ იქნება. მაგალითად მანდარინი ოზურგეთში დაახლებით 14 ათასი ტონა მოდის, ლანჩხუთში-2 ათასი ტონა, ჩოხატაურში უფრო მცირე ციფრია. ამიტომ, ერთობლივად უნდა დავინტერესდეთ, სამივე მუნიციპალიტეტის პროექტის ფარგლებში იგეგმება დიდი სანერგე მეურნეობის გახსნა. ხალხს უნდა შევთავაზოთ ადაპტირებული და გამოყვანილი კულტურები. მათ კონკრეტულად ვუთხრათ, ამა და ამ მცენარის ნერგი, რომელსაც გთავაზობთ, ეკონომიკურად გამართლებული და პერსპექტიული იქნება. მაგალითად, ჰექტარზე ფეიჰოას და კივის 35-40 ტონა მოსავალი მოდის.

- მიმღები პუნქტები, ალბათ, სოფლებში გაიხსნება.
- რა თქმა უნდა, წარმოებები ადგილზე გაიხსნება.
- ჩვენი საუბრის დროს, თხილის თემას გვერდს ვერ ავუვლით, მწარმოებლის დიდი ინტერესის პარალელურად, თხილის ფასზე მონოპოლიაა.
- სამი თვეა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად გურიის აგრარული პროფილის შენაწვლა და ანალიზი დავინწყეთ, თხილი ერთ-ერთი არარენტაბელური კულტურაა. მოსავლიანობა მცირეა, მიწის ფართობი კი დიდი სჭირდება. თუ გლესს გარანტია ექნება ერთ ჰექტარზე მოყვანილ 35-40 ტონა კივი კოლოგრამი 50 თეთრად ჩააბაროს, დაახლოებით 20 ათას ლარს აიღებს. თხილის მოსავალი ჰექტარზე 8 ათასი ლარია. არსებობს ალტერნატიული კულტურა - მოცვი, რომელიც გურიაში მასობრივად შემოვიდა, საინტერესო და პერსპექტიული პროდუქტია. იაპონიის საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ნაბლის თემაზე ვსაუბრობდი, გურიაში ბევრი ნაბლია. იაპონიაში 100-მდე ნაბლის ჯიში ხარობს, მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევიან, ვთხოვე, შესაბამის ორგანიზაციებს დაგვაკავშირონ, საცდელ ნერგებს ჩამოვიტანთ, გურიაში დაიარსება და დავაკვირდებით, ჩვენ პირობებში მათი ადაპტაცია შესაძლებელია თუ არა.

- რატომ არ ინტერესდებით ჩვენი ნაბლის ჯიშებით?
- აეხსნათ, რატომ დავინტერესდით იაპონური ნაბლის ჯიშით. ყველაზე პრობლემურია პირველი ნაყოფის მიღების პერიოდი, არსებობს ამერიკული ჯიშები, რომლებიც მეათე წელს ისხამს პირველ ნაყოფს და 50 წლის მანძილზე სიმალეში 35-40 მეტრამდე იზრდება. კავკასიური ჯიშის ნაბლი, რომელიც ჩვენთან ხარობს, იმავე სტანდარტში ჯდება. იაპონური ჯიშები 15 მეტრამდე იზრდება და მეორე-მეოთხე წლიდან ისხამს ნაყოფს. თუ გლესი ორწლიან ნერგს დარგავს, მეორე-მესამე წლიდან მიიღებს მოსავალს და ყოველ წელს მატებისკენ წავა. ნაბლის განაშენიანებას სხვა დატვირთვაც აქვს, გურიაში ტყეები იჩნება, არის მენყურული ზონები, იქ ადრე ჩაის პლანტაციები იყო. ასეთი ფართობები ტყით უნდა დაიფაროს. ნაბლის ნერგების გაშენება მეფუტკრეობის განვითარების სტიმულს მოგვცემს (ნაბლის ყვავილის თაფლი უნიკალური თვისებებით გამოირჩევა), ასევე კარგი სამასალე მერქანი აქვს. მთავარია, სწორი ხედვა გვქონდეს, უახლოეს პერიოდში გურიაში წარმოება უნდა გაიხსნას, განვსაზღვროთ სტრატეგია, რეგიონში რისი წარმოება შეიძლება. ამ ეტაპზე გურიისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია ხილის გადამამუშავებელი წარმოების შექმნა, ამ მიმართულებით მკაფიო ხედვა მაქვს.
- არის თუ არა გლესისთვის ეფექტური საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროგრამა?
- წინააღმდეგი ვარ, სახელმწიფო მანდარინზე დოცაციას გასცემდეს. ასევე გლესს უფასოდ უხნავდეს და უთესავდეს მიწებს, მას სახელმწიფო წარმოებული პროდუქტის რეალიზაციაში უნდა დაეხმაროს. ის თავად დახმავს, დათესავს, მოუვლის და მოიყვანს მოსავალს. გურიაში მხოლოდ სიმინდზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა უნდა დასრულდეს. სიმინდი წამგებიანი კულტურაა, გლესი მოსაყვანად 1000 ლარს ხარჯავს და 700 ლარის პროდუქციას იღებს. სიმინდი შეიძლება მხოლოდ ოჯახში მოიყვანონ. ამიტომ, გლესებს ისეთი პროდუქტები უნდა შევთავაზოთ, რომლებიც ეკონომიკურ სარგებელს მოუტანთ.

ლანჩხუთში 15 მილიონიანი გრანდიოზული სამელიორაციო პროექტი იწყება

„ჩვენ უკვე სამუშაო რეჟიმზე გადავიდვართ“, - ეს ფრაზა ეკუთვნის გიორგი ჩხაიძეს, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ფართომასშტაბიანი სამელიორაციო პროექტის პრეზენტაციაზე არაერთხელ თქვა. ამთავითვე უნდა მოგახსენოთ ამ შეხვედრის შესახებ: 25 თებერვალს, გურიის გუბერნატორის, ბატონ გიორგი ჩხაიძის ინიციატივით ლანჩხუთის მელიორაციის სამმართველოში შედგა წარდგენა, რომელზეც ადგილობრივი და რეგიონული მედიის ჟურნალისტებთან ერთად მონვეული იყვნენ საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის რონი-ჩოლოქის აუზის სისტემური სამმართველოს დირექტორი ვაჟა კირთავა, მოადგილე დიმიტრი კვეთუაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად, გუბერნატორის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

თვალსა და გულს გაგიხარებთ ლანჩხუთის მელიორაციის სამმართველოს ახალგარემონტებულ შენობაში შესვლა. განწყობა შეგიქმნა მთავარი მასპინძელის - ბატონი თეიმურაზ ბარამიძის თავაზიანმა დახვედრამ.



გიორგი ჩხაიძე, ვაჟა კირთავა და თეიმურაზ ბარამიძე პროექტის წარდგენის დროს

- შეხვედრის ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე კომენტარი ვთხოვე კომპანიის დირექტორს, ბატონ ვაჟა კირთავას:
- ბატონო ვაჟა, ორიოდ სიტყვით გვითხარით, რას შეეხება დღევანდელი შეხვედრა, გვითხრეს, რომ ფართომასშტაბიანი პროექტი იწყება...
- დიას, ეს პროექტი წელს არ გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ თქვენი გუბერნატორის ჩარევით მოხერხდა, რომ

ჩვენს ბიუჯეტში ცვლილება შევიტანეთ და შესაბამისად, ამ პროექტის სამუშაოები ჩავსვით...

– გვითხარით თუ შეიძლება, რა პროექტზეა საუბარი, რითაა ის მნიშვნელოვანი ჩვენი მოსახლეობისთვის და რომელ ტერიტორიებს მოიცავს?

– რომელ ტერიტორიებს მოიცავს, ამის შესახებ დაზუსტებით გეტყვით ბატონი თემურ ბარამიძე. მე შემიძლია გითხრა, რომ სანყის ეტაპზე შესრულდება ორი მილიონი ლარის სამუშაოები, საერთოდ აღნიშნული პროექტი დაახლოებით 15 მილიონიანია.

რაც შეეხება თქვენთან განსახორციელებელ სამუშაოებს, – გურიის გუბერნატორმა გვთხოვა, იქნებ როგორმე საყანე ფართობების მაგისტრალური არხები გაგვეწმინდა. შესაბამისად, გავაკეთეთ ბიუჯეტის კორექტირება და გავითვალისწინეთ ეს თხოვნა. ალბათ, სადღაც ათი დღის ვადაში ჩვენ ამ სამუშაოებს დავინწყებთ. მიმდინარეობს პროექტის მომზადება, რომლის გარეშეც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება არ არის რეკომენდირებული და არც დაშვებული. ამიტომ პარალელურ რეჟიმში ვაკეთებთ პროექტს და ვინწყებთ სამუშაოებს.

– შემსრულებელი ტენდერის პირობებით გამოვლინდება თუ...

– არა, ჩვენ ტენდერს არ ვაცხადებთ, ფუფუნება არ გვაქვს, ტენდერი გამოვაცხადოთ... ქვეყნის მასშტაბით ამ სპეციფიკური სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციები არ გვყავს, უფლება მოგვეცა ხელშეკრულების წესით გავაფორმოთ სამუშაოებზე კონტრაქტები. აქვე გეტყვით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტური პროექტია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გაიწმინდოს და გაფართოვდეს სამელიორაციო სისტემა, რაც სიმინდის მოსავლის მკვეთრ ზრდას შეუწყობს ხელს. ამ ეტაპზე გაიწმინდება 12-13 კილომეტრიანი ის მაგისტრალური არხი, რომელშიც თავს იყრის ყველა სადრენაჟო სისტემა, აქედან გამომდინარე, პირველ რიგში ეს არხი უნდა გაიწმინდოს და მერე უკვე ავყვებით ზემოთ გამანაწილებლებს.

– კარგი, მაშინ ასე შეგვიტყვი, – ვაკეთდა პროექტი, გავიდა ათი დღე, ვინ იწყებს სამუშაოებს?

– ამას ჩვენვე ვაკეთებთ ჩვენივე ძალებით.

– თქვენ გაგაჩნიათ ტექნიკა?

– კი, რა თქმა უნდა, ჩვენს კომპანიას ჰყავს შესაბამისი ერთეული, რომელსაც ჩვენი მოძრავ-მექანიზირებული სამმართველო ჰქვია, ამიტომ ჩვენი ძალებით განვახორციელებთ ამ საქმეს.

შემდეგ კონკრეტული შეკითხვით მივმართეთ სამმართველოს უფროსს, ბატონ თემურაზ ბარამიძეს:

– ბატონო თემურ, კონკრეტულად რომელი სოფლების მცხოვრებთა საყანე ფართობებში დაიწყება აღნიშნული პროექტის განხორციელება და საერთოდ, რა მასშტაბებში აისახება სამუშაოები?

– სამუშაოები იწყება ლესა-ჩიბათის მასივიდან, ახლავს გეტყვით, თუ რომელი სოფლების მოსახლეობის ყანებზე გავიდა ეს არხი: გვიმბალაური, ჩიბათი, ლესა, ნიგვზიანი, არჩეული და სუფსა. როგორც გითხარით, ეს ეხება წელს განხორციელებულ სამუშაოებს, ხოლო ზოგადად პროექტი სამწლიანია და დასრულების შემდეგ ზემოთჩამოთვლილთა ერთად მოიცავს ლანჩხუთის, შუხუთის, ჭყონაგორის, ქვიანის, ჯაპანის, ფიორის ტერიტორიებს. ამ არხში წყალი აბაშიდანაც ჩაედინება. დამშრობქსელიანი ფართობის რაოდენობა შეადგენს 13 674 ჰექტარს, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია 10 575 ჰექტარზე, რომლის 80% სახნავ-სათესი მიწებია.



ლესა-ჩიბათის მასივებში ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიგინეიშვილი, სამელიორაციო სამმართველოს უფროსი ვაჟა კირთავა და გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე

ბურიის გუბერნატორის, ბატონ ბიორბი ჩხაიძის კომენტარი:

– ჩვენ ვსაუბრობთ ლანჩხუთის რაიონისთვის საუკუნის პროექტზე, რომელიც საბჭოთა კავშირის შემდეგ არ განხორციელებულა, ეს არხები მას შემდეგ არ განმედილა. მაგრამ აქ მარტო არხის განმედილაზე არის. ყველაზე მნიშვნელოვანია – ლანჩხუთის რაიონის სავარგულების 60%-ზე მეტი ამიტომ არ მუშავდება და ისედაც მცირემინიანი რაიონი სავარგულის გარეშე დავრჩით ამ არხებიდან გამომდინარე.

დიდი საქმეს შევეჭიდეთ, მიმაჩნია რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი ლანჩხუთში არ მომზადებულა, მითუმეტეს, თუ სოფლის მეურნეობა უნდა იყოს პრიორიტეტი, ეს მინის გარეშე შეუძლებელია.

პროექტის მიხედვით სამი წლის განმავლობაში ვიმუშავებთ. რაც მთავარია, პოლიტიკური ნება, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვაკეთედეს და დასრულედეს, მიღებულია. ასე, რომ ჩვენ გადავდივართ უკვე სამუშაო რეჟიმში და ამ პროექტის აღსრულებაზე ვინწყებთ მუშაობას. აქ დაიწყება როგორც ექსპლუატაციის სამუშაოები, ისე რეაბილიტაციის სამუშაოები. ხენა-თესვის პროგრამა, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს, მიბმული უნდა იყოს ჩვენს სამუშაოებზე.

სამი წლის შემდეგ პროექტი დასრულდება და საუბარია 15 მილიონი ლარის სამუშაოებზე, რომ პროგრამა დაიხუროს.

წლევანდელ ბიუჯეტში 15 მილიონის საშუალება არ იყო, მაგრამ რომ ყოფილიყო, ამხელა თანხის ათვისება გაჭირდებოდა.

ბოლოს, მიმდინარე წელს, შესაძლებელია პირველადი ეფექტი ვერ მივიღოთ, მაგრამ ტერიტორიები „ამონისუნთქავს“, როგორც კი შეაერთებენ შიდა არხებს. ეფექტი ამის შემდეგ დადგება!

პრეზენტაციის შემდეგ სამელიორაციო სამმართველოდან ყველანი ლესა-ჩიბათის საყანე მასივებისაკენ წავედით. ადგილზე მისულებს წარმოდგენა გვექონოდა, თუ რა მასშტაბურ პროექტთან გვაქვს საქმე.

გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ ჟურნალისტებს თხოვნით მოგვმართა, რომ სამუშაოების დაწყების შემდეგაც დავინტერესდეთ ამ თემით.

P.S. შეხვედრას არ დაესწრო გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ზაზა ურუშაძე. თუმცა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ღონისძიება სამშაბათ დღეს შედგა, როცა გამგებელს მოსახლეობასთან შეხვედრის დღე აქვს, თანაც იგი ადგილობრივ არჩევნებში კოალიციის სახელით მონაწილეობისთვის ემზადება... მაგრამ ამ ფაქტმა კითხვის ნიშანი მაინც დატოვა...

კესო მახარაძე



მაგისტრალური სამელიორაციო არხი, რომლის რეაბილიტაცია დაიგეგმა



5-6 მარტს ქართული დელეგაცია, ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვიციანიშვილის ხელმძღვანელობით პირველი ოფიციალური ვიზიტით ქალაქ ჰააგაში იმყოფებოდა. ქართულ დელეგაციაში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი პერტაია, თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კიკვაძე და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ილია კვიციანიშვილი შედიოდნენ.

ვიზიტის მიზანი იყო ქვეყნის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელ პირებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარება. საქართველოს მთავრობის წევრების მხრიდან ჰოლანდიის ბიზნესსწრებს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალს შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდა. იმისთვის, რომ მომავალში ჰოლანდიური კომპანიების საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესება მოხდეს.

ქართულმა დელეგაციამ პირველი შეხვედრა ამსტერდამის სამეფო კლუბში გამართა. ბიზნეს სექტორისთვის გამართულ საქართველოს შესახებ პრეზენტაციას ელჩი ნიდერლანდების სამეფოში შოთა ღვინერია უძღვებოდა. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ასევე, საქართველოს შესახებ პრეზენტაცია მოამზადა

მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში

ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა გიორგი პერტაიამ.

ქალაქ ჰააგაში ვიცე-პრემიერმა შეხვედრა გამართა ნიდერლანდების სამეფოს საგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის მინისტრ ლილიან პლუმენთან. შეხვედრაზე განხილული იყო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შემდეგი სფეროები: სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი კვიციანიშვილი, ასევე, ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის საგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარეს რაიმონდ დე რუნს შეხვდა. შეხვედრას საგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის კომიტეტში შემავალი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელი პარლამენტარები ესწრებოდნენ.

მოგვიანებით, ნიდერლანდების სამეფოში მდებარე საქართველოს საელჩოს შენობაში ჰოლანდიაში არსებულ ბიზნესის ხელშეწყობის ფონდებისა და სააგენტოების ხელმძღვანელებთან საქმიანი სადილი გაიმართა.

საქართველოსა და ჰოლანდიის თანამშრომლობა ვაჭრობის განვითარების კუთხით ბიზნესის კეთების შესაძლებლობები საქართველოში. ეს ის ძირითადი საკითხები იყო, რომლებზეც ქალაქ ჰააგაში გამართულ ბიზნესკონფერენციაზე გიორგი კვიციანიშვილის ხელმძღვანელობით ქართულმა დელეგაციამ და ჰოლანდიურმა მხარემ ისაუბრეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ქალაქ ჰააგაში ბიზნესკონფერენცია – Doing business in Georgia გახსნა. ფორუმი ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოსა და

ნიდერლანდების ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს ორგანიზებით გაიმართა. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ელჩი ნიდერლანდების სამეფოში შოთა ღვინერია და ჰოლანდიის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დირექტორი სიმონ სმიტი.

საქართველოს შესახებ პრეზენტაციები გამართეს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი პერტაიამ და თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი კიკვაძემ. საქართველოს შესახებ ორგანიზებულ ღონისძიებას 100-ზე მეტი ჰოლანდიელი ბიზნესმენი დაესწრო.

ვიზიტის დასასრულს, ნიდერლანდების სამეფოს ინდუსტრიისა და დამსაქმებელთა კონფედერაციის თავმჯდომარის, ბერნარდ ვინჩესისა და საქართველოს ვიცე-პრემიერ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის მასპინძლობით მაღალი დონის საქმიანი ვახშამი გაიმართა. მას ნიდერლანდების მთავრობის წევრები, პარლამენტარები და მსხვილი კერძო კომპანიების ხელმძღვანელები დაესწრნენ. (Philips, The Friesian, APM Terminals, VanDrie Group, Rabo Bank, Agrico, 2 Sisters Storteboom, Royal Haskoning, Witteveen Bos).

ბოლო 5 წელია ბერნარდ ვინჩესი სხვადასხვა გამოკითხვებში ყველაზე გავლენიან ჰოლანდიელად სახელდება. სწორედ მან გაუწია ვახშამს მოდერაცია. ნიდერლანდების სამეფოს ინდუსტრიისა და დამსაქმებელთა კონფედერაცია (VNO-NCW) ქვეყანაში მენარმეთა უმსხვილეს ორგანიზაციას წარმოადგენს. VNO-NCW იცავს ჰოლანდიური ბიზნესის ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

არჩილ ხომასურიძე: გურული დიალექტის ცოდნაში ბადალი არ მყავს

არჩილ ხომასურიძე 1942 წლის 11 თებერვალს დაიბადა. ვაჟთა მეშვიდე რკინიგზის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩააბარა. 1965-1969 წლებში იყო ქალაქ მოსკოვში კლინიკური და ექსპერიმენტალური ენდოკრინოლოგიის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტი. 1969-1972 წლებში საკავშირო სამედიცინო გინეკოლოგიის ინსტიტუტში სხვადასხვა სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობდა. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ჰიპოთირეოზის გავლენა ფარისებრ, თირკმელზედა, კუჭუკანა, რეპროდუქციულ, თირკმელებისა და ღვიძლის ფუნქციებზე“. 1985-2012 წლებში იყო ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, 2002 წლიდან გახლავთ მთავარი რეპროდუქტოლოგი, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელი და დღემდე მისი პრეზიდენტი. არჩილ ხომასურიძე 450 სამეცნიერო ნაშრომის, 3 გამოგონების და 5 სადოქტორო დისერტაციის ავტორია. დაჯილდოებულია მრავალი საპატიო სიგელით და ორდენით, მათ შორის ღირსების ორდენით.

არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 2013 წლის იანვრის თვეში დაიწყო ფუნქციონირება. თვედორე მღვდლის 13-ში მდებარე შენობის მე-7 სართულზე პაციენტების სიმრავლე დაგვხვდა, რაც იმის დასტურია, რომ ინსტიტუტმა მათი ნდობა მოიპოვა.



ადამიანის ონტოგენეზში ყველაზე ბედნიერი პერიოდი ბავშვობაა. მთელი ბავშვობა ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანუღში გავატარე. ძალიან ლამაზი ადგილია, სადაც კარგი თვისებები შევიძინე, ამიტომ მოგონებებს ფაქიზად ვეპყრობი. სანყისი არ დავკარგე, ახლაც, სისტემატურად დავდივარ, ვუვლი წინაპრების სასაფლაოს, ჩემს ეზოში ორასი წლის ნაბლის ოდა სახლი დგას.

– რაჭული გვარი გაქვთ, როგორ მოხვდით გურიაში?

– დედით გურული ვარ, როგორც ყველა გურულს, განსაკუთრებით ცინცაძეებს უცნაური სახელები ჰქონდათ. დედას-ვანანა ერქვა. ბებია-ფროლენცია დიდი თავადი ჯაყელების შთამომავალი იყო. ბაბუა-აფთონ ცინცაძე მენშევიკების დროს ორი წელი ჩოხატაურის მაზრის უფროსად (რაიკომის მდივანი) მუშაობდა. შემდეგ დახვრიტეს. ფროლენცია სკოლის დირექტორი იყო. მეორე ბაბუა-ნიკიფორე ხომასურიძე თბილისში მდიდარი კაცი იყო, კომუნისტებმა გააკულაკეს, ინერვიულა და 46 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა. როცა დედა გაკულაკებულ ხომასურიძის შვილს გაჰყვა ცოლად, გურულები ამბობდნენ – „კაცო, აფთონ ცინცაძის ქალიშვილმა კაცი ვერ იპოვა და ლაჭველს გაჰყვა ცოლადო?“. გურული დიალექტით ლაჭველი რაჭველს ნიშნავს. ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში გამოვაცხადე, ყველა ჩოხატაურელი რიგის გარეშე მიეღოთ და ექიმებს ფული არ გამოერთვათ. სამედიცინო მომსახურების ხარისხზე თავად ვზრუნავდი. აღარ ვსაუბრობ პაციენტების უფასო გასინჯვაზე, ექოსკოპიაზე, ნამალსა და აპარატურაზე. სიკეთის კეთება დედამ ჩამინერგა.

– გურულები იუმორით გამოირჩევიან.

– სოფელ მამათთან ორი გურული „ჟდანან“ (სხედან), გზაზე მამათის ნარწერაა. ერთი მეორეს ეუბნება – „ძამა, მგონი აქანა პირველი ასო „მ“ საჭირო არ არისო. დარჩება ამათთან.“ გურული საჯავახოში მატარებლის ლიანდაგზე ზის. მივიდა „განკიპარტებული კაძახი“ და უთხრა – „ძამა, პანე გეინიე, მეც ჩამოვჯდებიო“. გადმოცემით ვიცი, გურიის ბოლო თავადმა მამია გურიელმა სამეგრელოში დადიანთან ელჩი გაგზავნა, მივიდა პატარა „მოძირაკებული“ კაცი. დადიანი ზემოდან უყურებდა და უთხრა – „მამია გურიელმა კაცი ვერ ნახა, შენ რომ გამოგგზავნაო?“ მცირე პაუზის შემდეგ ელჩმა უთხრა – „კაცი კაცთან გააგზავნა, მე თქვენთან გამოგზავნა თავადო.“ გურული დიალექტის ცოდნაში ბადალი არ მყავს. ასეთი ნიჭიერები არიან გურულები. სამწუხაროდ, როგორც ყველა ქართველს, მათაც მანიფესტარებადი ჩვევა ახასიათებთ, ზარმაცები არიან, მარტო საუბარი უყვართ. დღეს, ქართული სოფლები კვდება. მხოლოდ ტრაგედიის აღწერა არ მიყვარს. ყველამ ჩვენი გენეტიკა ძირფესვიანად უნდა გამოცვალოთ.

– რატომ შეიქმნა ალტერნატიული ცენტრი?

– ი. ჟორდანიას კლინიკიდან არა თუ ნამოვედი, გამომაგდეს. ალბათ, ჩემი პროფესიონალური „შეუსაბამობის“ გამო. სერიოზულად, კი, გეტყვით, ჩემთვის უსიამოვნოა ლალატსა და გადაგდებაზე აგებული ბანალური და ბინძური ისტორია. ქალაქის ცენტრში წლების მანძილზე გამოუყენებელი ფართი მქონდა, გავარემონტე და ახალი ინსტიტუტი განვათავსე. ხათაბალაში გავეხვიე, 70 წლის ასაკში

თავიდან დავიწყე ცხოვრება და „რეპროდუქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ დავარსე. ბევრი კარგი ექიმი მოვიდა, ეს მათი გადამწყვეტილება იყო. დაგისახლება – ცნობილი გინეკოლოგი და რეპროდუქტოლოგი ლალი ფხალაძე, პერპეტუალი რეპროდუქტოლოგი ლუდმილა ბარბაქაძე. მსურს, გამოვეყო ჩვენი ჰორმონალური ლაბორატორია, რომელსაც ექიმი ნანა კვაშილავა ხელმძღვანელობს. გლაბორატორია ყველაზე სანდოა, სწორედ, აქ გაკეთებული ანალიზები ზუსტად ასახავენ ჩვენი პროფილური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას.

– რეპროდუქტოლოგია ერის გამრავლებაზე, შობადობაზე, ჯანსაღ მომავალზე ზრუნვას ნიშნავს. რასაც თქვენ აკეთებთ, ვთქვით ხელოვნური განაყოფიერება, სუროგაცია, კონტრაცეფცია, თუ სხვა, როგორც ჩანს საეკლესიო ნორმებთან წინააღმდეგობაშია, რაც მისი უწმინდესობის საშობაო ეპისტოლეში გამოითქვა.

– დიახ, ამ მძიმე ტალღამ თითქოს ჩაიარა, თუმცა დარჩა კითხვა – მართლაც ასეთი შეუსაბამობა ჩვენს საქმიანობასა და ეკლესიას შორის?

– მომავალ თაობაზე ზრუნვა მისი უწმინდესობის და თქვენი იდეოლოგიაა. რატომ აღიქმება არასწორად?

– ჩემი აზრით, ეს გაუგებრობის ბრალია, არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია, შესაბამისად არასწორად იქნა გაგებული. რასაც მისი უწმინდესობა ამბობს, კომენტარი არ სჭირდება, შესრულება საჭირო! უდიდეს პატივს ვცემ, ასევე ის ადამიანია. მისი მრჩეველთა ჯგუფი დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს, თუმცა ისეთ საჩოთირო სფეროში, როგორიც რეპროდუქტიული ჯანმრთელო-

ბაა, ისინი არსში ვერ გაერკვნენ და ინფორმაციაც არასწორად მიაწოდეს.


– ჟურნალ „გურია REGION-ს“ პირველი ნომერი მისი უწმინდესობის საშობაო ეპისტოლეით დავიწყეთ. გვსურს, ამ თემაზე კვალიფიციური პასუხი მივიღოთ, რა იყო შეცდომის მთავარი მიზეზი?

– კონკრეტულად გპასუხობთ, სუროგაციასა და ხელოვნურ განაყოფიერებას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. ეპისტოლეში კი ეს ორი მეთოდი გაიგივებულია, რაც იმთავითვე მიუღებელია. არასწორმა მიდგომამ თვით მისი უწმინდესობის მიმართ წარმოშვა გაუგებრობა, ასევე ჩემს მიერ დაარსებული უშვილობის მკურნალობის ულტრათანამედროვე მეთოდის – ინვიტროგანაყოფიერების მიმართაც. ჩემი პროფესიის მიუხედავად იმ კოდექსით ვცხოვრობ, რომელსაც ჩემი პატრიარქი ქადაგებს და რასაც ჩემი სულიერი მამა რევაზ სიხარულიძე მირჩევს, ის ჩემზე, ალბათ, ოცი წლით უმცროსია.

– პაციენტებისთვის ფასები ხელმისაწვდომია რეპროდუქტოლოგიის ცენტრში?

– ნორმალური ფასებია ქართული რეალობის შესაბამისი. კომერციულ ინტერესებზე არ ვართ ორიენტირებული. ჩვენი მიზანია, იმ იდეოლოგიის ხორცშეხმა, რაც იოსებ ჟოდრანიამ გვიანდერძა. მან თავისი იდეების განხორციელება ვერ მოასწრო, ინსტიტუტის დაარსებიდან სამ წელიწადში ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მაქსიმალურად ვეცდებით, საერთაშორისო არენაზე უკვე დამკვიდრებული ღირსეული ადგილი ქართულმა რეპროდუქტოლოგიამ შეინარჩუნოს.

ლელა სურმავა



ბიჭიკო ასკურავა

საქართველო უკეთეს პოლოდინში...

დიდი ბაბუის სავსარეულო ცრადიცის ირავდი ასკურავა გაავრძელებს

ასკურავათა გვარი საზოგადოებაში მოტეხილობითან ასოცირდება. მათი ოჯახი უკვე ორ საუკუნეზე მეტია სასწაულებრივი მალამოს საიდუმლოს ფლობს. ტრადიციულად, მალამოს რეცეპტი აუცილებლად იმ ვაჟს გადაეცემოდა, რომელიც ამ საქმისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდა. ამჟამად, სავსარეულო საქმეს ვლადიმერ (ბიჭიკო) ასკურავა უდგას სათავეში. მამის გარდაცვალების შემდეგ 26 წლის ასაკში დაეუფლა მკურნალის პროფესიას. ბიჭიკო ასკურავა მერვე კლასამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საშუალო სკოლაში სწავლობდა. შემდეგ თბილისში მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში გაავრძელა ჩაირიცხა. ხუთი დედამიშვილიდან ასკურავების მალამოს პროფესიულად მხოლოდ ის დაეუფლა

ჩვენი წინაპრები აფხაზეთიდან წამოვიდნენ, როცა მებრძოლები გურიაში მივიდნენ, თავადმა მაჭუტაძემ ისინი ასე შეაფასა – „ამ ხალხს ასი კუროს ძალა აქვს“. ერთი ძმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში, ხოლო მეორე – სოფელ შუხუთში დაასახლა. ჩემი ბიძა პეტრე

კოჭლი იყო, თავისი ავადმყოფობის გამო მუდმივად მოტეხილობის მიზეზს იკვლევდა. ძმებმა – პეტრე და დავით ასკურავებმა მალამოს რეცეპტი დაამუშავეს.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი ანდრიაძის ძალისხმევით და ხალხის მონდომებით თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, ივერიის ქუჩაზე, 1988-89 წლებში ასკურავათა სახალხო სამედიცინო ცენტრი დაარსდა. საქართველოში ეს პირველი კერძო სამკურნალო სახლია. აქ დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებს ბავშვთა და მოზრდილთა განყოფილებები. კარგად ვიცი ადამიანის ანატომია. რენტგენის სურათის გაშიფრვა. ძვლების პათოლოგიებთან დაკავშირებული პროცესები. სამკურნალო სახლში ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის, თაბაშირის, ანესთეზიის გარეშე ვმკურნალობთ მოტეხილობებს, დაჟეჟილობებს, ოსტეოქონდროზს, პეტრეს (ბავშვის თანდაყოლილი, ან შექენილი მენჯ-ბარძაყის საზარდულის განუვითარებლობა) და ძვალ-სახსრების მრავალ სხვა დაავადებას... პაციენტების ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს, როგორც ჩვილ

ბავშვებს, ასავე ასაკოვან ხალხს დადებითი შედეგები აქვთ. აქვე ვატარებთ აღდგენა-რეაბილოტაციის ღონისძიებებს, მასაჟს, აბაზანებს. ჭრილობის შეხვევის მეთოდები გავაუმჯობესეთ. ალუმინის ფირფიტების საშუალებით ხდება მოტეხილობების ფიქსაცია. თუ ჩვეულებრივი მკურნალობის დროს გამოჯანმრთელობას 6-7 თვე სჭირდება, ჩვენი დახმარებით პაციენტი 40 დღის შემდეგ უკვე თავს კარგად გრძნობს.

- რა არის ასკურავას მალამოს საიდუმლო?

- ასკურავას მალამოს საფენების შემადგენლობიდან ცნობილია მხოლოდ ერთი კომპონენტი - კვერცხის ცილა, დანარჩენი კი - საიდუმლოა. საფენები უმტკივნეულოა, აჩქარებს ძვლის შეზრდის პროცესს. ტრადიციის მიხედვით ოჯახის რძლები ამზადებენ. ამ მალამოს შესახებ შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებშიც მოიპოვება ცნობები. უნდა აღვნიშნო, კლასიკურ მედიცინას მთელ მსოფლიოში არ გააჩნია მოტეხილობის მკურნალობის უფრო ეფექტული საშუალება. მუშაობის მეთოდი ასეთია: ტრავმირებულ ადგილს თავდაპირველად დასველებულ საფენს შემოვავხვევ, შემდეგ ალუმინის საფენებს და ალუმინის ფირფიტას ვადებ, რომელიც ძვლების სისწორეს უზრუნველყოფს და ახდენს ფიქსაციას.

- კლასიკური მედიცინა ხალხური მკურნალობის მეთოდებს ყოველთვის ეწინააღმდეგება.

- გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. 60-იან წლებში აკადემიკოსმა ო. ლუდუშაურმა სასამართლოს მიმართა, პაციენტებს ამახინჯებსო, საქმეში ცეკა-ს პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ჩაერია, მან მიიჩნია ბლანკზე ასეთი წარწერა დამართო - „მკურნალობის შედეგზე პრეტენზია არ მექნება“. შემდეგ მკურნალობა დამართეს.

- თაბახის ფურცლებზე განკურნებული პაციენტების იდი ჩამონათვალი.

- სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე თავისი ლოცვა-კურთხევით. წმინდა მამა გაბრიელი. ჩემი პაციენტები იყვნენ რეზო ჩხეიძე, სოფიო ჭიაურელი, ეგგენი ხარაძე, რობერტ სტურუა, დოდო ჭიჭინაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ოთარ ჩხეიძე, სპორტსმენები, რომლებმაც პროფესიული ტრავმები მიიღეს - ძმები მოდებაძეები, ბალავაძე, მუჯირი, შენგელია, კანდელაკი, ცქიტიშვილი, ხაბულიანი, ყიზილაშვილი, გვასალია, დავით ყიფიანი, ნიკოლოზ დერიუგინი, პეტრე ჩევარდოვი. ერიკ სალომია და სხვა.

- ყოველთვის გკონდათ საზღვარგარეთ წასვლის საშუალება, თუმცა დღემდე თქვენ ქვეყანაში ბრძანდებით.



მისი უწმინდესობა და ბიჭიკო ასკურავა

- სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალი მაცთუნებელი წინადადება შემომთავაზეს, მე კი ჩემს სამშობლოში დარჩენა ვამჯობინე. ხშირად მიწვევენ საზღვარგარეთ - რუსეთში, ისრაელში, სომხეთში, ჩინეთში, გერმანიაში კლინიკის გახსნა შემომთავაზეს, რამდენიმე წლის წინ ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სამეცნიერო აკადემიამ ხალხურ მედიცინაში დამსახურებისათვის პროფესორის წოდება მომანიჭა. მას შემდეგ მაქვს უფლება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ვიმუშაო. მთელ მსოფლიოში მყავს პაციენტები და ბევრი მადლობის ბარათი მაქვს მიღებული, მათ შორის მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი, ნიკოლაი ქსენენკო, ელენე ობრაზცოვა და სხვა.

- დველი სპორტსმენი ბრძანდებით.
- ველოსიპედისტი ვიყავი, საბჭოთა კავშირისა და სპარტაკიადის პრიზიორი, არაერთხელ შრომითი რეზერვების ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების წევრი. აქტიურ სპორტს 27 ასაკში დავანებე თავი, მიზეზი დაოჯახება იყო. 1966 წელს შევხვედი ჩემს მეუღლეს - მადონა ჩიტაიას. 33 წელი ერთად ვართ. ჩემი შვილი ირაკლი მოულოდნელად გულით გარდაიცვალა. ქეთევანი ფრანგული ენის სპეციალისტია. ასკურავების ოჯახში ოთხი შვილიშვილი იზრდება. 23 წლის დავითმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ის ბაბუას მკურნალობაში ეხმარება და კონსულტაციას უწევს. თქვენთან საუბარს ასეთი რჩევით დავასრულებ - „არ არსებობს მოურჩენელი ავადმყოფობა, ზუსტი დიაგნოზი უნდა დადგინო და იპოვო მკურნალი.“

მისამართი: ქალაქი თბილისი ივერიის ქ.5
ტელ: 298 86 84, 99 96 94, 577 41 19 11
ელ.ფოსტა: Daskurava@hotmail.com; Maskurava@yahoo.com

რედაქციისგან: ბიჭიკო ასკურავა თბილისის საპატრიარქო მოქალაქეა. მიენიჭა ღირსების ორდენი. თბილისში მან 15 წელი მირზა ფატალი ახუნდოვის 400 კილოგრამი ბრინჯაოს ბიუსტი №67-ე საჯარო სკოლის კიბის ქვეშ შეინახა. ასე გადაარჩინა ჯართად გაყიდვას. დღეს, ძველი ლესელიძის ქუჩაზე აზერბაიჯანული სკოლის ეზოში დგას. ჩვენი რედაქცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს თხოვნით მიმართავს ბიჭიკო ასკურავას ლანჩხუთის საპატრიარქო მოქალაქის წოდება მიენიჭოს.

თამარ ბარამიძე



ბიჭიკო და ირაკლი ასკურავები

ლანჩხუთის კულტურის ცენტრში ეთნოგრაფი ინსტიტუტის შედეგ

18 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ა (ა) ი.პ. „კულტურის ცენტრში“ ატეხილი ჩხუბისა და აყალმაყალის შესახებ ინფორმაციამ უკვე მოიარა ყველა მედიასაშუალება. დილიდანვე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა კულტურის ცენტრის დირექტორმა გივი ქურიძემ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურებრივი საკითხების გადასაწყვეტად გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან იმყოფებოდნენ (მათ უწოდა ჩამშვებები და), თუმცა კონფლიქტური სიტუაცია ვალოდია წულაძის სახელობის მუზეუმის განყოფილების გამგეს, მანია ჩხაიძესა და ცენტრის დირექტორს, გივი ქურიძეს შორის მანამდეც არსებობდა. ქალბატონი მანია გამოექომაგა თანამშრომლებს, რომლებსაც დირექტორმა სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა და ამას იმდენად ისტერიული სახე მიეცა, რომ აუცილებელი გახდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება, რომლის ადგილზე მოსვლის შემდეგ გამოიძახეს პოლიცია, ხოლო აურზაურზე პატრული თავისით მოვიდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ამირან გიგინეიშვილის ინფორმაციით გივი ქურიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა თანამშრომელთა შეურაცყოფის ფაქტს და მისი უშუალო დავალებით გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურს სამსახურებრივი შემონგება უნდა ჩაეტარებინათ. ზედამხედველობის სამსახურმა მოკვლევა მას შემდეგ დაიწყო, რაც საკრებულოს თავმჯდომარემ ოფიციალური წერილით (№54, 19 თებერვალი, 2014 წელი) მიმართა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ ზაზა ურუშაძეს – „დაავალეთ გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურს სამსახურებრივი შემონგება და შედეგებზე წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი.“

მოკვლევის შემდეგ ზედამხედველობის სამსახურმა საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ამირან გიგინეიშვილს შემდეგი შინაარსის მოხსენებითი ბარათი წარუდგინა (გთავაზობთ ამონარიდს):

„2014 წლის 19 თებერვალს თქვენი დავალებით ჩვენი სამსახურის მიერ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება „კულტურის ცენტრის“ დირექტორის გივი ქურიძის მხრიდან თანამშრომლების მიმართ შეურაცყოფილ და უპატივცემულო მოპყრობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ფაქტი ჩვენს მიერ მთლიანადაა დადასტურებული კულტურის ცენტრის თანამშრომელთა განმარტებითი ბარათებით და სხვა მასალებით.

გივი ქურიძე 2013 წლის 22 ივლისს №185 ბრძანებით დაინიშნა ა (ა) ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე, რაზედაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და გივი ქურიძეს შორის გაფორმდა №62 შრომითი ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში დასაქმებულის მხრიდან ადგილი აქვს ამორალურ ქმედებას, რაც ხელშეკრულების პირობების დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. ამავ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია დასაქმებული პირის ამორალური ქმედების გამო.

ამდენად, სამსახურის რეკომენდაციას გივი ქურიძის მხრიდან ამორალური ქმედების ჩადენის გამო მისი თანამდებობიდან გათავისუფლება და დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა.

შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფაცურია. 20.02.2014 წ.“

საკრებულოს თავმჯდომარეს ამ რეკომენდაციასთან ერთად აუდიტის სამსახურის მიერ მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით დასკვნა მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულმა სამსახურმა წარუდგინა, სადაც წერია, რომ „იურიდიული სამსახური იზიარებს გამგეობის შიდა აუდიტისა და



ლანჩხუთის კულტურის ცენტრი

ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციას გივი ქურიძის მხრიდან ამორალური ქმედების ჩადენის გამო მისი თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.“

20 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში (რეაგირებაც ასეთი უნდა!) საკრებულოს თავმჯდომარემ გივი ქურიძე გაათავისუფლა თანამდებობიდან და დროებით მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა გია იმნაიშვილი, რომელიც არაოფიციალურად მოიაზრებოდა გივი ქურიძის მოადგილედ.

დაინტერესებულ მკითხველებს მივანოვებთ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებითაც, რომ 2012 წლის მაის-ივნისში სწორედ გივი ქურიძის საჩივრის საფუძველზე შევიდა გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური კულტურის ცენტრში და სერიოზული ფინანსური დარღვევებიც აღმოაჩინა. კულტურის ცენტრის მაშინდელმა დირექტორმა, სოფო ჭელიძემ განცხადება გათავისუფლების მოთხოვნით დაწერა და ის მაშინვე დააკმაყოფილეს, ხოლო მისი ადგილი გივი ქურიძემ დაიკავა.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, რომელიც დაგვიდასტურა საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ამირან გიგინეიშვილმა, ლანჩხუთის კულტურის ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად საკრებულოს თავმჯდომარეს სამმა მსურველმა ოფიციალურად მიმართა, – მანია გუგუშაშვილმა, გია იმნაიშვილმა და მერაბ თურქიამ.

საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, განცხადებების მიღების ვადები განსაზღვრული არ არის:

„ – რადგან (ა)აიპ კულტურის ცენტრი არ გახლავთ საჯარო სამსახური, ამიტომ გამიჭირდება კანონით განსაზღვრულ ვადებზე საუბარი. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი მხოლოდ საჯარო სამსახურებში დანიშნის წესს არეგულირებს. მაგრამ აქ არის კანონით განსაზღვრული შემდეგი ფაქტორი, – საბოლოო გადაწყვეტილებას ლეზულობს საკრებულოს თავმჯდომარე. მე არ მინდა ცენტრის დირექტორის დანიშნის თაობაზე ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღო, თუმცა კანონი მაძლევს ამის შესაძლებლობას. უახლოეს დღეებში გამოვაცხადებთ კონკურსს, მაგრამ მანამდე შევიმუშავებთ კონკურსის პირობებს, რომ საკონკურსო მოთხოვნები იქნება სამეტაპიანი: დანათლებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, წერილობითი ფორმით კონკურსანტის მიერ ჩამოყალიბებული ხედვა და გასაუბრება.

პირობას გაძლევთ, პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება“, – აღნიშნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან გიგინეიშვილმა. ჩვენც თვალ-ყურს მივადევნებთ მოვლენებს.

კესო მახარაძე

ოზურბეთის ისტორიული მუზეუმი

ოზურბეთის ისტორიული მუზეუმი საქართველოში ერთ-ერთი უძველესია. ხოლო გურიის მასშტაბით ყველაზე ძველი. მუზეუმის ისტორიაზე, პრობლემებსა და სიახლეებზე გვესაუბრა ისტორიული მუზეუმის დირექტორი გოგა ტრაპაიძე. ბატონი გოგა პროფესიით ისტორიკოსია და მუზეუმს 2004 წლიდან ხელმძღვანელობს.

მუზეუმის მოკლე ისტორია:

ოზურბეთის ისტორიული მუზეუმი გურიაში არსებულ შვიდ მუზეუმთა შორის უძველესია. იგი დაფუძნდა 1936 წელს და დაარსებიდან 77 წელს ითვლის. თავდაპირველად ეწოდა „მანარაძის მხარეთმცოდნეობის“ მუზეუმი. ხოლო 2002 წლიდან ოზურბეთის რაიონის გამგეობის გადანაცვლებით შეეცვალა სახელი და დაერქვა „ოზურბეთის ისტორიული მუზეუმი“.

რაც შეეხება მის იურიდიულ ფორმას იგი გახლავთ ა. (ა). ი. პ. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რაც მე, როგორც მუზეუმელს მიმაჩნია, რომ არ არის სწორი სამართლებრივი ფორმა. მუზეუმი დაფუძნებული უნდა იყოს საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ოზურბეთის ისტორიული მუზეუმის ფილიალები:

სოფელ დვბაზში 1984 წელს დაარსდა აკადემიკოს შალვა რადიანის (შენიერულის) სახლ-მუზეუმი, რომლის ბაზაზე 2009 წელს დაფუძნდა ეთნოგრაფიული მუზეუმი. დღეს, როცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გურიის ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული ღირებულებების შენარჩუნებას, თანამედროვე ყოფიდან სწრაფად ქრება ძველი სტრუქტურა-ნაგებობები, ავეჯი, ჭურჭელი, სამეურნეო იარაღები და სხვა. ყოველი ეთნოგრაფიული ნივთი ფასდაუდებელი ხდება და უდიდესი მეცნიერული-ისტორიული ღირებულება ენიჭება. ახლანდელი თაობა ნაკლებად, ან სრულიად არ იცნობს ეთნოგრაფიულ გურიას, ეს კი საფრთხეს უქმნის გურიის ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მომავალი თაობებისათვის გადაცემას. ამ მიზნით მუზეუმისათვის შექმნილი იქნა გურული კარ-მიდამოსათვის დამახასიათებელი დამხმარე ნაგებობები: სამზადი

სახლი, ბეღელი, ნალია. ოდა-სახლი, მარანი და ჭა მემორიალურია. სამზადი სახლი შეივსო გურიის ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთებით: ოჯინჯალა, ჩეჩო, კერია, კეცი, ფილი, სპილენძის თუნგი, კარდალა, ხის გობი, ხის ჯამები, აკვანი, საჩეჩელი, ორშიმო და სხვა.


სოფელ გურიანთის მემორიალური მუზეუმი დაარსდა 1983 წელს სოფლის მკვდრის რ. სარიშვილის ინიციატივით. მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია სოფლის ისტორიის ამსახველი მასალები, მათ შორის: გურიანთა-ციხისფერდის უბანში მდინარე სკურდუმის ბორცვზე 1963 წელს გათხრების შედეგად აღმოჩენილი გვიანი ნეოლითის (ახალი ქვის ხანის) კაჟის, რიყის ქვის იარაღები, ადრე ფეოდალური ხანის ვაშნარის ციხე-ქალაქის მასალები. მუზეუმის ერთ დარბაზში წარმოდგენილია გურული სამზადი სახლი თავისი ყველა ატრიბუტით, ციხისფერდში ნაპოვნი ქვის ვერძის ქანდაკება. დარბაზებში გამოფენილია სოფლის ისტორიის ამსახველი ფოტოები და ხელნაწერები, ომისა და შრომის გმირების პირადი ნივთები და სხვა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახლმუზეუმი სოფელ ლიხაურში, რომელიც 2010 წელს გაიხსნა და მოგვიანებით გახდა ჩვენი ერთ-ერთი ფილიალი.

მუზეუმში არსებული პრობლემები:

ჩემი მოსვლის პერიოდში ბევრი სირთულე დამხვდა, იყო სრული ქაოსი ფონდებში, სამწუხაროდ, არ იყო ჩატარებული ინვენტარიზაცია. დახლოებით ერთი წელი დასჭირდა სრულ ინვენტარიზაციას. დღეს ისტორიული მუზეუმში ხდება ყველა ნივთის პასპორტიზაცია, იქმნება ელექტრონული ბაზა, ფოტოგრაფირება. 2004 წლამდე „ოზურბეთის ისტორიულ მუზეუმს“ გამოფენა არ ჰქონია. მუზეუმის სახურავიდან ჩამოსულ წვიმას განადგურებული ჰქონდა საექსპოზიციო დარბაზები. დაზიანებული დამხვდა მრავალი ექსპონანტი. მათ შორის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. არქეოლოგიური ლითონის ექსპონანტები წყობიდან იყო გამოსული და მუზეუმს არცერთი საგამოფენო დარბაზი არ გააჩნდა. ინვენტარიზაციის შემდეგ დავინწყეთ ახალი ექსპოზიციის შექმ-





ნაზე მუშაობა და 2007 წლისათვის მივალწიეთ იმას, რომ მუზეუმში რვა საექსპოზიციო დარბაზი გაგხსენით. მუზეუმი ვერ აწყობდა ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალების გამოფენას. 2008 წლამდე მუზეუმს არ გააჩნდა თანამედროვე მინის კარადავიტრინები. რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით იქნა შექმნილი და განვითარდა ჩვენი უმდიდრესი არქეოლოგია. რაც დიდ მიღწევად მიმაჩნია.

წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემა იყო დაზიანებული სახურავი, რის შესახებაც ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ადგილობრივ მთავრობას დახმარების მიზნით. მხოლოდ 2013 წელს მოხერხდა თანხის გამოყოფა და სახურავი იქნა შეკეთებული. მუზეუმის შენობის გარე ფასადი 1981 წელს მოპირკეთებულ იქნა სამშენებლო ფილებით, რომელიც დღეისათვის დაზიანებულია, ცვივა და ფეხით მოსიარულეთათვის საფრთხის შემცველია. ვფიქრობთ, რომ უნდა მოხდეს სამშენებლო ფილების დემონტაჟი და გარე ფასადი შეიმოსოს თანამედროვე მასალით.

შენობის შიდა ნაწილი წლების მანძილზე ზიანდებოდა ნესტისა და სახურავიდან ჩამოსული წვიმის შედეგად. დაზიანებულია საკონფერენციო დარბაზი და მუზეუმის შიდა ინტერიერი. ჩვენ გვგვამის, რომ ვიზიტორს უნდა დახვდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. დღემდე არ გაგვაჩნია ცენტრალური გათბობა. ექსპონატებისათვის მნიშვნელოვანია კლიმატის მაკონტროლებელი ტექნიკა ე.წ. „კლიმატკონტროლი“. სიტუირი რეჟიმის დარღვევა იწვევს ექსპონატების დაზიანებას. საექსპოზიციო დარბაზების დახურული სივრციდან გამომდინარე აუცილებელია მისი განიავება, („ვენტილაცია“) რაც სამწუხაროდ ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნული ფაქტორები წარმოადგენს ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ძირითად პრობლემებს.

საგამოფენო დარბაზები:

მუზეუმში დაცულია ექვსი ათასზე მეტი ექსპონატი, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს პერიოდს ძველი ნელთალრიცხვის IX ათასწლეულიდან დღემდე, მათ შორისაა არქეოლოგიური ნეოლითის ხანის კულტურა, ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის მასალა, ადრე ანტიკური ხანის ოქროს და ვერცხლის ნივთები, ურეკის განძის ნაწილი. აქვე ინახება ვაშნარის ნა-

ქალაქარში აღმოჩენილი წყალგაყვანილობის მილები, სვეტის თავები, სასაკმეველე, სარკმლის მინა, საამშენებლო აგური, კრამიტი.

მუზეუმში ინახება გურიის რეგიონის ფოტო მასალა რომელიც ჩვენი ხელნაწერების ფონდიდან არის მოპოვებული. რითაც აღდგენილია ოზურგეთის უძველესი ხედები. იქვე არის განთავსებული მეოთხე-მერვე საუკუნე ვაშნარის ნაქალაქევის ფრაგმენტები. ვაშნარი დღემდე აქტუალურია. ვბრძოლობთ იმისათვის, რომ გამოყოფილ იქნას ფინანსები რათა ჩატარდეს ისტორიული ქალაქის არქეოლოგიური კვლევები.

მუზეუმს გაჩნია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა „შუაგეცხლის“ ატრიბუტები. ყველა ის ნივთი რასაც ყოფაცხოვრებაში იყენებდა გურული გლეხი. დაცულია გურიელების მემორიალური და ფერწერული მასალები. ასევე მოეწყო გურული ცხენოსნების ამერიკაში მოგზაურობის ამსახველი ფოტოგამოფენა.

ახალი ექსპონანტი:

2013 წლის გაზაფხულზე მუზეუმს შეემატა ახალი უნიკალური V-VI საუკუნით დათარიღებული სამარხისარკოფაგი, რომელიც აღმოჩენილ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში ოთარ მკურნალიძის საკარმიდამო ნაკვეთში საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების დროს. რის შესახებაც ვაცნობთ საქართველოს კულტურის სამინისტროს. ფინანსების უქონლობის გამო სამწუხაროდ არ მოგვეცა საშუალება შეგვესწავლა სარკოფაგის აღმოჩენის ადგილი სადაც შესაძლებელი იყო მოგვეპოვებინა სხვა სახის ექსპონატები.

განსაკუთრებული ექსპონატები:

ჩვენს მუზეუმში დაცული ექსპონატების უნიკალურობიდან გამომდინარე კონკრეტული განსაკუთრებული ნივთის გამოყოფა მიჭირს.

77 წლის მანძილზე ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში მრავალი უნიკალური მასალა დაგროვდა, მათ შორისაა 7-ათას. წლის წინანდელი ნეოლითური ხანის ქვის იარაღები, ადრეული, შუა და გვიანი ბრინჯაოს კოლხური კულტურის შესანიშნავი ნიმუშები, კოლხური ცულების კოლექციები: მელექედურის, შრომის, ვაკიჯვრის, ბალდადის, მაკვანეთის, ლაითურის, ბრინჯაოს ნივთების განძები. ურეკ-წვერმაღალას გვიანი ბრინჯაოს – ადრეული რკინის ხანის სამარხეუ-

ლი ინვენტარი. ანტიკური პერიოდის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: ოქროს სამკერდული, ოქროს სამაჯურის ფრაგმენტი (ორთავე შემკულია ალმადინის თვლებით). ვერცხლის ლანგარი, მინის დანაყოფებიანი მენზურა ურეკიდან, წყალგაყვანილობის მილები, სვეტის თავები, სასაკმევლე, სარკმლის მინა, საამშენებლო აგური, კრამიტი – ადრეშუასაუკუნეების ვაშნარის ნაქალაქარიდან. მრავალფეროვანი ნუმიზმატიკური კოლექციები: ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეების კოლხური თეთრი, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტა, გიორგი III-ის, თამარის, რუსუდანის, ლაშა-გიორგის, სიმონ I-ის, ერეკლე II-ის მონეტები. ოზურგეთის „სერის განძად“ ნოდებული ვერცხლის უიშვიათესი ევროპული მონეტები, უკვე გახმაურებული ნაპოლეონის დაშნა, მრავალი ისტორიული ფოტო, ნივთიერი დოკუმენტური მასალა, მათ შორის რამდენიმე ათეულს თავისუფლად შეიძლება მიენიჭოს მოძრავი ძეგლის სტატუსი

სამეცნიერო – კვლევითი და საგანმანათლებლო მუშაობა:

მუზეუმს იურიდიულად ორი მიმართულება აქვს: სამეცნიერო – კვლევითი და საგანმანათლებლო. რაც შეეხება სამეცნიერო – კვლევით მუშაობას აქ ფინანსების არარსებობის გამო ვერ ხერხდება ახალი ექსპედიციების მოწყობა და არქეოლოგიური გათხრების წარმოება. მუზეუმის თანამშრომლები უკვე არსებულ ექსპონატებზე აგრძელებენ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს. ისინი ყველაფერს აკეთებენ რათა თითოეულ ექსპონატზე მოიპოვონ ინფორმაცია მისი წარმოშობის ისტორიისა და დანიშნულების შესახებ.

ჩვენ შევთავაზებთ საჯარო სკოლებს, მუზეუმში ჩატარდეს კლასგარეშე გაკვეთილები მხარეთმცოდნეობის შესწავლის კუთხით. ჩვენს თანამშრომლებს შეუძლიათ, მხარეთმცოდნეობის გაკვეთილები ჩაუტაროს მოზარდებს, როგორც ადგილზე ასევე გასვლით საჯარო სკოლებში. ადგილზე არსებული თვალსაჩინოების დახმარებით მოსწავლეები საკუთარი კუთხის შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებენ.

მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. „სტუდენტურ-ახალგაზრდულ საათაბირო“-სთან ერთად განვახორციელეთ პროექტი „კულტურის ხიდი

წარსულსა და მომავალს შორის.“ პროექტი საგანმანათლებლო ხასიათის იყო. ჩვენი თანამშრომლების მიერ ახალგაზრდებისათვის მოწყობილი ვიქ-შოპები და კონფერენციები, ხალხური რენვის ოსტატების მიერ ჩატარებულ იქნა მასტერკლასები. პროექტის დასკვნითი შემაჯამებელი ღონისძიება სოფელ დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართა.

ვიზიტორები:

მუზეუმში დამთვარიელებლების ძირითად ნაწილს ორგანიზაციები და საჯარო სკოლები წარმოადგენენ. ბევრჯერ ყოფილა უცხოელი სტუმარი. გავიხსენებ ერთ ისტორიას: ოზურგეთში ერთერთ ოჯახში იმყოფებოდა ლონდონიდან სტუმარი რომელმაც მოითხოვა მუზეუმის დათვალიერება. წარმოდგენილმა ექსპონატებმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ ადამიანთან ერთად ლონდონიდან მისი თხოთმეტი მეგობარი გვენვია მუზეუმის დასათვალიერებლად. ხშირად გვსტუმრობს პოლონელი ვიზიტორები, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები.

დაგეგმილი ღონისძიებები:

ვგეგმავთ, გავაძლიეროთ მუშაობა მუზეუმის პოპულარიზაციისათვის. შევქმენით ვებ-გვერდი, სადაც სამ ენაზე შეიძლება ინფორმაციის მიღება. მარტის თვის ბოლოსთვის დაგეგმილია „ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის გზამკვლევის“ დაბეჭდვა. ეს პირველი ბეჭდვითი ნივთი იქნება რომელსაც გამოსცემს მუზეუმი. რაშიც ასახული იქნება მუზეუმის ისტორია და ექსპონატების ფოტომასალა.

ვმუშაობთ ახალ ექსპოზიციებზე. წელს დაგეგმილი გვაქვს ორიგინალურად აღვნიშნოთ ქალთა დღე 8 მარტი. ღონისძიებებითაა დატვირთული მაისის თვე. ყოველწლიურად 18 მაისს ვუერთდებით „მუზეუმთა საერთაშორისო დღეს“ და ვაწყობთ კონფერენციებს. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის აღსანიშნავად ვგეგმავთ ახალ გამოფენას სახელწოდებით „ძველი გურია“

გვსურს, მუზეუმი დაემსგავსოს იმ დანესებულებას, სადაც ადამიანებს არ დაეზარებათ მოსვლა და სიამაყით გაეცნობიან მათი მხარის ისტორიას. ვთვლით, ოზურგეთი მუზეუმებით მართლაც რომ წარმომადგენლობითი ქალაქია.

ქეთი მგელაძე



თქილთს შაქოს ჰაჩოს განაშენიანების ავსტორი

საქართველოში ზამბახიძეების გვარის გავრცელების გეოგრაფიული არეალი არც თუ ისე მცირეა. ისინი ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში და რა თქმა უნდა, გურაში გვხვდებიან.

გრიგოლ ზამბახიძე ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი იყო, მან სიცოცხლეშივე დიდი მამულიშვილის სახელი მოიპოვა. ჩ. გრიგოლის წინაპრებს – ალმასხან ზამბახიძეს და ათინო კეშელავას შვიდი ვაჟი ჰყავდათ. ალმასხანი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, დაობლებულმა შვილებმა დამოუკიდელი ცხოვრება დაიწყეს. ჩ. გრიგოლის მამა ნიკიფორე ჩოხატაურიდან ქალაქ ფოთში გადავიდა და ნავსადგურში სანყოფის გამ-



გრიგოლ ზამბახიძე

გედ მუშაობდა. ნიკიფორე და მარიამ სიხარულიძე ფოთში დაოჯახდნენ და შვილებიც იქ შეეძინათ. ახალგაზრდა ნიკიფორე მძიმე სენით დაავადდა, შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ის 1942 წელს გარდაიცვალა.

ნიკიფორე ზამბახიძემ შვილების სწავლა-განათლებაში დიდი წვლილი შეიტანა. უფროსმა-ვლადიმერ ზამბახიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაამთავრა. ქართულ საზოგადოებას თავი დაამახსოვრა, როგორც ნიჭიერმა მწერალმა, კრიტიკოსმა, მკვლევარმა, პუბლიცისტმა და პედაგოგმა. აქტიური სამეცნიერო, პედაგოგიური და პუბლიცისტური მოღვაწეობისთვის თსუ-მ სამეცნიერო საბჭომ პედაგოგიკის კათედრის პროფესორად აირჩია. მთავრობამ სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. ნიკიფორე და მარიამ ზამბახიძეების ქალიშვილი-ნადეჟდა პროფესიით ფარმაცევტი იყო. ის კარგად ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს. მხატვრული ლიტერატურის მოტრფიალე და თეატრალური ხელოვნების თავყანისმცემელი იყო. ზამბახიძეების მრავალშვილიან ოჯახში-სერგო ბუნებით ერთგული და გულისხმიერი ადამიანი იყო. თვითნასწავლი მუსიკოსი ფორტეპიანოზე კარგად უკრავდა. ცოლ-ქმარს კიდევ სამი შვილი ჰყავდა

– პეტრე, ნინო და ელენე. ნინო ადრე დაქორწინდა, ამიტომ უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, 37 წლის ასაკში პეტრე მოულოდნელად გარდაიცვალა, ფოთლებმა დასაფლავებამდე მისი სახლის მშენებლობა დაასრულეს და ისე გაასვენეს. თეატრის მსახიობებმა მის დასაფლავებამდე, სპექტაკლებში არ ითამაშეს. ტაქსისის მძღოლები ჩამოსულ სტუმრებს უფასოდ ემსახურებოდნენ. ელენე პროფესიით ექიმი იყო. წლების მანძილზე ფიზიოთერეპიული განყოფილების გამგედ მუშაობდა. ჩედემამიშვილებში გრიგოლ ზამბახიძე განსაკუთრებული მონაცემებით გამოირჩეოდა. ის 1911 წელს ქ. ფოთში დაიბადა. იქ მიიღო საშუალო

განათლება, 1927 წელს კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამმართველს საძიებელ პარტიაში რიგითი მუშა იყო. 1932 წელს თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ „კოლხეთმშენში“ მუშაობდა, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც საპროექტო-საძიებო და სამშენებლო დარგის ნიჭიერმა სპეციალისტმა და ორგანიზატორმა. 1934 წელს ქალაქ ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა. ამჟამად, ის ქუჩა, სადაც ჰიდროტექნიკუმია განთავსებული, გრიგოლ ზამბახიძის სახელს ატარებს. 1936 წელს ის რესპუბლიკურ ორგანოებში გადაიყვანეს. საქართველოს მინსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოში მუშაობის შემდეგ, საქსახპროექტში გადავიდა.

ახალგაზრდა გრიგოლ ზამბახიძე 1941 წელს საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად (მინისტრად) დაინიშნა. ცენტრალურმა კომიტეტმა 31-ე საავიაციო ქარხნის დაპროექტება დაავალა, სამუშაო 6 თვის ნაცვლად, 4 თვეში შეასრულა. პარალელურად მინისტრის პოსტზე იყო. 1941 წელს სენაკის სამხედრო აეროდრომის მშენებლობას ედგა სათავეში. 1944 წელს

ინჟინერი საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში მრეწველობის განყოფილების გამგედ დაინიშნა. 1948 წელს თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად აირჩიეს. 1951 წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გახდა. სწორედ, ამ დროს დაიწყო თბილისში ვაკისა და საბურთალოს ტიალი მინდვრების განაშენიანება, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გაფართოება, ახალი ხიდების აგება. გრიგოლ ზამბახიძემ ვაკის პარკისთვის ნერგები დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ჩამოიტანა, იპოდრომის ტერიტორიაზე ჭაობი დააშრეს და იპოდრომი გააშენეს. 1953-1958 წლებში საქართველოს კომუნალური მეურნეობისა და სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, საშენმასალათა მრეწველობის მინისტრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოში მუდმივი წარმომადგენელი იყო. აღსანიშნავია მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, ჰიდროტექნიკურ მეცნიერებათა არაერთი აქტუალური პრობლემის გადაწყვეტა შეძლო. მან მეცნიერულად დაასაბუთა მდინარეთა ნაპირების გამაგრების რაციონალური მეთოდები. მისი ნაშრომი – „რეალური სითხისა და მყარი სხეულების მოძრაობა მდინარის მოხვეულ უბნებზე“ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსცა. გრიგოლ ზამბახიძე 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ნიჭიერ ინჟინერს ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორცილებელი. წარმატებული სადოქტორო დისერტაციის დაცვაც ვერ მოასწრო. თეორიული დონით, ერუდიციით და შემოქმედებითი დიაპაზონით გრიგოლ ზამბახიძეს ქართველ მეცნიერ ჰიდრაულიკოსთა შორის ღირსეული ადგილი აქვს.

ანა დოლიძე



ვაკის პარკი

ქართული სიმღერის მომავალი



ტრისტან სიხარულიძე

გვესაუბრება ანსამბლ „შვიდკაცას“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ღირსების ორდენოსანი, ეროვნული პრემიის ლაურეატი ტრისტან სიხარულიძე.

– ბატონო ტრისტან, როგორც ცნობილია ბავშვობიდან მღერით, ეს კი ალბათ იმან განაპირობა, რომ თქვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმ დროისთვის ცნობილი მომღერლები და ლოტბარები.

– დიახ, მამაჩემი ილარიონ სიხარულიძე, გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო. იგი ცნობილი ლოტბარის არტემ ერქომაიშვილის მოწაფე გახლდათ, ხოლო შემდგომ ასევე ცნობილი ლოტბარის ვარლამ სიმონიშვილის გუნდის წამყვანი მომღერალი გახდა. სიმღერა პატარაობიდან მამამ შემაყვარა. დაწყებითი განათლება სოფელ მაკვანეთში მივიღე, სკოლაში სიმღერას ქალბატონი ეთერ ერქომაიშვილი მასწავლიდა. ხოლო შემდგომ არტემ ერქომაიშვილმა სოფლის გუნდში მიმიწვია, სადაც წამყვანი სოლისტი ვიყავი. 1947 წელს თბილისში ჩატარდა ბავშვთა მე-3 რესპუბლიკური ოლიმპიადი. ოზურგეთის ბავშვთა გუნდს ვლადიმერ ერქომაიშვილი ამზადებდა. ჩვენი სოფლიდან ამ გუნდში მოვხვდით მე და ჩემი უმცროსი მეგობარი ანზორ ერქომაიშვილი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც მივდიოდით მატარებლით, რომელიც ნანახი არ მქონდა... კონცერტზე მე და ანზორი დაგვაყენეს გუნდის წინ და შევასრულეთ „შვიდკაცა.“ მე დავეინყე, კრიმაჭული ანზორმა დაახვია, ბანი კი მე-11 კლასის მოსწავლემ ვარდო ვაშალომიძემ გვითხრა. სიმღერა რომ დავასრულეთ, ისეთი

1956 წელს ცნობილია მომღერალმა, ლოტბარმა და მოკრიმანჭულემ მიხეილ შავიშვილმა ოზურგეთში დააარსა ფოლკლორული ანსამბლი „შვიდკაცა.“ ანსამბლის რეპერტუარში საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები იყო, თუმცა ძირითადად გურულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ. მიხეილ შავიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა გურული ხალხური სიმღერების აღდგენასა და შესწავლას. იგი სიცოცხლის ბოლომდე თანამოაზრეებთან ერთად მუშაობდა მივიწყებული სიმღერების აღმოჩენაზე და აღდგენაზე. შემდეგ კი მას დიდი გულმოდგინებით გადასცემდა მომავალ თაობას.

ამჟამად, ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელობს – ტრისტან სიხარულიძე, ლოტბარი ამირან გოლიაძე. ანსამბლის შემადგენლობა ასეთია: ტრისტან სიხარულიძე, ამირან გოლიაძე, რეზო მახარაძე, ილია ინსკირველი, ლევან ნინიძე, გელა ლომჯარია, კობა მეფარიშვილი, ალექსანდრე ბურჭულაძე, კობა მელუა, ზაზა მამალაძე, ავთო სურგულაძე.

ოვაციები გაგვიმართეს, შეგვეშინდა და სცენიდან გავიქეციით. ლადიკო ბაბუა გამოგვედევნა და გვითხრა: სად მირიბხარტ ბაბუებო, აი ტაში თქვენიაო... პირველი ხარისხის სიგელით და ფასიანი საჩუქრით (მაჯის საათი) დაგვაჯილდოვეს. უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით.

– თქვენ წლების მანძილზე სხვადასხვა ანსამბლებში მღეროდით და მრავალ ქვეყანასაც გააცანით გურული ხალხური სიმღერა.

– სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ოზურგეთის ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში, პარალელურად ვმღეროდი რაიონის კულტურის სახლის ანსამბლში, რომელსაც ვლადიმერ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ანსამბლით 1957 წელს მონაწილეობა მივიღეთ მოსკოვში საერთაშორისო ფესტივალზე. მომდევნო წლებში კი ვიყავით ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. მრავალჯერ გადაგვიღეს ცენტრალური ტელევიზიით.

1965– 67 წლებში ვმღეროდი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა. კონცერტები გავმართე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც და მსმენელთა დიდი მონონებაც დავიმსახურეთ. შემდეგ ცნობილია ლოტბარმა მიხეილ შავიშვილმა მიმიწვია ანსამბლ „შვიდკაცაში“ სადაც დღემდე ვმოღვაწეობ.

1995 წლიდან კი ამ ანსამბლის ხელმძღვანელი ვარ. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ასეთ შესანიშნავ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ვმუშაობ, ჩემს გვერდით წარმატებით

მოღვაწეობს ლოტბარი ამირან გოლიაძე. ნაყოფიერი მუშაობის შედეგი გახლავთ ის, რომ წარმატებით ჩავატარეთ კონცერტები, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც: იტალიაში, ინგლისში, ესპანეთში, პოლანდიაში, გერმანიაში, უნგრეთში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, რუსეთში, უკრაინაში... გამოცემულია ანსამბლ „შვიდკაცას“ დისკი, („სანო-სტუდია“), რომლის გამოცემაში დაგვეხმარა ბატონი თამაზ სომხიშვილი. ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ამ შესანიშნავ პიროვნებას.

კულტურის ცენტრის სახალხო ან-



გურულები ამერიკაში

სამბლ „შვიდკაცა“-ს წევრებს ძალიან ბევრი სანტერესო გეგმები გვაქვს, რომელსაც იმედია ჩემი მეგობრების თანადგომით წარმატებით განვახორციელებთ. აქვე დავამატებ, რომ ახლახან საქართველოს კულტურის სამინისტრომ საჩუქრად გადმოგვცა ჩოხები, აზიურები, ქამარ-ხანჯლები. ხალხური საკრავები -ფანდურები და ჩონგურები. ამ დიდ ყურადღებას, ჩვე-

ნი ანსამბლი, რა თქმა უნდა, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით ვუპასუხებთ.

– ბატონო ტრისტან, მსმენელის დიდ მოწონებას იმსახურებს ტრიო „შალვა ჩემო“, რომელშიც თქვენ, გური სიხარულიძე და მერაბ კალანაძე ხართ გაერთიანებული. ტრიოს მიერ გურიაში ბევრი მივიწყებული სიმღერა იქნა მოძიებული...

– მე და ბატონი გურის თანასოფლელმა შალვა (კოკი) ცეცხლაძის მამის, ძველი სიმღერებისა და ტრადიციების მოყვარულისა და დამფასებლის ლევან ცეცხლაძის თხოვნით შეიქმნა გურულ მომღერალთა ტრიო, რომელსაც ერთი გურული სიმღერის სახელი – „შალვა ჩემო“ ეწოდა. ჩვენ სისტემატურად ვმონაწილეობთ როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საქალაქო ღონისძიებებში. ჩვენი შემოქმედება გავაცანით უცხოელებსაც. დიდი წარმატება მოვიპოვეთ ამერიკაში, სადაც მსმენელი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით გვაჯილდოებდა. ასევე ვიყავით უნგრეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში. ტრიოს სამი კომპაქტდისკო გამოიცა, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, გურული ხალხური სიმღერის მოყვარეებისა და ეთნომუსიკოსებისათვის. როგორც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ამბობს: -ტრიო „ჩალვა ჩემო“ ღირსეულად აგრძელებს იმ საუკეთესო ანსამბლების ტრადიციებს, რომელსაც თავის დროზე სახელი გაუთქვეს: სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილებმა, ვარლამ და ივსიხი სიმონიშვილებმა, ბესარიონ ინსკირველმა, სამუელ ჩხიკვიშვილმა, ვლადიმერ ბერძენიშვილმა, გიორგი ბაბილოძემ, გიორგი იობიშვილმა, ხუხუნაიშვილებმა, ერქომაიშვილებმა და სხვ.

– თქვენ ასევე მნიშვნელოვან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეით და თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემთ მომავალ თაობას.

– ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა იუნესკოს მხარდაჭე-

რით ოზურგეთში დააფუძნა ლოტბართა სკოლა, რომლის ხელმძღვანელობა მე მომანდეს. შევკრიბე ნიჭიერი ახალგაზრდები და ორ წელიწადში 40 გურული სიმღერა შევასწავლე. 2006 წელს ბატონ ვანო ჩხარტიშვილის თანადგომით შეიქმნა მოსწავლეთა სკოლა-სტუდია „კრიმანჭული“, სადაც 25 ბავშვს ვასწავლდი გურულ სიმღერებს.

ჩემს მიერ აღდგენილ იქნა ოზურგეთის თეატრის ანსამბლი „სახიონი.“ ფონდმა „ქართული გალობა,“ რომელიც ბატონმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, მომანიჭა „ქართული სიმღერის მოამაგე-ს“ საპატიო წოდება, სპეციალური პრიზი და ფულადი ჯილდო გადმომცა. ბატონმა ვანომ ასევე 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საჩუქრად გადმომცა ავტომანქანა „მერსედესი.“

– ბატონო ტრისტან, ახლახან ოზურგეთში საპატრიარქოს ეგიდითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა ტრადიციული გალობისა და ხალხური სიმღერის შესწავლის სკოლა, რას აცყვით ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ძალიან კარგი და სასარგებლო საქმე გაკეთდა, ეს არის 2 წლიანი სკოლა, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში. ამ სკოლაში მე ვასწავლი გურულ სიმღერებს, გალობას – ლამა ჩხარტიშვილი, ჩონგურს-მამუკა რუსიძე. იმედი მაქვს, რომ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდები კვლავ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდებიან, როგორც პროფესიონალი ლოტბარები და მომღერლები.

ჩემი მიზანია, კიდევ უფრო მეტი გავაკეთო გურული სიმღერისა და გალობის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის, აღვზარდო ჯანსაღი სულის მომავალი თაობა.

სურათზე ტრისტან სიხარულიძე, ანს „შვიდკაცა“ ტრიო „შალვა ჩემო“

მარიამ მაგლობლიშვილი



მარტოსული

იმ დილითაც ჩვეულებრივ ადრიანად გაეღვიძა. სიგარეტს მოუკიდა, რალაც არ „წავიდა.“ მაგრამ მაინც ბოლომდე მონია. ტელევიზორი ჩართო. პულტი გაუვარდა ხელიდან. – ფუ, შენი, მგონი დავამტვრიე, – ჩაიბურტყუნა, რადგან დიდი წვალების მიუხედავად, ხმის დაწვევა ვერ მოახერხა, –ეგ მინდოდა ახლა? – ბუზლუნი დაიწყო. ამ შობელძალმაც ჩაიხვია რა, წაიღეს ტვინი ამ კრიმინალით, ვითომ სხვა თემა არ არსებობდეს სალაპარაკო, წადით, თქვენი! – შეუკურთხა თვალუყუყუნა დიქტორს, წამოდგა და ტელევიზორი ღილაკით გამორთო. ზღაზვნით გაემართა სამზარეულოსკენ. ის იყო. ყავადანი გაზქურაზე უნდა დაედგა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. „ეს ვინლა?“ – გაიფიქრა მარტოსულმა, კართან ფეხათრევით მივიდა, მოშლილი საკეტი ძლივს გაასწორა, გასაღები გადაატრიალა და მოღუშული სახე მსწრაფლ გაუნათდა... ზღურბლთან ირმისთვალემა, სავსემკერდიანი, მოლიმარი და ცოტათი დაბნეული გოგონა იდგა – გამარჯობა!

– გაგიმარჯოს!
 – უკაცრავად, გასაქირავებელი ოთახი ხომ არ გაქვთ?
 – ოთახი? – დაიბნა მარტოსული. – ოთახი როგორ არ მაქვს! შეიძლება შემოვიდე? – ჯიქურ შეხედა გოგონამ.
 – მობრძანდით, – არეულად უპასუხა მარტოსულმა.

გოგონამ სამგზავრო ჩანთა ძლივს შეათრია ოთახში.
 – დაბრძანდით, ამოღერღა მასპინძელმა.
 – გმადლობთ.

გოგონა სავარძელში მოკალათდა რატომღაც, კმაყოფილი შეჰყუროდა გაუპარსავ, გაბურძმენულ მამაკაცს.
 – ახლავე კონდიციონერს ჩავრთავ.
 – ჩვენკენაც ძალიან ცხელა, ასეთი გვაღვები ღრმა მოხუცებხაც კი არ ახსოვთ თურმე.
 – კი, ძალიან ცხელა... ცოტა ხნით დაგტოვებთ.

მარტოსული სამზარეულოში შევიდა. გოგონა კედლებზე გამოფენილი ნახატების დათვალიერებით გაერთო.
 მარტოსული მალე დაბრუნდა, ლანგრით ორი ფინჯანი ყავა და ხილი შემოიტანა,
 – მიირთვით.
 – რატომ შეწუხდით...
 – რა შეწუხებაა, მიირთვით.

ყავის მშას ორივე ხმისამოუღვევლად შეუდგა. სტუმარი ლალად გრძნობდა თავს, თითქოს საკუთარ სახლში იყო, მარტოსული კი უცხოთავე იქცეოდა.
 – ისე, მე არ მიგრძნია ეს სიტყვები, მეგობრის სახელოსნოში ვმუშაობდი მთელი დღე და... იპოვა სალაპარაკო

თემა მოსულმა.
 – თქვენ, როგორც ვხვდები, ხატავე – ივარაუდა მასპინძელმა.

– დიახ, სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე.
 – ყოჩაღ, იქ ყოველთვის დიდი კონკურსია.

– კი, ძალიან დიდი კონკურსია, მაგრამ, როგორც ხედავთ, გამიმართლა, ამის თქმა და, გოგონამ უეცრად მოიწყინა, მარტოსულს ნაღვლიანად მიაპყრო ლამაზი თვალები.

– მაგრამ ბინის პრობლემა მაქვს, თანაც ისეა ქირა გაძვირებული, რომ... იცით, აი, ის პატარა ოთახი, მგონი, ჩემთვის ზედგამოჭრილი იქნება, თქვენი ნებართვით, თუ შეიძლება, ვნახავ?



– კი, ბატონო.
 – ვაიმე! რა ლამაზი ხედა! ხვალვე მოვიტან ჩემს „ეტიუდნიკს“ და მუშაობას შევუდგები. ძალიან მომიწინა, რომ დავხატო...
 – დიახ, დიახ.
 გოგონამ უცებ სერიოზული სახე მიიღო.

– უკაცრავად, მაგრამ რამდენი უნდა გადავიხადო, ძალიან ძვირად აქირავებთ?
 – ვაქირავებ? არა, არა, თუმცა... მოკლედ, თქვენ იმუშავეთ, არ დაბრკოლდეთ, ფასი არ იქნება პრობლემა.

– დიდი მადლობა, – გოგონა კვლავ გამხიარულდა. თავისი ვეებერთელა სამგზავრო ჩანთა „საკუთარ“ ოთახში შეიტანა და საქმიანი სახით მიუბრუნდა მარტოსულს.
 – ერთი სიტყვით, ახლა აქაურობას მოვანერსივებ და მერე საქმეს შევუდგები.

გოგონამ მაცდური ღიმილით კარი მიიხურა. მარტოსული რეტდასხმული იდგა ერთ ადგილზე, თითქოს მიელურსმნაო, ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს, თვითონაც უკვირდა რატომ შემოუშვა სრულიად უცხო გოგონა სახლში და რატომ მიუჩინა ოთახი. ყველაფერი რამდენიმე წუთში მოხდა. მარტოსული გაბრაზებულიც იყო, გახარებულიც, გაოცებულიც და, ცოტა არ იყოს შეშინებულიც. ფეხაკრეფით დადიოდა საკუთარ სახლში, თითქოს არ უნდოდა გოგონასათვის მყუდროება დაერღვია. მოულოდნელად იგრძნო, რომ თავი დამძიმებოდა. სავარძელში ჩაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და ტელევიზორი კვლავ ჩართო – ისევ კრიმინალი! წადით, თქვენი! – წამოიძახა და უცებ შეშინებულმა ოთახისკენ გაიხედა, სადაც გოგონა ეგულბოდა.

გაბრაზებულმა ტელევიზორი გამორთო, სიგარეტი, რომელიც საფერფლეზე ჩამოდო, ჩამქრალიყო, სანთებელა აიღო, კარგა ხანს აჩხაკუნა, მაგრამ ისიც გამოცლილიყო, გაბრაზებულმა მოისროლა.

– ფუ, შენი, რა ყველაფერი დღეს გაფუჭდა!
 ამ დროს ციცქნა ოთახიდან კაკუნის ხმა გაისმა.

– ახლავე, გასძახა მარტოსულმა. ცალი ფლოსტი სადაც მიკარგა, თვალებით დაუნყო ძებნა...ძლივს ნახა, ჩაიცვა და კარის გასაღებად გაემართა.

ამასობაში გოგონამ თავად შემოაღო კარი.

– უკაცრავად, მგონი მყუდროება დაგირღვიეთ. მე დაქალთან მივდივარ, ამალამ ალბათ იქ დავრჩები, ხვალ კი ჩემს ავლაღვებებს მთლიანად გადმოვიტან და ... მოკლედ ხვალღიდან აქ დავბინავდები, – ბოლო სიტყვები ღიმილით წარმოთქვა.

– კარგი, – რატომღაც წინწამხდარმა უპასუხა მარტოსულმა და გოგონა გასასვლელამდე მიაცილა.

– ნახვამდის, – უპასუხა წელში მოხრილმა მარტოსულმა, მიმავალს თვალი გააყოლა, მერე კი კარი კვლავ ჩაკეტა.

„როგორც ჩანს, ხვალღიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ“, – უსიამოვნოდ გაიფიქრა.

რატომღაც შეამცინა, სავარძელზე გადაკიდებული პულოვერი აიღო, მხრებზე მოისხა და სამზარეულოში გავიდა... „მაგარ ჩაის დავლევ და „გამოვალ“, – გაიფიქრა მარტოსულმა.

სანამ წყალი ადუღებოდა, მაცივრიდან კარაქი გამოიღო, შავ პურს გადაუსვა, მერე კი ჩაისთან ერთად გემრიელად შეექცა. შემცინებამ მაინც არ გაუარა.

– ვა, ეტყობა სერიოზულად გავცივდი, ჯობია ცოტა ხნით ჩავწვე. ის იყო, დასაწოლად გაემზადა, რომ

ტელეფონის გაბმული ხარი გაისმა.

– ალო, ალო! გისმენთ... არა, სხვაგან მოხვდით! – გაბრაზებულმა ყურმილი ბერკეტზე დაახეთქა. – რა ყველა გზა-აბნეული ჩემთან მოხვდება!

... ასე ადრე არასდროს გათენებულა მარტოსულისთვის. როგორც კი თვალი გაახილა, კარზე ხარის ხმაც გაისმა. აღრენილი წამოდგა, ხალათი მოისხა, კარი გააღი და ეფრეთორივით გაიჭიმა გოგონას წინაშე. გოგონას ღიმილი სახეზე შეაცვივდა.

– შემოდი, – ცალკებად უთხრა მარტოსულმა.

– „ძალად მდგმურ“ გაცელებული უყურებდა, თან უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ადამიანი ასე ერთ ღამეში შეცვლილიყო. გუშინ ლმობიერი კაცი, დღეს თითქოს დესპოტად გადაქცეულიყო. გოგონა ოთახში შევიდა ეტიუდნიკი უხალისოდ იქვე დადო, ფანჯარაში გაიხედა და მიხვდა ხატვის სურვილი აღარ ქონდა. არადა, როგორ მოიჩქაროდა.

მარტოსულმა ყავა მოიღულა და ტელევიზორთან მოკალათდა. სერიალი დაიწყო. დღეს რატომღაც, სიღრმისეულად „შევიდა“ ფილმში, ამ მაფიოზი ტიპისადმიც სიმპათიით განიმსჭვალა. ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

– ალო, გისმენთ... ჰო, შენ ხარ? არა, არაფერი. ბოლო დროს ვიღაც შეცდომით რეკავს და ის მეგონე, კინალამ შეგიკურთხე. ყველა გზააბნეული ჩემთან ხვდება რატომღაც. ჰო, ეგრეა, არა. კი, კი, სახლში ვარ, გამოდი.

გოგონამ მაგიდას სუფრა გადააფარა. შემდეგ სანოლზე ჩამოჯდა, უაზროდ მიაშტერდა ერთ ნერტილს. რამდენი გეგმა ჰქონდა დღეისთვის, აღარ იცის, საიდან დაიწყო ან რა გააკეთოს საერთოდ. უცებ გაახსენდა, რომ „ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს“ და გაეღიმა. „ცოტას დავისვენებ, იქნებ თავის ტკივილმა გამიაროს.“ – მიიღო გადაწყვეტილება, სანოლზე წამოწვა და მოგონებებში ჩაიძირა, თუმცა ყურში კვლავ მარტოსულის სიტყვები ჩაესმოდა: „ყველა გზააბნეული, რატომღაც ჩემთან ხვდება...“

ცოტა ხნის შემდეგ მარტოსულს მეგობარი ესტუმრა. რამდენიმე საათი ისაუბრეს, უცებ ქარი ამოვარდა.

– შეიძლება განვიმდეს, ჯობია გავასწრო, – თქვა მარტოსულის მეგობარმა.

– ჰო, წვიმას აპირებს. მგონი, მთავრდება ცხელი ზაფხული. დაიწყება ახლა უამინდობა და გამოდარებას აღარ დაადგება საშველი.

– მოკლედ ასე, გავიქეცი. გამოიდავრებს აბა რას იზამს.. ჰო მართლა, იმ კვირაში გარაკზე თუ წავედი გამოგივლი.

– ჯივარი ხარ!

– აბა, კარგად.

მარტოსულმა სტუმარი დაბლა ჩააცილა და როცა შემობრუნდა, რატომღაც, ფოტოალბომი გადმოიღო.. დინჯად შეუდგა მის დათვალიერებას.

ბავშვობა, მშობლებთან ერთად აგარაკზე, სტუდენტობა... ამ ყველაფერმა უცებ გაირბინა მის თვალწინ, მერე? მერე უამრავი „ჯახი“ ცხოვრებაში. ტკივილი, იმედგაცრუება, ღალატი.....

წამით დენი გამოირთო და კვლავ ჩაირთო.

– ვა, უკვე დაიწყეს გამორთვები?

– უცებ გაახსენდა, რომ სანთელი იმ პატარა ოთახში ჰქონდა.

– ნეტავ, რას აკეთებს, ჩამიჩუმი, რომ არ ისმის?

– ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარს და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ფრთხილად დააკაკუნა.

ამ დროს იელვა, იქუხა და კოკისპირული წვიმაც დაუსვა. მარტოსულმა ფანჯრები დახურა და დარაბებიც ჩაკეტა, მერე ისევ ციციქნა ოთახს მიახლოვდა, ახლა უკვე გაბრაზებული, რატომ არ მეხმიანებაო. უფრო ენერგიულად დააკაკუნა, მაინც არავინ გამოეპასუხა. იძულებული გახდა, კარი ოდნავ შეეღო.

– შეიძლება? – ხმა არავინ გაცა. გაუბედავად შევიდა შიგნით და სახტად დარჩა. გოგონა თავისი ავლადიებით გამქრალიყო. მარტოსულს გულში რალაც ჩანყდა. სუფრა დარჩენოდა, სუფთა და ქათქათა. ფრთხილად შეეხო გადასაფარებელს... კარგა ხანს იდგა ასე.

„და ისევ ლოდინი და ისევ მზადება, და გული ცივდება – ჩამქრალი საკირე, სიცოცხლე თავდება! სიცოცხლე თავდება!“

მე კი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ!“

– გონებაში, რატომღაც, ცნობილი პოეტის ეს სტრიქონები ამოუტივტივდა. მერე სანთელი აიღო თაროდან. „კარგი იქნებოდა, ფეხი დამეთბილა,“ – გაიფიქრა, მაგრამ დაეხარა.

ლოგინში ჩანვა, პირი კედლისკენ იბრუნა და ღრმა ძილს მიეცა...

მის სიმშვიდეს არც ამაღამ დაარღვევდა არავინ..

ბერტა ზღვაური



ჩეხეთი, 1914 წ. ვლადიმერ ასკურავა, ისიდორე მახარაძე და ამბროსი მამალაძე



„ပိတောက်ကန် ပျော်ရွှင်စွာ၊ စိမ့်မိတ် ချွေးကိုင်“



სამების ეკლესია აგებულია აჭარა-გურიის ქედის შავიზღვისპირა დაბლობის დასავლური განშტოების გორაკზე, ზღვის დონიდან 400 მეტრ სიმაღლეზე, საიდანაც მშვენიერი ხედები იშლება: დასავლეთით - შავი ზღვა, სამხრეთ-დასავლეთით - ჩაქვი და ქობულეთი, აღმოსავლეთით კი - ახალშენის და ჩელტის სანახები.

სამების ეკლესიაზე მდიდარ ფაქტობრივ მასალას ვპოულობთ დავით ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში“. იგი წერს: „ბათუმის ახლოს მალაღ გორაკზე დგას მალაღი ეკლესია სამებისა“. სამებაში იყო წარწერებიანი საფლავის ქვები, ორი მარმარილოს ერთ მათგანზე ეწერა: „ღმერთო აცხოვრე მარიაში“. ფრანგი ორიენტალისტი ჟან მური (1884 წ.) წერს: „ბათუმიდან 5 ვერის მოშორებით ყაბაბერის ქედსა და ნაკინის უჯარს შორის მდებარე სამების ეკლესიის ნანგრევებზე, აქ აღმოჩენილ დიდ მარმარილოს ქვაზე აწერია: „უფალო განუსვენე თამარის სულს“.

სამების ეკლესია 1875 წლამდე უცნებელი ყოფილა, მაგრამ 1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალოებს აუფეთქიათ.

დღეისათვის მიმდინარეობს სამების ყოვლადწმინდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, ფუნქციონირებს ღვთათა მონასტერი.

ყოვლადწმინდა სამების ეკლესია მონასტერი

